მაგრამ საქმე ის არის, რომ ხელოვნების ფაკულტეტი საერთოდ არ აკავებს დუბლს არ წარმოადგენს. კინობლოგებისა და ტელევიზიის, აგრეთვე ფოტოხელოვნების განყოფილებებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელსა მსავსეს ჯერჯერობით რუსულენოვან არაერთ შემოქმედებით უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს, პარალელიზმის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება თვით მუსიკისა და სახეივანი ხელოვნების განყოფილებების მიმართაც (ხელოვნების ფაკულტეტზე სულ 4 განყოფილება: კინობლოგებისა და ტელევიზიის, მუსიკის, სახეივანი ხელოვნების და ფოტოხელოვნების).

გარკვეულ მსგავსებას, ცხადია, მაღანა დიდია. მუსიკის-მიყვანების ამახდებენ, მაგალითად, კონსერვატორიაში და მათ მომზადებს ისაახს მიზნად ხელოვნების ფაკულტეტის შე-

საბამისი განყოფილებაც. მაგრამ ამ გარკვეულ მსგავსებას იქით სერიოზული (სპეციფიკური) განსხვავებაც არის.

უწინარესყოფილსა, უნდა ითქვას, რომ ხელოვნების ფაკულტეტი მეტოფორულად კროფესიის ფაკულტეტია და, მასთანადა, მისი სტუდენტები ხელოვნებას (მეცნიერულ შემთხვევაში მუსიკის) მეცნიერების ამა თუ იმ დარგის (მაგ. ფიზიკის, კონსერვატივის, ისტორიის, ფილოლოგიის და ა. შ.) პარალელურად ეუფლებიან. აქედან კი ის გამოდის, რომ, ჯერ ერთად: ხელოვნების ფაკულტეტი, განსაკვეთით კონსერვატორიისაგან, მოამზადებს არა „წინდა“ მუსიკოსებს (მუსიკისმცოდნეებს), არამედ ფიზიკოსებს პლუს მუსიკისმცოდნეებს, კონსერვატიკოსებს პლუს მუსიკისმცოდნეებს, ისტორიკოსებს პლუს მუსიკისმცოდნეებს, ფილოლოგებს პლუს მუსიკისმცოდნეებს და ა. შ. და მეორე აღნიშნული თავისებურების გამო უნივერსიტეტი მუსიკისმცოდნეობის განვითარების ახალი და უაღრესად საინტერესო პერსპექტივები ისახება.

სრულიად უღვათა, რომ მუსიკისმცოდნეობა ჩვენს რესპუბლიკაში მაღალდონეზე დგას. ყ საზარდვილობის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია ყოველწლიურად ამზადებს და უშვებს მუსიკის თეორიის, მუსიკის ისტორიის, მუსიკალური ფოლოკორის და სხვ. მაღალკვალიფიკირებულ სპეციალისტებს. ქართულ მუსიკისმცოდნეობას ამაჟამად ჰყავს ძველი და ახალი თაობის შესანიშნავი მეცნიერული ძალები, რომლებიც წარმატებით ყვევვენ მათ წინაშე მდგარ თრულ ამოცანებს. მაგრამ, ამასთან არ შეიძლება არ შევიდეთ, რომ ქართველ მუსიკისმცოდნეთა კვლევა-ძიება უშეაყრესად წმინდა მუსიკის სფეროთი შემოფარებულია. თანამედროვეობის ისეთი აბსტრუქტური პრობლემები, როგორიცაა მუსიკა და კინერეტიკა, მუსიკა და ფსიქოლოგია და ა. შ. ჯერ კიდევ სათანადო შესწავლისა და განხილვისას გართულებენ. თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული და სხვა მსგავსი პრობლემების კვლევა სპეციალისტისადა, მუსიკასთან ერთად, მეცნიერების რომელიმე დარგის ღრმა ცოდნასაც მოითხოვს. ასეთი, ორმხრივი განვითარებული სპეციალისტის მომზადება კი მხოლოდ უნივერსიტეტის პირობებშია შესაძლებელი.

გარკვეული სისახლე შეაქვს ხელოვნების ფაკულტეტს, აგრეთვე მხატვრების (ფერმწიფრების, გაფიქსიების, მოქანდაკეების და სხვ.) მომზადების სფეროში. საქმე არა მარტო ის არის, რომ უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემიისაგან განსხვავებით, გამოუმეებს ორმაგი პროფესიის მქონე სპეციალისტებს: ბიოლოგ-გრაფიკოსებს, მათემატიკის-ფერმწიფრებს, კინერეტიკოს-მოქანდაკეებს და ა. შ., არამედ ისიც, რომ მხატვრობის მეცნიერებასთან შეერთება (შერწყმა) ხელს შეუწყობს სრულიად ახალი ვანრების წარმოშობასაც. ყოველ შემთხვევაში ამკარა, რომ მეცნიერების და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როცა ადამიანთა წარმოდგენა გარემოში (ვეულ სამართალზე) მისი აგებობაზე) მნიშვნელოვან შეიცვალა, სინამდვილის მხატვრული ათვისების ტრადიციული გზები (ხერხები) რამდენაღმე გადაისრავს (კოორტიკებს) საქმეობენ. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც დღეს კრიტიკურად სწავლობენ მათემატიკისა და ფერმწიფრის, კინერეტიკისა და სკულპტურული ხელოვნების საიდუმლოებებს, მომავალში მხატვრული თემების გადაწყვეტის ორიენტირებით საშუალოდგობრიობის ყურადღებას მიიპყრობენ.

რაც შეეხება კინოხელოვნებისა და ტელევიზიის განყოფილებას, არა აგვიფიქს, რომ მისი შექმნის მიზანშეუწონლობა რაიმე დამატებით განმარტებებს მოითხოვდეს.

კინო და ტელევიზია დღეს ხელოვნების ერთ-ერთი ყვალაზე რთული, ყველაზე პოპულარული და ყველაზე მნიშვნელოვანი სახეებია. გადამტარებული არ იქნება თუ ვიცტყით, რომ

მე-20 საუკუნე ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით, კინოსა და ტელევიზიის საუკუნეა. და ასეთ პირობებში პირდაპირ საოცარია, რომ უკანასკნელ დრომდე (ე. ი. ხელოვნების ფაქულტეტის შექმნამდე) რესპუბლიკაში არ არსებობდა არც ერთი სასწავლო დაწესებულება; თუ გნებავთ სპეციალიზაციის კი, რომელიც მიზნად დისახავდა კინოსა და ტელევიზიის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას.

კინოსა და ტელევიზიის მაღალკვალიფიციური კადრებზე (პირველ რიგში სცენარისტებზე) ტიპობრივობა კიდევ უფრო გაზრდებდა საკარაველის ტელევიზიის ორ არხზე (ორ პროგრამაზე) გადასვლის შემდეგ, რაც უახლოესი მომავლისათვის არის ნაფარადი. ცხადია, რომ კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის („ვიკი“-ის) თითო-ორი კურსდამთავრებული და რამდენიმე სცენარისტ-მოყვარული ამ საქმეს ვერ აუკმა. საჭიროა კადრების საკუთარი (ერთგული) სამჭედლო და ასეთ სამჭედლოს, მიცემულ ეტაპზე, წარმოადგენს სწორედ ხელოვნების ფაქულტეტი.

ხელოვნების ფაქულტეტს განსაკუთრებით დიდი როლი შეუძლია ითამაშოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების განვითარების საქმეში. დასამალი არ არის, რომ სამეცნიერო-პოპულარული ფილმების შექმნის კულტურა ჩვენში ჯერ კიდევ ძალზე დაბალია. ამის მიზეზი, უწინარესყოფილად, ის არის, რომ სცენარებზე მათთვის, უმთავრესად არასპეციალისტები წერენ. ამერიიდან, ხელოვნების ფაქულტეტის მეშვეობით, შესაძლებლობა იქნება სცენარები კინეზნეტიკაზე დაწერის კინეზნეტიკოსმა, ქიმიკზე ქიმიკოსმა, გეოლოგიაზე გეოლოგმა და ა. შ. ამგვარად, კინოხელოვნებისა და ტელევიზიის განყოფილების შექმნის მიზანშეწონილობა ხელოვნების ფაქულტეტთან სრულიად უდავოა. იგი ხელს შეუწყობს არა

მარტო პროფესიონალი სცენარისტების, არამედ საერთოდ კინო-ტელემედიანების, კინოხელოვნებისა და ტელევიზიის ისტორიისა და თეორიის სრულფასოვანი სპეციალისტების მომზადებას.

ასეთია მოკლედ ხელოვნების ფაქულტეტის ზოგიერთი თავისებურება, რაც მის საერთოდად განახლებას სხვა შემოქმედებით უმაღლესი სასწავლებლებისაგან.

ხელოვნების ფაქულტეტის თავისებურებებსა და მისი სხვა შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლებისაგან განსხვავებულობის შესახებ რომ ვლაპარაკობთ, ცხადია, ეს იყო უნდა გავიგოთ, თითქმის იგი ამითავთუ დაზღვეული იყოს ანუ გავიგოთ პარალელიზმისა და სხვა ხასიათის ნაკლოვანებებისაგან. ნაკლოვანებები ჯერჯერობით, არ თქმა უნდა, საკმაოდ ბევრია, მაგრამ მათი თანდათანობით დაძლევისა და ხელოვნების ფაქულტეტის სრულყოფის შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ სწავლების სრულიად ახალსა და განსაკუთრებულ ფორმას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს წარმატებით გადაჭრათ პარტის პროგრამაში დასმული ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანები, როგორცაა: ა) ქარში ნიული, ყოველ მხარე განვიტარებულნი პიროვნების ად ზ რ დ ა, ბ) ა დ მ ა ნ ის უ რ თ პ რ ო ფ ე ს ი ს ა ჯ ე მი კ ა ჭ ჯ ის ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა; გ) პ რ ო ფ ე ს ი ს უ რ თ დ თ ი თ ო მ ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ხ ე ლ ო ვ ე ნ ე ბ ის თ ა ნ დ ა თ ა ო მ ი თ შე ხ ა მ ე ბ ა და ა. შ.

როგორია ხელოვნების ფაქულტეტის მუშაობის პირველი შედეგები?

როგორც ზემოთ ვკვებ ნათქვამი იყო, ხელოვნების ფაქულტეტის არსებობას უნივერსიტეტში სულ დიდი წვლილიანდახვე-

ნიჩიარ ბაჰუჰა პეოჩიჰაჰაა



როდადრო, ყოველი ახალი ნიჭის გამოჩენა, საერთოდ დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში. იგი გასაფხვლის მეზობით მოულოდნელად დაიკუმებს და მყის საზოგადოების ყურადღებას მიიქცევს, თანდათან უფრო დაიხალთებს, ყველას-

თან მივა... ყველას ჩაწვდება... მოზიბლავს და თან წარიტაცებს მანამდე უსიკვამლო მსაჯურად. ისტორიას ანალოგიური მოვლენების უამრავი ფაქტი აქვს შემონახული: საოცარი ვოლფგანგ ამადეი მოცარტი — ექვსი წლისამ რომ დაიწყო საკონცერტო მოღვაწეობა და არაჩვეულებრივი წარმატებით გამოდიოდა, როგორც ვირტუოზი — პიანისტი, მევიოლინე, დირიჟორი და კომპოზიტორი. მისი ოცნებამ ოპერა, ორმოცდაათი სიმფონია, ოცე მეტი საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად, ოცდასამი სიმფონი კვარტეტი, ჩვიდმეტი სონატა ფორტეპიანოსათვის, კონცერტები ვიოლინოსა, ფლეიტისა და სხვა ინსტრუმენტებისათვის, ვარიაციები, ფანტაზიები და მრავალი სხვა სიმღერა და ვოკალური ანსამბლი. მისი „რეკვიემი“ გუნდის, სოლისტებისა და ორკესტრისათვის, რომელიც მსოფლიო მუსიკალური კლასიკის ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოებია, სახევა ნამდვილი ადამიანობითა და გამომსახველობის უდიდესი ძალით, რითაც დიდი გავლენა მოახდინა მუსიკის განვითარების საერთო პროცესზე და მის გენიას დღემდე ტყვეობაში ჰყავს მუსიკალური სამყარო.

ასევე ბავშვობაშივე აღიარებული ფენომენი იყო დიდი იტალიელი მევიოლინე და კომპოზიტორი, საშემსრულებლო მუსიკაში რომანტიკული სტილის შემქმნელი — ნიკოლო პავანინი, ვიოლინის დავკრის ტექნიკაში გადატრიალება რომ მოახდინა და გააფართოვა მისი გამომსახველობითი, ვირტუოზული შესაძლებლობები.



ილუსტრაცია ილია ჭავჭავაძის „მკვარვის წერილებისათვის“

რის ისტორია გააჩნია, ამიტომ ცხადია, რომ მისი მუშაობის რაიმე სერიოზულ შედეგებზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. მაგრამ უკვე შეიძლება სრულიად თამამად გავაცეთით ზოგიერთი წინასწარი დასკვნა, რომელიც თვალნათლივ ადასტურებს ხელოვნების ფაქულტეტის შექმნის არა მარტო დროშობას, არამედ აქტიულობასაც.

პირველი, რაც თვალში მოხვდება ადამიანს ხელოვნების ფაქულტეტის მუშაობის გაცნობისას, ეს არის სტუდენტთა მასობრივი სწრაფვა და დაინტერესება მხატვრული შემოქმედებით.

ხელოვნების ფაქულტეტი რომ ყალიბდებოდა, სხვათა შორის ბევრი და მათ რიცხვში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც ეჭვს გამოსთქვამდა შესძლებდა თუ არა ფაქულტეტი საჭირო კონტინენტის (თითოეულ განყოფილებაზე 5-5 კაცის) შეგროვებას. მაგრამ ეჭვები სრულიად ამო გაიშრდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების ფაქულტეტზე გამოცხადებული იყო შიდასაუნივერსიტეტო მიღება, და, მაშასადამე, გამოცხადების ჩაბარების უკლებლად მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტებს ეძლეოდათ, კინკურსში მონაწილეთა რიცხვმა თითქმის თოხასამდე მიაღწია. ამდენივე მსურველი ჰყავდა ხელოვნების ფაქულტეტის მიმდინარე სასწავლო წელსაც, ეს ხომ ასაღებლობის ხელოვნების ფაქულტეტზე კომპარტივად მასობრივი სწრაფვის თვალსაჩინო გამოხატულებაა. ამასთან ნუ დავგავიწყდება, რომ ხელოვნების ფაქულტეტზე შემოსვლის ყველა მსურველი უკვე უნივერსიტეტის ამა თუ იმ ფაქულტეტის სტუდენტია და მაშასადამე მათ წინაშე სრულებითაც არ დგას საერთოდაც „უმაღლესი სასწავლებელი მოწყობის“ მწვავე პრობლემა.

მაგრამ ხელოვნების ფაქულტეტზე შემოსვლის მსურველთა

მხოლოდ რაოდენობა რომი იქცევის ყურადღებას. აბითურიენტთა უმრავლესობამ მისაღებ გამიცდებზე იმგნა და ღრმად ცოდნა და მხატვრული შემოქმედების ხალასი ნიჭი და უნარი გამომავლანა, რომ მიმდები კომისია იძულებული იყო ნაკარაუდევზე ბევრად მეტია ადგილები გამოეხივება რეპტორასკან და ორ ნაკადზე (წინა და მიმდინარე სასწავლო წელს) ნაცვლად გათვალისწინებული 40 კაცისა, 80-ზე მეტი აბითურიენტი ჩაირიცხა.

სტუდენტთა მხატვრული ნიჭი და შესაძლებლობანი კიდევ უფრო გამოიკვეთა სწავლის პროცესში. სახვითი ხელოვნების განყოფილების სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენებმა, რომელიც გასულ და მიმდინარე წლებში მოეწყო, აგრეთვე მუსიკის განყოფილების სტუდენტთა დახურულმა კონცერტებმა, კინო-ხელოვნების და ტელევიზიის განყოფილების სტუდენტთა სახეურსო შრომებმა და სხვ. თვალნათლივ დაადასტურეს, რომ ხელოვნების ფაქულტეტზე თავი მოიყარეს ჭეშმარიტად ხალასი ნიჭის ახალგაზრდებმა. ტალანტების მასობრივი გამომცდენა — აი ხელოვნების ფაქულტეტის მუშაობის მეორე ძირითადი შედეგი.

მესამე მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ერთდროულად ორ ფაქულტეტზე — ხელოვნებისა და ძირითადი პროფესიების ფაქულტეტებზე სწავლის პარამონიული შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების ფაქულტეტის სტუდენტები შემოქმედებით უმაღლესი სასწავლებლების პროგრამის სრული დატვირთვით მუშაობენ, მათ ოდნავადაც არ შეუწყვებიათ სწავლა ძირითად ფაქულტეტებზე. პირიქით, ზოგიერთი, მაგალითად, სწორედ ხელოვნების ფაქულტეტზე შემოსვლის შემდეგ გახდა ფრიადოსანი. დღეს ხელოვნების ფაქულტეტზე

ასაკისათვის შეუფერებელი არჩევულებრივი ნიჭისა და განებრივი განვითარების ბავშვობაშივე გამოვლინების მაგალითები ყველა დროსა და ეპოქაში არსებობს. გენიალური პუშკინი და ლეონტოვი, მენდელსონი და რსინი, ჩეხნი თანამედროვე — ლეიკენარული რომბრტინო ლორიერი და მრავალი სხვა დიდებული სახელები ამკობს ამ პლადას.

თბილისსაც მრავლად ჰყავს სასახელო „ვენდერკინდები“ ვიტტოუსი — მევიოლინეები დები იშვილები, პიანისტო თამარი და ილიძე, უკვე ცნობილი მომღერალი ირმა სოსხაძე, მოჭადრაკეები ნინო გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და მრავალი სხვა.

ერნალ „ეიკრის“ 1956 წლის თებერვლის ნომერში პირველად გამოქვეყნდა ხუთი წლის მითო გორდელადის ნახატები. ჩვენს მუსიკირებაში ვფერვლავით ნორჩი მხატვრის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ფურცლებს. მითო გორდელადის ნამუშევრები სისტემატურად იბეჭდება რესპუბლიკის ერნალ-გაზეთებში, ყოველი ახალი ნახატი, ახალი კომპოზიციია მისი შემოქმედებითი ზრდის უტყუარი ფაქტია. იგი წარმატებო მონაწილეობის საბავშვო გამოფენებზე და კონკურსებზე. 1963 წლის ხალხთა მეგობრობის ლიგის მიერ ბერლინი მოწოდებული ქვეყნის ბავშვთა ნახატების საერთაშორისო კონკურსსა, მითო სამი ნახატი წარადგინა: „რჩები თბილისში“, „ახალი ამბები“ და „ამერიკულ კინოფილმში“. ამ ნამუშევრებით მან ვერცხლობა მდელი მოიპოვა და დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით.

ამგანავე მისი რამდენიმე ნახატი წარდგინილია ჩილში საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც ისინი უნახავს ჩვენს თანამემულს, კინორეჟისორ რუხო ჩხეიძეს.

დღისათვის დიმიტრი გორდელადის ათასამდე ნახატი აქის შესრულებული, ბოლო დროის ნამუშევრებში ყურადღებას იქცევს ილუსტრაციები ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებისათვის“. განსაკუთრებით საინტერესოა მათორის დეალოგი, რომელშიც რუსი ჩინონეიკის ხასიათი ტიპიურობამდე ამაღლებული.

კვლავ წარმატებებს ვუსურვებთ ნიჭიერ მხატვარს.

თინათი ბილიოვი



ილუსტრაცია

ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებისათვის“

ხედავდა არა თუ ხელს უშლის, არამედ, გარკვეული აზრით, ცხამარტა კიდევ სტრუქტურის მცენიერების ამა თუ იმ დარგის უკეთ დაუფლებინა.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლებში საქაოლ ბევრს ლაპარაკობენ სტრუქტურის დასაქმების, მათი დასვენების გონივრული ორგანიზაციის, თავისუფალი დროის მიზანშეწონილი გამოყენების და სხვ. შესახებ. რა ახალაია და ჩვენი სტრუქტურის (და საერთოდ ახალგაზრდობის) გარკვეული ნაწილი უქმად ფლანგავს დროს. კანონიერ შემოფთების იწყებს საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატური დაინფევიების, ხულოცობის, ლოთობის, სისხლის სამართლის დანაშაულის და სხვ. ფაქტები, რომლებიცაც უმეტესწილად, სამუშაოდ, ახალგაზრდობა ჩაართული. ყოველივე ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების ორგანიზაციის უქონლობაში უნდა ვეძიოთ. მდგომარეობას, ცხადია, ვერ ცვლის ი. ვ. „სტრუქტურული კავშირი“ ან სხვა მსგავსი ღონისძიებები, რომლებიც უკანასკნელ ხანს ასე დატენიებით უწყვეტ პრობლემატან.

ჩვენი აზრით, სტრუქტურის გონივრული დასაქმების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფორმას თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს ხელოვნების ფაკულტეტი. სწორედ ხელოვნების ფაკულტეტის მეშვეობით გზობა შესაძლებელი სერიოზულ შემოქმედებით საქმიანობაში ჩაგდება უნივერსიტეტის თიხმოც-ზე მტრე ახალგაზრდა (სტუდენტი), რომლებიც ძირითადი ფაკულტეტისაგან თავისუფალ დროს, თითქმის მთლიანად დროგარეშებთან, მუსიკალურ ინსტრუმენტებთან, ტელეკინო ლაბორატორიებში და სხვ. ატარებენ. ასეთ სტუდენტთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდება მომავალში, როცა ფაკულტეტს უკვე არა იმ, არამედ თიხი კურსი ყოვლად.

არსებობს ხანმოკლე დროის მანძილზე ხელოვნების ფაკულტეტს გარკვეული საზოგადოებრივი აღიარება მკობა. არ დარჩენილა რესპუბლიკის თითქმის არც ერთი ცენტრალური გახუთი, რომელსაც არ გაეშუქებინოს და უარსება მალალი უფასება არ მიეცეს ხელოვნების ფაკულტეტის საქმიანობისათვის. ხელოვნების ფაკულტეტს მიეცემა მანდინები ტელე და რადიო გადაცემა. ცნობიერ ხელოვნების ფაკულტეტის შექმნის შესახებ გადაცემულ იქნა აგრეთვე საქართველოს და საკავშირო დეპეშთა სააგენტოების მიერ, გამოქვეყნდა გაზ. „მოსმომოსლავია პრავდა“-ში, აზერბაიჯანისა და უკრაინის ახალგაზრდულ გახუთებში და სხვ.

ხელოვნების ფაკულტეტის შექმნას დიდი მოწონებით შეხედენ ჩვენი რესპუბლიკის მცენიერებისა და კულტურის თალ-საჩინო მოღვაწეები. მაგალითად, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ლ. გუდიაშვილმა განაცხადა: „ხელოვნების ფაკულტეტის შექმნა უნივერსიტეტში მე მიმანია უაღრესად საინტერესო და გაბედულ ექსპერიმენტად, რომლისაც შეიძლება დიდი შიდეგები მოჰყვას“. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის შ. აბრინაშვილის აზრით: „ხელოვნების ფაკულტეტის შექმნა ჩვენი უნივერსიტეტის წარმომადგენს ჰართობი ხალხის დიდი კულტურული ტრადიციებისა და შემოქმედებითი პოტენცილის გამოხატულებას. იგი ხელს შეუწყობს არა მარტო ყოველმხრივ განვითარებული და მაღალკულტურული, კადრების აღზრდას, არამედ ქართული მხატვრული აზროვნების შემდგომ განვითარებასაც“. ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ხელოვნების ფაკულტეტის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე დ. თორაძე. შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, პროფ. ი. თავაძე, სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ურუშაძე, კერძოდ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ო. გაბაძე და ბებერი სხვა. მაგალითად ამ უკანასკნელმა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე განაცხადა: „შეიძლება ვინმეს გადაგარებებზედ მოიყენოს, მაგრამ ხელოვნების ფაკულტეტის შექმნას ჩვენი უნივერსიტეტში მტე, გარკვეული აზრით, ყოველი ისეთივე დიდი მნიშვნელობის მოქმედება, როგორც ერთ დროს თვით უნივერსიტეტის საფუძვლის ჩაყრა იყო. რა თქმა უნდა, აქ მანშტაბები სრულიად სხვადასხვაა, მაგრამ ვინც ხელოვნების ფაკულტეტს ჩემი განხილვების და შედგენის პერსპექტივაზე უფრებებს, არ შეიძლება არ გაიზიაროს ჩემი ადფორმაცია“.

სახვითი ხელოვნების განყოფილების სტრუქტურა ნამუშევრების გამოყენის „შთაბედილებათა წიგნი“ (ჩვენ ახლა უკვე 4 ასეთი წიგნი გვაქვს) ახლავსა მოწონების გამოხატულებული ჩანაწერებით, კეთილი სურვილებით, წინადადებებით და ა. შ. გამოფენის დამთავლებებელთა ერთი ჯგუფის კოლექტიური ჩანაწერის ნათქვამია: „ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ხელოვნების ფაკულტეტის მშობარად გაშლის ფრთებს და გადაიქცევა ქართული მხატვრული აზროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად. ქება-დიდება ამ დიდი და სასარგებლო საქმის ინიციატორებს“.

სარულებითაც არ ვაპირებთ გამოფენის დამთავლებებელთა პათეტიკის აგვიეთ და ქება-დიდება შეგასახთ ხელოვნების ფაკულტეტის შექმნის ინიციატორებს, მაგრამ ზოგაერთი მათგანის მოუხსენებლობა ყონამდებარე წრელოში არაფრით არ შეიძლება. უწინარეს ყოვლისა გინდა დავასახლოთ უნივერსიტეტის მამონდელი ხელმძღვანელობა — რექტორი აკად. ი. ხანაძე და პარტიული კომიტეტის მდივანი ა. კარანაძე. მათ არა მარტო მხარი უჭირებენ ამ საინტერესო წამოწყებას, არამედ თავიანთ თავზე აიღეს ხელოვნების ფაკულტეტის შექმნის მართალი პასუხისმგებლობა. რექტორის 1965 წლის 23 სექტემბრის ბრძანებით ხელოვნების ფაკულტეტის შექმნა ოფიციალურად გაფორმდა.

მაგრამ ხელოვნების ფაკულტეტი ჯერ დაკომპლექტებულ იყო არ იყო, რომ უნივერსიტეტში ახალი ხელმძღვანელობა მივიდა. გულახდილად უნდა თთქვას, ჩვენ ძალიან შეგავსონია ამ შეცვლამ. ყვილზე მეტად გვაფიქრებდა თუ როგორ შეხედამდა ხელოვნების ფაკულტეტს უნივერსიტეტის ახალი რექტორი, ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს მათემატიკოსს, აკად. ი. გუგუა. ბუნებისმეტყველო შეიქნებრება და ტექნიკის მიერ ხელოვნების შთანთქმის ლაგენდაზე, რომ ანაფირი ვთქვამ. უნივერსიტეტს მაინც, გარდა ხელოვნების ფაკულტეტისა, სხვაც ბებერი მტყავინეული და საჭიროებო სახეობის აწუხებდა. მაგრამ ჩვენი შიში სრულიად უსაფუძვლო გამოდგა. აკადემიოსი ი. გუგუა და პრორექტორი სასწავლო მუშაობის ოარენი, პროფ. ს. ჯორნიძეც განსაკუთრებულ გულსთუერთ მოიყიდნენ ხელოვნების ფაკულტეტს და საყოველთაოდ შეუწყვეს ხელი მის მყარ ნიადაგზე დაყენებას. ხელოვნების ფაკულტეტის სტრუქტურა ნამუშევრების გამოფენა აკად. ი. გუგუამ განაცხადა: „ხელოვნების ფაკულტეტის შექმნას რომ მხარს უჭირდეთ, ჩვენ გამოვიდიდეთ იქიანა, რომ, ჯერ ერთი: უნივერსიტეტის ტრადიციულად მცენიერებისა და ხელოვნობის ყვლა დაჩაბს მოივადება. რატომაც ჩვენი უარი ეთქა ან მარტოველ ტრადიციას. ხელოვნების ფაკულტეტი მივამანია საერთოდ საინტერესო წამოწყებად მიიწვიებოთ ტრადიციის აღდგინის გზაზე და მეორე: დარწმუნებულნი ვართ, რომ ხელოვნების ფაკულტეტი ხოსს მუშაობას ჰქმნიდეს რატომაც აბის ავთოშობასა და აზრებას, რომლებიც უმთავრესი ტიპად სარგებლობას მოუტანენ ჩვენი ქვეყნის მცენიერებასა და კულტურას“.

დაიხ, ჰქმნარიტი ტალანბობის გამოვლინა და აღზრდა — ასეთია სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ძირითადი დევიზი.



მიხეტია გუნდი (1966 წ.) მარცხნივ პირველი — თემურ თარბა, სოციალისტური შრომის გმირი (სოფ. დურღეში, გუდაუთის რაიონი)

აყაყუკული აფხაზეთის ხელოვნება

რიმა ლეზგიშვილი

ტმატრი

აფხაზეთი! — წარმატაი და ულამაზესი მხარე; გამრჯე, შრომისმოყვარე, ნიჭიერი ხალხი. ნაჭები აფხაზური ძველთაძველი კულტურა, რომელიც ჩვენი ქვეყნის კულტურის ერთიან ნაკადს ერწყმის, აესებს და ამრავალფეროვნებს. აქაც, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში, სამართლიანად ამავიზებენ მიღწევებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. აფხაზეთის მხატვრული ინტელიგენცია მრავალი კარგი და სასარგებლო საქმის წამომწყებია, მას ბევრი რამ აქვს გასაზიარებელი, სასახელო. ეს წერილი მიზნად არ ისახავს საფუძვლიანად მოიცვას აფხაზეთის მრავალმხრივი მხატვრული ცხოვრების ყველა სფერო, გვინდა მხოლოდ მოკლედ მოვეთხროთ მკითხველს, თუ როგორი წარმატებებით ეგებებიან ხელოვნების მუშაკები საბჭოთა სახელმწიფოს დიად 50 წლის-თან, რა გაკეთდა, რა კეთდება.

ამბობენ, თეატრის სახე თუ მიმართულება ერთი წარმოდგენით, ხოლო რეჟისორის თვალთხედვა და ხელწერა ერთი დადგმითაც შეიცნობაო. ამიტომ, როცა სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზური დასის დღევანდელ ცხოვრებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენი მიერ ნანახი სამი წარმოდგენითაც შეიძლება მეტ-ნაკლებად სწორად გავარკვიოთ ხელოვნების ამ ერთუზიასტა სასახელო, ნამდვილად საამაყო საქმეები, განვსაზღვროთ კოლექტივის მხატვრული მრწამსი და პოზიციების სიმყარე, ბოლოს, ვისაუბროთ მის უახლოეს გეგმებსა და პერსპექტივებზე.

დავიწყით თავიდან: აფხაზეთის თეატრის ისტორიის ფურცლებს თუ გადავხე-

2. „საბჭოთა ხელოვნება“, № 7, 1967.



„აბრასკილი“
სცენების ჩემბას
სახელობის სახელმწიფო
დრამატული თეატრის
სექტაკლიდან
(აფხაზური ღამის)
აბრასკილი — ნ. კაქვია
აზნა — ე. კოლონია

ლოცა. ესენი იყვნენ ვ. შაკირბაი, ლ. კასლანია, ვ. შოკერი, შ. ფაჩალია, რ. აგრაბა, ა. აგრაბა, ა. მასარია, ი. ჩიჩუა, მ. კოვე და სხვები. მათი უმრავლესობა დღესაც ნაყოფიერად მოღვაწეობს. მთავარი იყო ფეხის ადგმა, საქმის წამოწყება და მსახიობებისა და რეჟისორთა ასალი კადრები, რომლებიც თვინაინთი ბედი თეატრის ცხოვრებას მჭიდროდ დაუკავშირეს. რამდენიმე წელიწადში თეატრმა განახორციელა მრავალი პიესა, მათ შორის ი. ვაკელის „შამილი“, თ. ჩანბას „მანაჯარი“ და სხვ.

1935 წელს რუსთაველის სახელობის თეატრის სტუდიამო იკალიდებმა აფხაზური სექცია. ოთხი წლის შემდეგ სექცია, რომელიც სსრ კავშირის სახალხო არტისტების ა. სორავასა და ა. ვასაძის მეთაურობით იწვრთნებოდა, ჩათვლით წარმოდგენებით დაბრუნდა სოხუმის დრამატულ თეატრში.

მომდევნო პერიოდში დადგმების მხატვრული ღონის ასამალელებად შეიქმნა სარეჟისორო კოლექცია. თეატრის საშუალება მიეცა განხორციელებინა ბევრი ორიგინალური, ქართული და რუსული პიესა, დასავლეთის კლასიკა: ა. კორნეჩუკის „ესკადრის დაღუპვა“, ბ. ლაგერენეის „მეზღვაურები“, ადგილობრივი დრამატურგის გ. გაბუნას „შონის ამოსვლის წინ“, რომელშიც აისახა აფხაზი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ი. მისაშვილის „ჩაბირული ქვები“, გ. გულიას „გმირის კლდე“, დ. გულიას ფსიქოლოგიური დრამა „მოჩვენებანი“. აფხაზურად ავირდა შექსპირის „ოტელიო“, შიღერის „ვერაგობა და სიყვარული“ და სხვ.

საყურადღებოა ყოფილ სტუდიელთა ერთუზიანში: ისინი არა მარტო პირველი პროფესიონალი მსახიობები არიან, არამედ თვითონვე დაგმებ პიესებს და მოწოდებენ ენაზე თავგანწინან უცხოურ ნაწარმოებებს. ს. სევერია არიან რ. აგრაბა, შ. ფაჩალია, ი. ჩიჩუა, მ. კოვე, ი. კოკოტავა, ასეთი ოსტატი მსახიობების წყალობით დახი შემოქმედებითად იზრდებოდა და იწვრთნებოდა, საერთო ყურადღებას იმსახურებდა.

ეს თეატრის არც ისე შორეული, მაგრამ სასიხარულო წარსულია.

ახლა ვილაპარაკოთ დღევანდელ აფხაზურ დასზე, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალგაზრდა და ნიჭიერი რეჟისორი ზუტა ჯოპუა.

რა თქმა უნდა, ვილაპარაკებთ მხოლოდ იმ სამ წარმოდგენაზე, რომლებიც ვნახეთ. ესენია ადგილობრივი დრამატურგის გ. გუბლიას „შინთანა ჩემი სიყვარული“, ა. ლავილიავასა და გ. სულიკაშვილის „აბრასკილი“ და იუგოსლაველი დრამატურგის ი. დობრიჩანინის „სამი ბულბულის ქუჩა № 17“.

„შინთანა ჩემი სიყვარული“ მოგვიხსნობს აფხაზი ხალხის ბრძოლაზე თავისუფლებისათვის, რომელმაც უნდა დამახოს ძველი, დახასიებული ყოფა, ექსპლოატატორთა ბატონობა.

სოფლის მშრომელთა სიღუპიერეს ვენწობით გულს ბატონი ოჯახში, რომლის ერთადერთი ვაკეცია შინაგანა ხალხისათვის ბრძოლაში თითქოსდა დაიღუპა. ბატონის როლს ასრულებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. კოვე. იგი უზრალთა თავის მწუხარებაში, აღბათ არც იცნობებოდა, თუ არა მისი მიღებულ მსიგებრა (საქართველოს სსრ დასახურება)

დავთ, ამოვიკითხავთ პლატონ შაკერლის სახელს, სწორედ მან 1917 წელს პირველმა ჩამოაყალიბა დრამატული და საგუნდო წრები. შემდგომში კი ავ საფუძვლს შესანიშნავი შუბობა დაადგა აფხაზეის სახალხო პოეტმა დიმიტრი გულიამ, რომლის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთოდ აფხაზური კულტურის განვითარება.

1919 წელს დ. გულიამ სოხუმის სამასწავლებლო სემინარიამი, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, შეადგინა აფხაზური დრამატული წრე და რუსულიდან და ქართულიდან თარგმნა რამდენიმე პიესა.

1921 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დაყარების შემდეგ, მანვე ახალგაზრდობისაგან შექმნა აფხაზური დასი. უკვე 1929 წელს ჩამოაყალიბა პროფესიული თეატრი ვ. გარეის ხელმძღვანელობით, როცა დაიდგა ვ. დარსელის პიესა „მიყრუებულ მხარეში“.

მოდვენი წელიწადს სოხუმში არსდება პირველი აფხაზური დრამატული სტუდია ვ. დომაგაროვის ხელმძღვანელობით, რომელიც მოსწავლეებს სამსახიობო ოსტატობას ასწავლიდა. სტუდიამ პირველად დადგა გოგოლის „რევიზორი“ და ა ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“. წარმოდგენებმა წარმატებით ჩაიარეს და პრესაში ქებით მოიხსენიეს როგორც დამდგმელი, ისე მომავალი მსახიობები. ამავე წლებში სოხუმის პროფესიული თეატრის სცენაზე ავირდა პიესები: „მიყრუებულ მხარეში“, ს. შანსიაშვილის „ანზორი“, ლოპე დევეგას „ცხვრის წყარო“.

1933 წელს აფხაზურმა სახელმწიფო დრამატულმა სტუდიამ თავის პირველ ცამეტ აღზრდილს ცხოვრების გზა დაუ-

ზლი არტისტი მ. ფაჩალია) — დიჩვი და ნალვლიანი, სიღარბითა თუ შედურებით მოტეხილი მოხუცი, და ახალგაზრდა რაღი ზიფა.

სიყვარული ერთგული ადამიანის დამაჯერებელი სახეების მსახიობი ს. დბარი (ზიფა). ზიფას სიყვარული ქირისადმი, მისი დაკარგვის შემდეგაც მტკიცე და შეუბღალავია, არ თუ ლაბატი, ამის გაიჭირებაც ეი თავგარსა სცემს.

მეწვევიანების ქარის რიგებიდან სოფელში ბრუნვება თავი აკულანკერი (მსახიობი ჩ. ჯენია). მისი დამკამები აწიოკებენ ისედაც გაღატაკებულ სოფელს, პატრიის სახლსაც დაკვირვებანი და მიერკვირებანი ოჯახის მარჩნალ სარებს. სწორედ ამ დროს მოდის აკულანკერი და იხსნის მათ გასაჭირისაგან. მოქუფრული ხედება მას ზიფა. არა, მას არ სურს თავადის დამხარება, იცის, რა ბოროტი განზრახვები დაიარება იგი ამ ოჯახში. ჩ. ჯენიას აკულანკერი თავმოწინე და ამგზარია, დარწმუნებული თავის ძალას და ყოლისშემქმლობაში. აი, დგას იგი ზიფას წინაშე და ქათნაურს ეუბნება. ქალის სახიდან კი მხოლოდ სიძულვილი და ზიფი გამოკრის. უკურთხე მსახიობს და გჯერათ, რომ ასეთი ადამიანი არასოდეს შეაწყვეს ოჯახს, ქმარს და საკუთარ ღირსებას. ს. დბარის ქვევაში, სიტყვაში სიყალბებს, ცრუ პათოსს ვერ შეამჩნევთ და, ალბათ, იგი შესანიშნავი მეუღლის და მებრძოლი ქალის სახეს შექმნიდა, თუ არა დრამატურულიად სუსტი მასალა, რომელიც დასაწყისში ბერის გვირგვინა, მაგრამ შემდგომში აღარ ვითარდება და ამით ერთგვარად უფერულს და უმოქმედოს ხდის მას.

ჩ. ჯენია საკმაოდ მრავალმხრივად წარმოგვიდგენს თავის გმირს, იგი ერთდროულად თავმოწინეც არის და ამაყიც, ლაჩარცე და მოღალატეც. მან იცის: „შეგარდნი უნდა დაბა, რომ არ გაფრინდეს“ და ასეც უპირებს ზიფას. მისი ურთი განაწყვენილი იხტიბარს მაინც არ იტყვის: „ადრე თუ გვიან მაინც ჩემი იქნებიო“ — ეუბნება.

დიდი და მოულოდნელი ბედნიერება მოდის პატრიის სახლში. უკვე გამოტრეხილი შხანიკა უენებელი ბრუნდება და ცხოვრების გამოცდილებით გამდიდრებული ებმება ძალაღობასთან ბრძოლაში.

მისი ამხანაგები რვეჯომის ბრძანებით რაზმად მთიელებს მენშევიკების წინააღმდეგ, თვითონ კი სოფელში რაზმი უნდა შექმნას და შეაფრხოს მენშევიკების ქარის საომარი მოქმედება. აკულანკერი მას აბატირებს, ვაჭრის მოკვლას და ფულის გატაცებას აბრალებს. მიმდინარეობს დავითვა: რატომ მოკლეს? ფული უნდა რეზიდოდა? იარაღისათვის? რამდენი კაცი ჰკავს რაზმში? ვინ არიან? და რაკი ვერავარებს გახდება, სცემს პატიმარს. მოქმედ გამომძილი ღარიში ხობოლა ვერ აიტანს ამ უსამართლობას, და თუმცა აკულანკერმა მოისყიდა, მაინც სიმართლეს ამობას: ვაჭარი აკულანკერმა და ყარაღმა ბაკაემ მოკლესო. ხობოლას როცა გულწრფელად და თავისებურად თამაშობს მსახიობი ა. ტანია. მისი წარმოსახვით, ეს არის უკუღმართი ცხოვრებით დაბეჭავებული, ცოტა თითქოს მოსოფელი ღატაკი, ამასთან გულკეთილი და ადამიანის გამკითხავი.

საერთო შეჯახებისას ხობოლა კვდება. მძიმედ დაჭრილი მხანიკა იგი გაიქცევა და თან მიაქვს თანამებრძოლების სია,

რომელთა დაჭერასაც აპირებდნენ. ამაღლევებელი და მგრძობიარეა მისი უკანასკნელი შესვერა მეგობრებთან, მეუღლესთან. შხანიკა კვდება. მისი მეგობრები ფიცს დებენ იბრძოლონ საბოლოო გამარჯვებამდე.

საქართველოს სსრ-ის აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტის შ. ფაჩალიას შხანიკა სიმპათიური, გულთბილი ადამიანია, ნაღვლილი მიწის მუშა, რომელიც დაღალა მძიმე ცხოვრებამ და მხოლოდ შრომა, მიწასთან ჭიდილი ფოლისღვრა სწყურია. მაგრამ მოვლენების განვითარებამ აიძულა იგი იარაღისათვის ხელი მოეკიდა და სიცოცხლეც შესწირა მშრომელთა მომავალს.

გულწრფელ გოგონას ნინას ასახიერებს აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ვ. მანი. პირნათლად ასრულებენ დავისრებულ როლებს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. კოკოსკერია (ზოსმა), ა. გოგევი (გამომრეცხელი), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. ჩიოჯა (ბაჯაღა), მ. ზუზუბა (კამეგუ), შ. გიგება (ზურაბი), საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლ. კასლანია (მღვდელი უსილი), ს. საკაინა (დიავალი), ს. ჩუახი (მურგე), ი. მაღალაშონია (ქამაზა) და ნ. ქიშვარია (იტამა).

რა შეიძლება ითქვას ამ პიესას და წარმოდგენაზე? სიუჟეტური ზღარბითა და ამბების სირთულით გატაცებმა დრამატურგს საშუალება არ მისცა ღრმად გაეხსნა სასათები. ამის მიუხედავად, დადგმას პროფესიული კულტურის ბევდი აზის. რეჟისორმა ს. ჰოპუამ დასახიომებელი სცენები შექმნა. ასეთებია, მაგალითად, დავითვა და მის შემდგომ შეტაკება, ფიცის დადება და სხევი.

მხატვარმა ე. კოტლიაროვმა მხარი კარგად აუბა რეჟისორის ჩანაფიქრს და მსახიობების მოქმედებისათვის საჭირო გარემო შექმნა. მელოდიურია, ზოგან ამაღლევებელი და მშფოთავარ მ. ბერიკაშვილის მუსიკა, რომელშიც შეიცნობა ფოლკლორული შესანიშნავი გამოყენება.

ივოსლაველი დრამატურგის დ. დობრიჩანინის პიესა უბრალო ყოფიის ამბებზეა აგებული: ჯერ კიდევ დაუმთავრებულ სახლში მუსასღვინან დილომანტი კანტა, უსაქური ახალგაზრდა ცერკონი, მოხუცი ბადა და თვისი ამალი — ქალიშვილი ადუშათი, სიძე ქურჩით, შვილიშვილი ლუციკაი და შაშუკა — მარტოხელა ქალი, რომელიც დამით ღია ფანჯრიდან გადაეჭრება. ყველა ცდილობს დავიკოს უკეთესი ოთახი. ყველაზე მეტად ზარალდებინ კანტა და ციცერონი, თუმცა ისინი პირველი შეიდან: ერთი აბასისათვის განკუთვნილ ოთახში მუსასღვინან, მეორე კი საშარაურლოში.

თემტიკურ-სიუჟეტურად ნაწარმოებში ახალი და გასაცარი არაფერია. მაგრამ მისი დადგმა ახალგაზრდა ხელოვანის ს. ჰოპუას უდაოდ წარმატებაა. იგი მოხერხებულად ძლევს ტრევიკალი სიუჟეტთან დაკავშირებულ სიძულვებს და პოულობს წარმოდგენის რიტმს, ახერხებს ზუსტად და სახასიათო ტიპაჟის შექმნას. სადა და ლაკონური მხატვარ ტ. ფვანიას ნამუშევარი. მან დეკორაციებით არ გადატვირთა სცენა, რამაც დადგმას სიმსუბუქე შესძინა, ხოლო რეჟისორსა და მსახიობებს საშუალება მისცა უკეთ გამოეჩინათ თავიანთი შესაძლებლობანი. ლაღი და ხალისიანია მ. ბერიკაშვილის მუსიკა. სა-

ერთად, წარმოდგენაში კარგად იგრძნობა რეჟისორის, მსატვრისა და კომპოზიტორის აზრის ერთიანობა და მთლიანობა.

ბაღრას თამაშობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი რ. აგბრა. თავნება, მზრძანებლური, ახირებული მოხუცი მებაღური საკუთარი ძალაუფლების გარდა სხვას არაფერს სცნობს. და ამიტომაც მას ყველა უნებლიეთ ემორჩილება. გამოცდილება და უტყუარი აღღარ დაღლატობს მსახიობს. იგი თითქოს თვით სინამდვილეა სცენაზე ასული.

ადრეას როლს ასრულებს ახალგაზრდა მსახიობი ე. კოლონია. ადრეა მამის ღირსეული შვილია და ბაღრას შემდეგ ოჯახში მხოლოდ მის სიტყვას აქვს გასავალი. ჩასუკებული, მყვარალა და მოჩუბებარია ადრეა. მაგრამ მსახიობი იმდენად გულწრფელი და სანახაობრიად საინტერესოა, რომ მის მიმართ უნებლიეთ სიმპათიას გრძნობთ და გიყვით, ამ ნაწმარომანტიკულმა ქალმა, როგორც არის იგი „აბრსკილი“, როგორ შეძლო ასეთი სახასიათო სახის შექმნა. სწორედ ამას ქება გარდასახვას!

ზოგჯერ მსახიობი სცენაზე მოულოდნელად წაიბორძიკებს ხოლმე და ეს დარბაზში ხმაურს, უკმაყოფილებას იწვევს. და, აი, ადრეაც შემთხვევით წაიქცა და ქმარიც თან წაიყოლია, მაგრამ სულაც არ დაბნეულა: მყისვე წაუთქა (ესეც მას დააბრალო!) როგორც იქნა წელი ათირია, ქმარს ფიკაკში სწვდა და ბურატინოსავით წამოაყენა. ამ შემთხვევამ გულღია სიცილი და ტაში გამოიწვია. კარგია იგი წალაპარაკების, ჩხუბის დროს, მაშინაც, როცა მეზობლებს უსიამოვნებებს უწყობს: კარის წინ ნაგას უყრის, მათი გულის გასახტვად სამზარეულოში ხმას „ამუშავებს“ და სტოკატობს „ურტყამს!“

ადრეას ანტიპოდია მისი ქმარი ქუჩირი (ამ როლში შესანიშნავია შ. კოევე). ეს არის ყველას და ყველაფერის მიმართ გულგრილი, აუღელვებელი, ოდნავ დაბეჩავებული ინტელიგენტი,

რომელსაც კროსფორდების ამოხსნის მეტი არაფერი აფიქრებს. საინტერესოა მისი პორტრეტი: მაღალი, გამხდარი, გრძელცხვირა, მუდამ არასწორად შეკრული ფიკაკითა და ილიაში ამორჩილი საცაღალდეთი. მას არც საკუთარი აზრი აქვს და არც რაიმე სურვილი, ხელმარცხიანი და გამოუსადეგარია.

ლუციას ასახიერებს ლ. გიგია. იგი შეყვარებული, ამყი და თავმოწონე ქალიშვილია. ქარაფშუტა, მსუბუქი ქცევისა და უპრეტენზიო ქალის ლულას მგვეთრ ხასიათს ქმნის გ. მარკოლია. კანტა (ნ. კამკია) გულურყვრილი, ხათრიანი და უთქმელი ასპირანტია, რომელსაც ყველა ავიწროებს და აწუხებს. ა. ტანის ციცირონი უსაქმური ოპტიმისტი. არც სწვლობს, არც მუშაობს. ბეგრჯერ სცადა ოჯახისათვის ხელი მოეკიდა, მაგრამ ამოღო — ყველამ ზურგი შეაქცია. ის კი იხტიბარს მაინც არ იტყვს, სჯერა, რომ მისი „ობლივიცია, ადრე თუ გვიან, მოიგებს“ და მდიდარი, დამოუკიდებელი გახდება. სწორად აქვს გააზრებული როლი საქართველოს სსრ სახალხო არტისტს მ. ზუზხას (შაშუკუა). მისი გმირი მარტოობის და უპატრონობის ნიღბს ამოფარებია, სულ წუწუნებს და მოთქვამს, სინამდვილეში კი ყველას და ყველაფერს თავის სასარგებლოდ იყენებს.

უპრეტენზიო ყოფითი წარმოდგენით მაყურებელი ეცნობა უბრალო ადამიანების პატარა სამყაროს. მათ გულისტკივილსა და სიხარულს და სწორედ ამით არის დადგმა მოსაწონი.

ა. ლავიკიას და გ. სულიკაშვილის „აბრსკილს“ საფუძვლად დაედო ცნობილი აფხაზური ძველთაძველი ლეგენდა, რომელიც უმღერის ხალხისათვის ბედნიერების მომტან გმირს, აცოცხლებს შორეული წარსულის სურათებს და სიზარტლისა და ბოროტების ჭიდილში პირველის გამარჯვების,

ალოუ — შ. აგბრა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი



„აბრსკილი“ სოხუმის ჩემბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლი
მდილი — მ. ზუზხა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი



სიკეთის ზემოის გარდუკალობას ჯადაგებს. ამ გმირული დრამის სიუჟეტი ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია, ხოლო წარმოდგენა — პრინციპულ მოვლენად აფხაზური დასის ცხოვრებაში.

საქმის გახალავთ, რომ აბრსკილი ამირანისა და პრომოთისის პროტოტიპია, ხოლო მასზე შექმნილი ლეგენდა ცნობილი თქმულებების აფხაზური ვარიანტი, უფრო სწორად, ეს არის დამოუკიდებელი ხალხური ეპოსი. არ დავიწყებთ თქმულებათა შედარებას (ეს ფოლკლორისტიკებმა უკვე გააკეთეს), მაგრამ მათ აკავშირებთ ერთიანი იდეა — ბრძოლა ხალხის ბედნიერებასათვის, უხუში ძალის, ძალადობისა და ბოროტების წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ ცეცხლის მოტაცება აქ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს და გულისხმობს ჩაგრულთა ხსნას, მათ სიეთვეთ ზრუნვას. სწორედ ასეთია აბრსკილი, რომლის ცხოვრების ამბები მიმზღველ დრამატურგიულ მასალას ქმნიდა, და რა სასიხარულოა, რომ აფხაზმა დრამატურგებმა ხელი მოჰკიდეს ამ მეტად რთულ თემას. და არა მარტო მოჰკიდეს, არამედ ბევრის მხრივ წარმატებით გადასჭრეს კიდევ სიუჟეტი საკმაოდ დაბალუდ, ცოცხლად ვითარდება, თუმცა ავტორებმა თავი ვერ დააღწიეს მის ერთგვარად გადატვირთვას სხვადასხვა წიაღვლებით, წმინდა სცენური მოულოდნელობებით.

ნაწარმოების დედააზრია სახალხო გმირის აბრსკილისა და ბოროტების, შავნული ძალების მატარებლის ალოუს დიალოგის შემდეგ, რაც ჩაგრულთა შუქზე და ქომაგი კლდეს მიჯაჭვებს.

დატყვევებულ აბრსკილთან ქედმაღლურად დგას ალოუ და შეიღვრება დასცინის მის უშუქობას. მაგრამ გმირი სულიერად არ გატყვობია, არ დაცემულა. მას სწამს, რომ სამართლიანი საქმე მიიწე გაიმარჯვებს და მტერს ომპიანად შესძახებს: — ვინც ხალხთან არის, ის უკვდავია!

ალოუ: — მაგრამ ყოველივეს ხომ დასასრული აქვს. შენი აბრსკილის ტომიც დადგა.

ა ბ რ ს კ ი ლ ი — არა, ეს ჩემი მხოლოდ დასაწყისია.
ალოუ — მერედა ვინ იბრძოლებს?
ა ბ რ ს კ ი ლ ი — ხალხი!
ალოუ — ვინ წარუბღვება მას? შენ ხომ კლდესა ხარ მიჯაჭველი?

ა ბ რ ს კ ი ლ ი — მოვლენ სხვები, ჩემი მსგავსი, ათასობით სხვა! ისინი თავს არ დახრიან ბოროტებისა და სიბნელის ძალადობის წინაშე!

ასეთი ოპტიმიზმით არის აღსავსე ნაწარმოები, რომელიც სცენაზე აცოცხლებს მსოფლიო მითოლოგიის ლეგენდარულ გმირს, ღმერთებს რომ არ შეეპუა.

წარმოდგენა პიესის ერთ-ერთმა ავტორმა — აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დანახარებულმა მოღვაწემ გ. სულაკაშვილმა დადგა. ცხადია, ამ ჰეროიკულ-პატრიოტულ დრამაზე მუშაობისას იგი უკვე „ხედავდა“ მას სცენაზე, ბევრი რამ ადრევე ჰქონდა მოფიქრებული და გააზრებული. ამიტომ მთლიანად დადგმა შთამბეჭდავი გამოვიდა. იგი, ფაქტიურად, სახალხო დრამაა და რეჟისორმა მთავარი ყურადღება სწორედ მასობრივ სცენებზე გადაიტანა. მასა აქ აქტიური, ქმედითი ძალაა, რომელიც დამოუკიდებელ სახეს იძენს. აქვე ავტორ-რეჟისორის საყურადღებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოდგენა დიდა და მოვლენათა სწრაფლმონაცვლობის მიუხედავად, ერთგვარად დამძლეული, როგორცაც გაჭიანურებულაც გვეჩვენა.

ფეხბურთის მხატვარ ე. კოტლიაროვის ნაშუუგარი, მაგრამ აქაც შეინიშნება დანადგარებისა და ფარდების სიჭარბე.

ახლა მოქმედ პირებსა და შემსრულებლებზე: აბრსკილი მშფოთვარე ბუნების, გონიერების განსახიერება და ასევე ძირ-წავეს მას ნ. კამკია. მისი გმირი ხალხის თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლია, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგომი, იმედის თვალით რომ შესცქერის ნათელ მომავალს. ნ. კამკია ვაჭკაცური და შუუპოვარია თავისი პირდაპირობითა და მიზანსწრაფვით, მტრებისადმი მრისხანებით აღვსილი და რაინდული კეთილშობილებით გამჭკვალული, დამინებულთა

გ. გუბლის პიესა „შენთანაა ჩემი სიყვარული“. აკულანკერი — ა. ერმოლოვი



სცენა სპექტაკლიდან „სამი ბუღბუღის ქუჩა“, № 174
მონაწილეები: რ. ავრბა, მ. კუკუ (საქ. სსრ სახალხო არტიტები)
ე. კოლოზია, ა. ტანიია, რ. კამკია, ნ. ნაჭუბია



უნვარო ჯომბაძე, მსახიობის გარდასახვის უნარი საშუალებას აძლევს უკეთ განგვაყდევინოს აბრკალების ჭუნვა თუ სინარული, კაცთმოყვარობის ზეიმის რწმენა. ამ რთული როლის დაძლევა ახალგაზრდა მსახიობის შემოქმედებითი წარმატებაა.

საინტერესო სახვა აიტიარი — აბრკალების დედა, შვილზე ნაკლებად რომ არ უყვარს მრავალტანჯული თავისი ხალხი. რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. არგუნის შესრულებით იგი მგრძობიარე, საუთუი და სათნო ქალია, დღენიადაც ხხეებზე მზრუნველი.

ავილიო როდია სასწორზე დაღო ორი გრძობა — დედური სიყვარული და ხალხის წინაშე უნებლიე დანაშაულის შეგრძობა, კა ნებისყოფა უნდა ქიონდეს ქალს, რომ გულიდან შვილის სიყვარული ამოირეცხოს! სწორედ ასეთია მადინა — რთული და მრავალწინახარული სახე, რომელსაც ბედმა საუკუნო ტანჯვა-წამება არგუვა, რადგან დედა აღუყო. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ზუხბა შინაგანად ხსნის ბედარული ქალის ტრაგედიას, ფერებს არ იმურებს, რომ სრულად გადაგვიშლოს გრძობათა ჭვიდილიმი სიმართლისა და სიკეთის საწყისების გამარჯვება.

მწითური თმა, წვერი და ასეთივე სახე, ციხერად ოდნავ მოჭკუტული ცალი თვალი, ზოგჯერ შემეპარავი ლაპარაკი, ხშირად კი მზრანებულური კოლო, ცივი და პირველი — ასეთია აღთლუ სცენური პორტრეტი. იქნებ გვირის ხსისათის ასე აშკარად, შუამზარულად მოცემას დამსწრე თავიდანვე შეჰკავდეს მომქმედ პირობა სამყაროში, მაგრამ ამით გამოწვეული უკმაყოფილება გაიფიცდება, როცა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. აგბას უყურებ. მსხიობის ყოველივე ზღვრულად აქვს ჩამოყალიბებული — ქვევა, სარაული, მიზრა-მიზრა, თითების მოძრაობა.

უარხანისათვის მთავარია დამიანებს ტანჯვა მიაყვინოს, ნინიშენლბადა არა აქვს, ვის და რამე. ამ სწორხაზოვანი სახის მიუხედავად, მსახიობის ნ. აგუმა აჩვენებს ახერხებს როლის ცოტად თუ ბევრად გამრავალფეროვნებას. დილის სიოსავით ნაზი და აღერსიანია აშას როლის შემსრულებელი ე. კოლონია. იგი წმინდა სულიერად და მომობილაი გარეგნულად, წარმტეცი და ხალასი; სწორედ ასეთი შეუყვარდებოდა აბრკილს. რ. აგბას ბატონისი დამცემი და ენაშწავლა, მაგრამ ამაში იფარება ტირანისა და ულუკრფელი სიძულელი.

ბაბალის პირით თვით ხალხური სიბრძნე და ჭეშმარიტება დადებებს. საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. კოკოსკერია ამ როლში გულწრფელი და უშუალოა.

ჩვენ საშუალება არ გვაქვს მეორე პლანის ყველა პერსონაჟი ცალ-ცალკე დავახასიათოთ. ვიტყვიით მხოლოდ, რომ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შ. კოვე (ადგუა), ო. ლივოლავა (ხიზანი), ა. ტინია (უხაიდი), რ. კოპუა (რეზოლი), შ. ქიება (კუნტა), ი. მაღაზინია (სოუზარი), რ. ჩამბა (ბიჭი), მ. ზუხბა და ა. გუაჯბა (მეომრები) კარგად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას.

ასეთია სიხეშის თეატრის აფხაზური დასის სამი დადგმა. ისინი მომწონს, რომ ამ თეატრის სახით გვაყვას პროფესიული და ნიჭიერი მხატვრული კოლექტივი, რომელსაც ძალა შესწევს ხარისხოვნად გადასჭრას რთული მხატვრული ამოცანა. წარმოდგენები გვახარებენ დადგმის კულტურით, დასის შემოქმე-

დებით აქტივობითა და ინტენსიობით, მსახიობთა მხრივ საქმის სიყვარულით, ურომლისოდაც წარმატებაზე ფიქრი კი შეუძლებელია.

ცხადია, რეპერტუარში მართო ეს დადგმები როდია. მაყურებლებს მოსწონთ სხვა წარმოდგენები, რომელთაგან ბევრი ორიგინალურია. ესენია დ. გულიას „მოჩვენებანი“, ა. ლავილიას „განათიდას წინ“, მ. ჩამბუას „აფხაზი ივანე“ და „ოქროს ბილიკი“, ნ. თარბას „ადილი როდია ლექსების შეხზვა“, აგრეთვე შექმნილი „ოტელი“, ფ. ლტყავი, პ. კოპოტუის, ე. შვარცის, პ. კაკაბაძის, რ. გერბლიძის, ი. შტეიკის პიესები. სულ ახლახან რეჟისორმა მ. მარხლონი განახორციელა ბ. ბრეტის „ბატონი პენტილა და მისი მსახური ბატოლი“, რომელიც დამსახურებული წარმატებით სარგებლობს, ამრიგად, თეატრი საგანგებო ყურადღებას უთმობს ერთნაირ დრამატურგიის განთავრებას, ამასთან კლასიკას და თანამედროვეობასაც ხალხითი კვიებს ხელს.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეაქვს დასის მთავარ რეჟისორს, ნიჭიერ და დაფიქრებულ ხელოვანს ხუტა ჯოჰაძეს. იმის გარდა, რომ ბევრი პიესის დამდგმელი თვითონ არის, იგი ნაყოფიერად ზრუნავს დასის შემდგომი დაოსტატებისა და წარმოდგენების მხატვრული სრულყოფისათვის.

თეატრს, ბუნებრივია, აქვს თავისი დამახასიათებელი ხარვეზები, რომელთა გამოსწორებისათვის მთელი კოლექტივია დარჩენილი. ამთვან მთავარია მაღალხარისხიანი ახალი ორიგინალური პიესების ნაკლებობა. ამგავად აქ ინტენსიულად მუშაობენ ადგილობრივ ავტორებთან და იმედი აქვთ, რომ უახლოეს დროში ისინი საინტერესო ნაწარმოებებს შექმნიან. შემოქმედების ვეგამია ა. გაგასა „თოელი და ელქვი“, რომელიც ავტორის პირველი ცდაა დრამატურგიაში. პიესა ასახავს ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულს — სოფლის კოლექტივიზაციის პერიოდს. გადაწყვეტილია დაიდგას გ. გაბუნის „შუის ამოსვლის წინ“, ნ. ჯოჰაუას საყვარელი დრამატურგია ესპანელი ფ. ლორკა. ადრე განახორციელა „სისხლიანი ქორწილი“ და ფიქრობს სულ მალე ხორცი შეასახა მის ტრაგედიას „ირემს“. ამით გარდა სიხეშელები ნახავენ დ. ახუბას „ყოღდების მონანიებას“, ს. ჩანბას „ბაკსავაგოს“. ყველა ეს დადგმა მიყვარდება დიდი ოქრომბრის 50 წლისთავს, რისთვისაც თეატრი გულმოდგინედ ემზადება.

მთელ თავის მუშაობაში რეჟისორი ყურდნობა დასის ნაცად კადრებს, რომლებიც მრავალი წელიწადია ამ სცენას ერთობლივად ემსახურებიან. ესენი არიან საქართველოს სახალხო არტისტი შ. ფაქალია, რომელიც მთავარ როლებს ასრულებდა „ოტელიში“ (იაკო), „მედვიში“ (იაზონი), მას გეგუროვის ზოიგირითი პიესის თარგმანი, თვითონაც არის პიესების ავტორი. საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ი. ჩოჩუამ აფხაზურად თარგმნა შექსპირი, ა. ისტაროსკი, ი. ვაკელიის „შამილი“, „სტერის წყარო“, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლ. კასლანია შესანიშნავად თამაშობს ოტელის, შვარცის შიშველ მეფეს და სხვა რთულ როლებს. რესპუბლიკის სახალხო არტისტი რ. აგბა არა ერთხელ წარმოდგარა მაყურებელთა წინაშე როგორც დამდგმელი, მან თარგმნა ს. შამანიშვილის „ანზორი“, მაგრამ, რაც ყველაზე აღსანიშნავია, ნ. პოპოდინის „კრემლის ურანტებში“ ლენინის

როლი განასახიერა. მაყურებელთა დამსახურებული სიყვარულით სარგებლობენ საქართველოს სახალხო არტისტები მ. კოჯი, ი. კოკოსკია, საქართველოს დამსახურებული არტისტი მ. ფაჩალია, აღსანიშნავია საქართველოს სახალხო არტისტის ა. აგრბას დამსახურება თეატრის ზრდასა და განვითარებაში. იგი წლების განმავლობაში იყო დასის მხატვრული ხელმძღვანელი და სცენაზეც ხშირად გამოდიოდა. ამჟამად კი ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია.

იმათგან, რომლებიც სცენაზე არ ჩანან, მაგრამ მთელი კოლექტივის ავტორიტეტი დამსახურებს, არის აჭაური მუხეუმის გამგე ო. კანდელაკი. იგი გულისყურით ექვევცა დავალუბას, სულ უმცირეს ფაქტებს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო მასალებს აგროვებს, მაგრამ ასე იქმნება თეატრის უტყუარი ნატიანი.

როგორც ცნობილია, სოხუმის თეატრში ორი დასი არსებობს: აფხაზური და ქართული. ისინი რიგრიგობით დგამენ წარმოდგენებს და ერთმანეთის სიხარულით ხარობენ, მეგობრულად შრომობენ. ჩვენ საშუალება გვქონდა ქართული დასის მამინდელი მთავარი რეჟისორის ა. ქუთათელაძის დადგმით გვეჩვენა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ეს არის ანტიკური ტრაგიდიის ძალზე საინტერესო და თავისებური წაკითხვა. იდიპოსის როლს შესანიშნავად ასრულებს ლ. ფილფანი.

თეატრის მომავალი უთუოდ მყარია იმ მხრივ, რომ დასს შეეწყინენ ახალგაზრდა მსახიობები, რომლებმაც თეატრალური ინსტიტუტი დამთავრეს. რ. კოპუაძე, ს. საკანაძე, ი. ცარგუშა, მ. ზუხბამ, ჩ. ჯანაძე, ნ. ლავილაშვილი, ზ. ჩანაძე, ა. ქიშინია, ა. გოციყვა, ვ. მანანა, ს. დბარმა, ლ. ტყეშელაშვილი, ზ. ურბილაძე და ს. ნაჭყელია უკვე საინტერესო სცენური სახეობის შექმნეს, ხოლო პირველმა მაიანმა დაწერა პიესაც „ვეფხისტყაოსნის ტრილოგი“, რომელიც გულბობლად მიიღეს.

ასეთია მოკლედ სოხუმის დრამის სახელმწიფო თეატრის აფხაზური დასის დღევანდელი სახე და მომავალი. იგი შინაარსიან, სისხლსასვე ცხოვრებას ეწევა, აფხაზეთის კულტურული მოვლენების შუაგულში დგას და მაყურებელთა სიყვარულით დამსახურებულად სარგებლობს.


სასწიმიო ხელოვნება

საქართველოს მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილება აერთიანებს 34 წევრსა და კანდიდატს. ადრე შედარებით მცირერიცხოვანი შემოქმედებითი კოლექტივი ბოლო წლებში საგრძობლად შეივსო ახალგაზრდა ეროვნული კადრებით, რომლებიც საპეციალური განათლება აქვთ.

აფხაზეთის მხატვრები მათხარად მონაწილეობენ თავიანთი რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში. ყოველწლიურად აწყობენ სამხატვრო გამოფენას სოხუმში, ასურათებენ წიგნებს, აფორმებენ თეატრალურ წარმოდგენებს, ამშვენებენ ქალაქს. აფხაზი მხატვრები არიან საქართველოს სახვითი ხელოვნების რესპუბლიკური გამოფენის მუდმივი მონაწილენი თბილისში, მათი არა ერთი ნაწარმოები იყო ექსპონირებული საკავშირო გამოფენაზეც მოსკოვში.

1965 წელს აფხაზეთის მხატვართა ცხოვრებაში სასიხარულო მოვლენად იქცა ჯგუფური გამოფენა მოსკოვში, რაც

მ. ეშბა
მწერალ
და ახსენ
პორტრეტი



ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მათი შემოქმედების პირველი დამოუკიდებელი ჩვენება იყო. მასში მონაწილეობდნენ მხატვართა რამდენიმე თაობის წარმომადგენლები კ. ეჭვიტარია, ი. ჭკადუა, ვ. ივანა, აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ო. ბარნელი და ჭ. კუკულაძე, ვ. ბუხნოვა, ვ. დენისოვი, გ. ნარმაძია, ვ. მუსხი, ს. მინასიანი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. თაბუკაშვილი, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ი. ცომაია, ვ. შეიგოვი, აგრეთვე ი. შენგელია.

აი რას წერდა ამ გამოფენის თაობაზე მოსკოველი ხელოვნებისმცოდნე ი. სერგეევა: „აფხაზი ოსტატების ნამუშევრებში შესაშური სიბაბუკე პროფესიულ სიმწიფეს ერწყმის“.

წლებიანდელ საგაზაფხულო გამოფენაში, რომელიც მხატვრის კვირეულს მიეძღვნა და სოხუმში დავათვალიერეთ, 19 მხატვარი მონაწილეობდა. მათ წარმომადგენებს სამოცდაათამდე ნამუშევარი, რომლებიც გიზიდავთ აზრის სიხედავით, ფერთა სიუხვით, ხელოვნის თავისებურებით და ფართო თვალთახედვით. გამოფენა მოწონებს, რომ აფხაზეთში მომუშავე მხატვრები მტკიცედ დგანან სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე, არ მისდევენ სხვადასხვა „იზმებით“ მოდურ გატაცებას.

საინტერესოდ აქვს გადაწყვეტილი ვ. ორიოლიანს აფხაზი ხალხის ლეგენდარული გმირის აბრსკილის პორტრეტი. წითელ, თეთრ და შავ ფერებში შესრულებული გრაფიკული ნაწარმოები შთაბეჭდავს და დინამიკურია. კლდეს მიჯაჭვული აბრსკილი დაუოკებელი ძალის ნებისყოფის ადამიანად გვესახება.

მომხიბველია ო. ბრენდელის ნამუშევარი „მზის ჩასვლა“. შუქრიდილების ზომიერი განაწილება და სირბილე ქმნის ბუნების მიმხედველობის, სიმშვიდის, რძაღვ მოწიწების განწყობილებას.

მოხდინილად არის შესრულებული რ. გაბელიას პეიზაჟი, ამ ახალგაზრდა მხატვრის ნამუშევრების („ქალები შავებში“, „კერაზოვლები“, „მაკაჯარი“ და სხვ.) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავაცხვენთ, რომ მხატვარი უთუოდ გემოვნებიანი, მაძიებელი ბუნებისაა. მას იზიდავს თებატური ტილოები, ადამიანთა ხასიათები, თავისი მხარის ყოფა-ცხოვრება და წარსული, რომელსაც თანამედროვის თვლით ჭეგრეტს.

ყურადღებო იქცევს ვ. ერშოვას „ქალის პორტრეტი“, რ. ხოჩავას „ინდუსტრიული პეიზაჟი“, ა. კრანიუკოვის პორტრეტები და პეიზაჟი, ვ. მესხის ფანქრით შესრულებული ტილოები, ვ. ბუბნოვას აქვარელი.

მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარემ მ. ეშმაკ სკულპტურული პორტრეტში — „მწერალი დ. ახვლედიანი“ სახის ნაკეთების მკვეთრი ხასხებით, სერიოზულობით, ჩაფიქრებით კარგად გამოიგვეცა შემოქმედის შინაგანი სამყარო.

საგამოფენო დარბაზში მზერას იპყრობს ვ. ივანბას სკულპტურული კომპოზიცია „მეთევზეები“. მოქანდაკეს გონებამსვილურად მიუენია მებადურთა ბუნებრივი პოზისათვის. ნაწარმოები დინამიკურია, მკაფიოდ არის გამოკვეთილი ამ პროფესიის ადამიანთა ძალა, სხეულის ნაკეთობა და დამკვირვებელი მოძრაობა. საგულისხმოა, რომ მასვე ეკუთვნის დაღუპულ

მეომართა ძეგლის ესკიზი. ეს არის ძაძვებით მოხილი, მუხლ-მოყრილი ქალი, რომელიც თითქოს და შეიღის საფლავის წინ გაოგნებული მიწას ემიხვება.

გამოფენა ცხადყოფს, რომ აფხაზეთის მხატვრები მტკიცედ აღდგანან ცხოვრებისეული სიმართლის ასახვის გზას, მხარდა-მხარ მიჰყვებიან ეპოქას და თავიანთი შემოქმედების მთავარ თემად მიანიათ ჩვენი დღევანდლობა. აფხაზეთის მხატვრები თავიანთი მხარის ჩარჩოებით როდი იფარგლებიან, ბევრს მოგზაურობენ, მათ შემოქმედებაში ასახულია სხვა ხალხთა ცხოვრება და შრომა, ჩვენი ქვეყნის თვალწარმტაცი სანახები. ეს მათი პალიტრის მრავალფეროვნების დამადასტურებელია. სწორედ ამ სულისკვეთებით იქნება გამსჭვალული გამოფენა, რომელსაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის ამზადებენ.

აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტრომ ოცამდე მხატვარს დაუთო ხელშეკრულება თანამედროვე თემებზე ტილოების შესაქმნელად. ისინიც დიდი პასუხისმგებლობით, გატაცებით მუშაობენ და, ალბათ, სულ მალე აფხაზი მხატვრები ჩვენს სახვით ხელოვნებას ბევრ საინტერესო ნაწარმოებს შესქენენ.

შ ი ლ რ მ მ ნ ი ა

აფხაზეთი ის კურთხეული მხარეა, რომლისთვისაც ბუნებას უხვად დაუბრტყავს თავისი მადლიანი კალთა. აქ ყოველივე ხარობს, თავს გაწონებს, წარმტაცად გამოიყურება. სახელგანთქმულ კურორტებზე, სანატორიუმებში, დასასვენებელ სასტუმროსა და პანსიონატებში მუდამ ხალხმრავლობაა, ზამთარ-ზაფხულ უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ტურისტები ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან თუ უცხოეთიდან. ამიტომ ადგილობრივ მკვიდრთა თუ სტუმრების მხატვრული მომსახურება, მათი სულ უფრო მზარდი ესთეტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილება აფხაზეთის ფილარმონიის მუდმივი და სერიოზული საზრუნავია.

დილით ვესტუმრეთ ფილარმონიის დირექტორს კ. ჩალმაზს, მაგრამ მის კაბინეტში უკვე ხალხმრავლობა იყო და საუბრის დროსაც შემოდიოდნენ, სხვადასხვა გადაუღებელ საკითხს ათანხმებდნენ, კონცერტების უკეთ მოწყობასა და ბრიგადების მარშრუტებზე მსჯელობდნენ, კამათობდნენ. ჩანდა, რომ მსჯერებილიყვნენ საქმის ენთუზიასტები, რომელთა საზრუნავია მხატვრულ ღონისძიებათა მაღალი დონე, სიმრავლე და გეოგრაფიის გაფართოება, მომსახურების მაღალი ხარისხი.

წლების განმავლობაში აქ შეიქმნა და განმტკიცდა საკუთარი ტრადიციები, მუშაობის საკუთარი ფორმები და მეთოდები, დაგროვდა გამოცდილება, გაჩნდა საინტერესო სიახლეები, საზრუნავ-საფიქრი თუ პრობლემები. ცხადია, ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობათა ვათვალისწინებით, შესრულებულთა საკუთარი მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობის გამო, ფილარმონიის ვერ მოთხოვთ მრავალფეროვნებას, ფართო მასშტაბის ღონისძიებებს, მაგრამ სწორედ ამის გამოა მისი მუშაობა საგულისხმო და ყურადსაღები. იგი მოწმობს, რომ შეიძლება ბევრის გაკეთება, როცა საქმეს უნარიანად წარმართავ და მცირე რესურსებს მოხერხებულად გამოიყენებ.

სერგი გაბელია

„კერაზოვლები“



ჯერ კიდევ 1931 წელს შეიქმნა აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. ბუნებრივია, წლებს განმავლობაში იცვლებოდა მისი ხელმძღვანელობა, შემადგენლობა, მაგრამ დარჩა მთავარი — დიდი სიყვარული ფოლკლორისადმი და დღენიადგა ზრუნვა რეპერტუარის შევსება-გამდიდრებისათვის. ამჟამად მას სათავეში უდგანან ხ. ახვა (მატერული ხელმძღვანელი), მთავარი დირიჟორია გ. გუმბა, ლობჯიანი — ვ. ცარგუში, ქორეოგრაფი — გ. ჩაჩავა. ეს არის 60 კაცისაგან შემდგარი ძლიერი პროფესიული კოლექტივი, რომელსაც პროგრამაში აქვს ყველა აფხაზური ხალხური სიმღერა და ცეკვა, ქართული, რუსული და ჩვენი ქვეყნის სხვა საუკეთესო ხალხური ნიმუშები.

ანსამბლი მასებში ეროვნული სასიმღერო და საცეკვაო შემოქმედების დაუღალავი პროპაგანდისტია. წელიწადში იგი აწუხებს 150-160 კონცერტს და ხშირად გამოდის სოფლებში, სადაც არც თუ ისე დამაკმაყოფილებელი სცენური მოედნების მიუხედავად, მოწონებას იმსახურებს. ბოლო ორ წელიწადში კოლექტივი ეწვია ჩვენი ქვეყნის მრავალ დიდ ქალაქსა და სამრეწველო ცენტრს: სოჭს, როსტოვსა და მის ოლქს, ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკას, ლინინგრადს, ვიბორგს, კალინინგრადს, ხარკოვს, კიევის, ლეოვს, ჩერნიგოვს, ოდესას, ჟდანოვს, მარიუპოლს, ხერსონს, დონეცს, ბელორუსიასა და მოლდავეთს, ორჯერ გამოვიდნენ მოსკოვის მწვანე თეატრში. მიიწვია ცენტრალურმა ტელევიზიამ. ხშირად ანსამბლის მანერბლები არიან აფხაზეთში ჩასული უცხოელი ტურისტები.

ძალზე დასაინათა, რომ ანსამბლს კოსტუმები დიდი ხანია დაუძველდა და შემსრულებლებს ტანზე ცუდად ადგათ. ამიტომ მიიღეს ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. გამოყოფილია სათანადო თანხა ახალი ტანსაცმლის შესაყერად, მზატარ ს. გაბელიას შეუდგენია ესკიზები, რომლებიც ს. ვირსალაძესაც მოსწონებია. ახლა მთავარია სწრაფად შეკრვა, რასაც მოსკოვის დიდი თეატრის სამკერვალო საამქროში აპირებენ.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის ანსამბლში რამდენიმე ახალი ნომერი მზადდება. პირველ რიგში უნდა მოიხსენიოთ საცეკვაო სურათი „აფხაზეთის გმირების სსოფნას, რომლებიც დიდ სამამულო ომში დაეცნენ“. თითონ სახელწოდება ლაპარაკობს მის შინაარსზე. ამ ცეკვის დამდგმელი გ. ჩაჩავა სხვა ქორეოგრაფული სურათებსაც ანაზღაებს.

აფხაზეთის ფილარმონიის საესტრადო ბრიგადა აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტის ვ. გაჯაშელის მეთაურობით საბჭოთა კავშირის ქალაქებში ხანგრძლივი მოგზაურობიდან სულ ახლახან დაბრუნდა. მასში შედიოდნენ მოცეკვავნი, ეროვნულ საკრავებზე შემსრულებლები, მომღერლები, ოუმორისტები და ესტრადის სხვა ეანრების წარმომადგენლები.

მხარდაჭერის ღირსი საქმე წამოიწყო აჭარმა ფილარმონიამ, როცა შექმნა მუსიკალური ლექტორიები. იგი უკვე არსებობის 9 წელიწადს ითვლის და მასებში, უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობაში, მუსიკის ფართო და დაუღალავი პროპაგანდისტია. სალექციო მუშაობაში აქტიურად ჩააბეს კონსერვატორიაში აღზრდილი მუსიკისმცოდნეები ს. ქეცბა,

ვ. ივანბა



დალუქულ შემოპირთა ტეგლის ესკიზი

სერგი გაბელია

ლტოლვინი



ა. კუბა, მ. ხაშა, რომლებიც სისტემატურად გამოიხილეს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. საკმაოდ ფართოა თემატიკური რეალი, რომლებშიც შედის ლექსები „ლენინი და მუსიკა“, „ამირკავკასიის რესპუბლიკების კომპოზიტორები“, „პიონირული სიმღერები“ და სხვ. ლექსები ძირითადად იკითხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და შემსრულებლად მუსიკალური სასწავლებლებისა და სკოლების პედაგოგები გამოდიან. ნორჩი მსმენელებისათვის გამოშვებულია ორი სერვისი აბონემენტები, ამგვად, დიდ თუბილესთან დაკავშირებით, გადაწყვეტილია მუსიკალური ლექტორების მუშაობის გატყვევება სპეციალური გეგმის მიხედვით.

ფილარმონიის მუშაკებს გამოცილებამ უკარნახა საკმაოდ მრავალი მხატვრული კითხვის ჯგუფი შექმნა, რომელშიც 9 კაცი შედის. ისინი მსმენელთა წინაშე გამოიან ლიტერატურული კომპოზიციები, (მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურ, ქართლ, რუსულ, სომხურ ენებზე, კითხვობენ საბჭოთა მწერლების ლექსებს). შარშან სულ გაიმართა 357 ლიტერატურული კონცერტი. არ დარჩენილა სკოლა, თუნდაც ძნელად მისაღწომ სოფლებში, სადაც ლიტერატურული დილა არ გამართულიყოს. ცხადია, მხატვრული კითხვა სანატორიუმებსა და დასვენებულ საღებურს ეწყობა.

აქ არსებობს კამერული ჯგუფიც, რომელიც ჯანმრთელობის კერებს ემსახურება, შეძლეს შევექმნათ სიმებიანი კვარტეტიც. ჯარენიას, ნ. პოლითინისი, ი. გომანისა და ა. გორგალის შემადგენლობით, რომელიც უმათავრესად მოსწავლეთა წინაშე გამოდის.

ამრიგად, ფილარმონია ადგილობრივ ძალებს მაქსიმალურად იყენებს და ბევრს აკეთებს იმისათვის, რომ მსმენელებში დაწეროს კარგი გემოვნება, ახალგაზრდები აღზარდოს სიღამაზის სიყვარულის გრძობით.

ბუნებრივია, რომ მართკ ამ რესურსებით აფხაზეთის ფილარმონია ვერ გასწავდება მშრომელთა მხატვრული მომსახურების სულ უფრო მზარდ ამოცანებს. შარშან და წრეულს სიხუმისა და აფხაზეთის სხვა ქალაქებს ესტუმრნენ საკუთეს საშემსრულებლო ძალები ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქიდან და უცხოიდან: ინსტრუმენტალისტები, მომღერლები, თეატრები, მოცეკვავეები, საესტრადო ორკესტრები და ჯგუფები, ანსამბლები, ჯაზები, ცალკეული გამოჩენილი ისესტრადო მოღვაწეები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, უკრაინიდან (სიმფონიური ორკესტრებიც კი), ბელორუსიდან, ესტონეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ნორვეგიიდან, საბერძნეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, იუგოსლავიიდან, პოლონეთიდან, პარაგვაიდან, არგენტინიდან და სხვა ქვეყნიდან. როგორც ვხედავთ, აფხაზეთის მშრომელთა საშუალება ეძლევათ გაეცნონ თანამედროვე ესტრადის ვარსკვლავებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში გასტროლებზე ჩამოდიან. აღარაფერს ვამბობთ საქართველოს ფილარმონიაზე, რომლის სოლისტიები და ჯგუფები მათი ხშირი სტუმრები არიან.

ფილარმონიის ხელმძღვანელებს ასეთი „სიუხვის“ პირობებში ერთი რამ აწუხებთ — გასტროლორთა გეგმაზომიერი მიღება. საქმე ის არის, რომ მათი დიდი უმრავლესობა ზაფხულის სეზონის პერიოდზე მოდის, მართალია, გატყვევებუ-

ლი საკურორტო სეზონის პირობებში ბუნებრივად იზრდება მოთხოვნილება კარგ ესტრადაზე, მაგრამ სასწრაფო მოდების ნაკლებობა ხელს უშლის ათასობით დამწყვენებელი ჯგუფთან მხატვრულ მომსახურებას, რის გამოსასწორებლადაც პრაქტიკული ნაბიჯები ჯერაც არ არის გადადგმული.

ასეა თუ ისე, აფხაზეთის ფილარმონიის საქმიანობის ეს მოკლე მიმოხილვაც გაიყენებს მის ნაყოფიერ, მშინარისან მუშაობას.

ხალხური ტალანტები

ალბათ, მთელ მსოფლიოში ვერ მოძებნით ისეთ გუნდს, როგორც აფხაზეთშია შექმნილი, იგი ორიგინალურია არა მარტო რეპერტუარითა და სიმღერის თავისებურებით — ყოველ კომპოზიტებს ზომ თავისი პროგრამა და შესრულების მანერა აქვს, რაც მას სხვებისაგან უნდა განასხვავებდეს, — არამედ მონაწილეთა ასაკითაც. მისი ყველაზე „ახალგაზრდა“ წევრი „სულ რაღაც 70 წლისაა, ხოლო ყველაზე უფროსი — ორამწიწის რაიონის სოფელ ათარის მცხოვრები სულაც ბუთბა 106 წლისაა გახდა. გუნდის 32 მონაწილის საერთო ასაკი ოცდახუთნახევარ საუკუნეზე მეტს შეადგენს.

აფხაზეთი მთელ მსოფლიოშია ცნობილი ხანდაზმულთა სიმრავლით. სწორედ ადეთმა ადამიანებმა შეადგინეს გუნდი, რომელშიც შედიან სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, საკოლმეურნეო მინდვრებზე თავდადებული შრომით რომ გაითქვეს სახელი და მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურეს. გუნდი დრო და დრო იკრიბება და გატაცებით შეყვინუნობს. კენი იტყვის, რამდენი ძველთაძველი სიმღერა მუდარჩუნეს თავის ხალხს წელთა სიმრავლის მიუხედავად ამ მხნე და ხალისიანმა ადამიანებმა, ასე გატაცებით რომ იკრიბებიან და კონცერტებითაც გამოდიან!

ეს უნიკალური გუნდი აფხაზეთის მხატვრული თვითმოქმედების ძვირფასი შენაძნებია, მაგრამ მარტო ამით როდემდ ამავსი აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლი (დირექტორი ი. ქორთუა), რომელიც 1936 წლიდან არსებობს. ენთუზიასტთა ფართი აქტივობა დაყრდნობით იგი მოხერხებულად წარმატავეს თვითმოქმედებას, ადგილებზე წარუგება და კოლექტივებს პრაქტიკულ დახმარებას არ აკლებს, საინტერესო და სასარგებლო საქმეების თაოსანია.

აფხაზეთში არსებობს 4 სახალხო თეატრი: აფხაზური (ტყვარჩლის კულტურის საქალაქო სასახლეშიან), გალის კულტასხლთან და ორიც სიხუმში (ქეიშთა და გორკის სახელობის კულტასხლეთან). სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათავლიერებაზე ტყვარჩილებმა მთრეუ ხარისხის დიპლომი დაიმსახურეს. მათ თბილისელებს უწევნენ შ. ფაჩალიას „გუნდა“, რომელიც თვითონ დრამატურმა დღგა. სახალხო თეატრები დიდი ვაჭრებით მუშაობენ და სკენის მოყვარეთა გამოსვლას მუდამ დიდძალი მაყურებელი აკავს.

მარტო ამით როდემდ ამოიწურება თვითმოქმედი თეატრალური ხელოვნება. აფხაზეთში არსებობს ოცზე მეტი დრამატული წრე, რომელთა ნახევარზე მეტი სოფლად მუშაობს. ხალხური შემოქმედების სახლი მათ სისტემატურად ამარაგებს საპეალურად მათთვის დაწერილი პიესებით, ადგილებზე ექ-

მარტა, კრებს რევისორებს, აწყობს რაიონულ და საოლქო დათვალიერებას.

ხალხური ტალანტების ნამდვილ ზეიმად იქცა თვითომომწედი გუნდების, ანსამბლებისა და მოცეკვავეთა რაიონული დათვალიერებები, რომლებშიც 60-ზე მეტი სასოფლო გუნდი და საცეკვაო კოლექტივი მონაწილეობდა. მან გამოავლინა არა მარტო ასეთი სახის წარების რაოდენობრივი ზრდა, არამედ რეპერტუარის გაფართოებისაკენ სწრაფვე და სამშემრულებლო დონის ამაღლებაც. შემდეგ 15 გამარჯვებული კოლექტივი საოლქო დათვალიერებაზე წარსდგა.

მარშან მოეწყო სასულე ორკესტრებისა და საესტრადო კოლექტივების საოლქო კონკურსი, რამაც წარმატებით ჩაიარა. აფხაზეთში დიდ ზრუნვას იჩენენ თვითნასწავლ ხელმარჯვეთა ნიჭის განვითარებისათვის. მათთვის ორამჩირის, გალისა და გუდათის რაიონებში შექმნილია 7 წრე, რომლებიც მისდევნენ მერქურთმობასა და სხვა წარმატებულ საქმეს. ხალხური შემოქმედების სახლში ვნახეთ მათი ნამუშევრები — ხეზე კვეთილობა და, სიმართლე რომ ვთქვათ, ისეთი ნატიფი გემოვნებით იყო გაკეთებული, ძნელად დაიჯერებთ, პროფესიონალის ნახელავი არ არისო.

აქ აპირებენ თვითომქმედი მხატვრების ნამუშევართა რესპუბლიკური გამოფენის მოწყობას, რომელიც დიდი ოქტომბრის ზეიმი მიეძღვნება.

ხალხური შემოქმედების სახლმა ყურადღება მიაცქია ხალხურ საკრავებზე დაკრის აღორძინებას. ამ მიზნით კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლო შეიქმნა ჯგუფი, რომელიც ამ საკრავებზე შესრულების ხელოვნებას ეუფლება. ესენია აიუმა და ახიმა, რომლებიც მეტ-ნაკლებად ქნარს მოგვაგონებენ. კურსდამთავრებულები შემდგომში სათავეში

ჩაუდგებიან ხალხურ საკრავთა წრეებს. სხვათა შორის, მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებული ა. ავითა დაეუფლა ამ საკრავებისათვის სიმღერის ნოტების შედგენას, მას დიდი მონდომებით გადააქვს სიმღერები ნოტებზე და, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საკრავებით დაინტერესებულ ადამიანებს — ასეთი კი აქ ბევრია — მიდიდარი რეპერტუარი ექნებათ.

სახლს საოქტომბრო ზეიმისათვის ფართო და საინტერესო გეგმა აქვს შედგენილი, რომლებიც უკვე ხორციელდება, დღესასწაულისთვის გაცხოველებით ემზადება 300-ზე მეტი სხვადასხვა წრე, რომლებშიც 4500 კაცამდეა ჩაბმული.

* * *

აქ ვცადეთ მეცხოველებისათვის მოკლედ გაგვეცნო აფხაზეთის ხელოვნების დღევანდლობა, მისი მიღწევები. მიღწევები კი უთუოდ თვალსაჩინოა. აფხაზეთის ინტელიგენციის მოწინავე რაზმი — ხელოვნების მუშაკები — აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების მუშაგულში ტრიალებენ და წინ სწევენ რესპუბლიკის კულტურას.

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებენ შემოქმედების ორგანიზაციებს, მხატვრულ კოლექტივებს. პარტიული ხელმძღვანელობა მხატვრული ცხოვრების ყოველ უბანს სწევდება და ეს საქმის წარმატების მტკიცე საწინდარია.

აფხაზეთის მშრომლები ქართველ ხალხთან ერთად თავდადებით შრომობენ ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო კულტურული წინსვლისათვის და ამ პატრიოტულ საქმეში ხელოვნების მუშაკთა ერთსულოვან, ნიჭიერ დიდ კოლექტივს ღირსეული წვლილი შეაქვს.

სხედან მარცხნიდან მარჯვნივ: ოლია ჩაიშთი (80 წლ.), შარმათ ტაბი (98 წლ.), დგანა: საკანია შაიანი (77 წლ.), ბარტონ სველი (78 წლ.).





რობერტ სტურუა
ტყიბულას კულტურის
სახლის პლაფონის
მონატულობა

მონუმენტური ფერწერის მსახური

ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში თვალსაჩინო ნაწარმოებები აქვს შექმნილი საქართველოს სახალხო მხატვარს რობერტ სტურუას, რომლის მრავალმხრივი, თვითმყოფადი შემოქმედება ხალხის ჭეშმარიტი სიყვარულითა და აღიარებით სარგებლობს.

რობერტ სტურუა დაიბადა 1916 წელს ცნობილი რევოლუციონერის ვანო სტურუას ოჯახში. 1934 წელს შევიდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. 1939 წლიდან მოსკოვში, სურიაკოვის სახელობის სახვითი ხელოვნების ინსტიტუტში ი. გრაბარისა და ჩერნიშოვის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა. ორი წლის ნაძიძულზე

აქ იგი ეუფლება მონუმენტური ფერწერის საიდუმლოებებს, 1941 წელს კვლავ მშობლიურ ქალაქში ბრუნდება. 1943 წელს ამთავრებს თბილისის სამხატვრო აკადემიას და ერთხანს რუსეთის სახელობის თეატრსა, ხოლო შემდეგ თბილისის ერთ-ერთ ქაჩხანაში მხატვრად მუშაობს.

1945 წელს რობერტ სტურუა მუშაობას იწყებს დიდ ტილოზე „გამარჯვების დღესასწაული საქართველოში“. ოთხი წლის შემდეგ იგი ამთავრებს ამ პანოს, რომელიც ჭიათურის თეატრის ჭერის მონატულობად იქცა. ნამუშევარმა საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა და ავტორს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მოუპოვა. ჭიათურის თეატრის მყურებელთა დარბაზის ჭერის მონატულობას როგორც მონუმენტური ჩანაფიქრის სიფართოვით, ისე სამუშაოს მასშტაბით, საქართველოში მანამდე ბაღალი არ ჰყავდა. (ფართობი 78,5 კვადრატულ მეტრს წარმოადგენს). წრიული ხასიათის მონატულობას შემოგარული აქვს ქართული ორნამენტით გადაწყვეტილი, მონატული კარნიზი. ცენტრი სცენისკენაა გადაადგილებული. იარუსებისკენ ფართო, დრაპირებული წითელი ხასხასა ტილო ერთი მთლიანი აწეული ფარდის შთაბეჭდილებას ქმნის. მონატულობა შესრულებულია ტემპერით. საღებავები ნათელი, გამჭვირაველი, კაშკაშა და ცხოვრებისეულ სიხარულსა და გამარჯვების ზეიმის განწყობილებას გადმოსცემს. საერთო ფონად გამოყენებულია წითელი დროშები. მთელ კომპოზიციას გადმოჰყურებს საოცრად ნათელიცა, მსუბუქი, ჭათქათა დრუბლების ქულებითა და ფრთებგამოვლილი მერცხლები. აქვეა სვანური კოშკი, რომლის უკანაც თავიდან მარჯვნივ გადახრილი ცისარტყელა მოჩანს. ეს არის მშვიდობიანობის, სიხარულისა და უხვებისაგლიანობის სიმბოლო. პლაფონი მრავალფერეულიან კომპოზიციას წარმოადგენს. ერთმანეთს ენაცვლება ჩინურულ მომღერალი გოგონა, სვანი და ხევსური ქალები; ომიდან დაბრუნებულ შვილთან მოხუცი დედის შეხვედრა, მოწაფე გოგონა, ხილზე მოპატევე ბიჭუნა და სხვა მრავალი. ცენტრალური ფიგურაა სამამული ომის გმირი სამხედრო ფორმაში, მას მარჯვენა ხელში თოფი

ჭირებს, ხოლო მარცხენაით ხალხს ესალმება. ეს არის ღრმად მასწავლებელი ღირსეული მოთმობა საბჭოთა ხალხის ცხოვრების გმირულ დღეებზე. მაყურებელს ხილავს მხატვრის გულწრფელობა და სიმართლე. ნამუშევარში იგრძნობა მხატვრული ოსტატობის სრულყოფა, ნატაფი გემოვნება.

რ. სტურუას შემდეგი ნამუშევარი, სოფელ შრომის კულტურის სახლის პლაფონის მოხატულობა, უკრინელი და ქართული ხალხის მეგობრობას მიუძღვნა. პლაფონი აგებულია რკურის პრინციპზე, — მაყურებელი ქვევიდან ზევით შეესწავლოს მხატვრის მიერ ხატონად მოცემულ კოლმუნურ ქალებსა და ვალებს. ამ ნამუშევარში არც თუ ისე მკაფიოდ იგრძნობა პლაფონის მონუმენტურობა. სამაგიეროდ აქაც ისევე, როგორც ადრინდელ მის ნამუშევარში, უხვადაა გადმოღვრილი ის სითბო და სილამაზე, რაც ასე დამახასიათებელია რ. სტურუას შემოქმედებისათვის.

ნახატის, კომპოზიციისა და ფართო ფერწერული ფორმების სრულად ფლობის ოსტატობა გამოვლინდა ტყიბულის კულტურის სახალის პლაფონის გადაწყვეტაშიც, რომელიც ქართული ზღაპრების მოტივებზე შეიქმნა. მოხატულობას დევინად მიჰყვება „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი ცდამე“. ეს პანო ხუთი სიუჟეტისაგან შედგება. მაყურებლის წინაშე ცხოვრებისეული სიმართლითა და რომანტიკულობით ცოცხლდება მხატვრის მადლიანი ფუნჯით შექმნილი პერსონაჟები: გოლიათური სიძლიერე გამაოგნებს ქართველ ვაჟაკებს. ეს-ეს არის მტერი დაამარცხეს და მშვენიერი ასული ტყვიობიდან იხსნეს. ქალი მიელი არსებით მიწდობა საყვარელი ჭაბუკის მეგრეს. ფეხზე მდგომარეს თითქოს ჩასძინებია კიდევ. მხატვარი მის სახეზე უდრკინველობისა და სიმშვიდის გრძნობას ხატავს. ეს პანო თუმცა კომპოზიციურად რთული არ არის, მაგრამ თვალს ხიბლავს ნახატის სრულყოფილებით, პარმონიული და კონტრასტული ტონების მომშობლავი გაბით.

რთულ მრავალფეროვანი კომპოზიციის წარმოადგენს მეორე სიუჟეტი. აქ მზისა და გლეხი ჭაბუკის პაექრობაა გამართული. ფიანდაზად დაგებულ ხალიჩაზე, ვარსკვლავებით გარშემორტყმული, მედიდურად ზის მზე. მხატვარი თვითველი ფიგურას ინდივიდუალობას ანიჭებს; განსაკუთრებული სიყვარულია დამუშავებული ცენტრალური ფიგურა — მზის სიმბოლო. მასში ყველაფერი მღვინა, — სხეულცა და გარეგნული მორთულობაც, რომელიც კვერცხისგულისფერ ტონშია გადაწყვეტილი. საოცრად მტკიცეელია მზის სახე. ხელოვანი ნისკარს ჩვეული სიფაქიზით აშუშავებს ყოველ წვრილმან დეტალს, ამასთან, თვითველი ნიუანსს გარკვეულ მხატვრულ დანიშნულებას აძლევს და მთლიანობაში ერთიან ფეფქტურ სანახაობას ქმნის. თითქოს შეკობრი გაუმართავს მინდისფერსა და წითლს, ოქროსფერსა და ცისფერს, პლასტიკურობასა და სინაზეს...

არანაკლებ ინტერესს იწვევს მომდევნო სცენა: „მაგრა ოქშულა, კარგის მწველი კაცი ბოლოდ არ წახდების“. აქაც მხატვარი არ დაღატობს თავის სტილს. მთელი კომპოზიცია ესპანურილი მოძრაობაშია გადაწყვეტილი და მაყურებელზე მძლავრ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს. აღსანიშნავია, რომ ამ

რობერტ
სტურუა

ამირანი და
ვაჟარი.



ტყიბულის
კულტურის
სახლის
პლაფონის
მოხატულობა

ნამუშევარში ძირითადად ფერი (წითელი, მუქი შინდისფერი, მწვანე, ნაცისფერი) ქმნის განწყობილებას. შემდეგი სიუჟეტები მოვითხოვბენ ობოლ გოგნას ბედ-იღბალზე და გველემშაპთან შერკინებული ჭაბუკის გმირობაზე.

პოეტუა აღმადფრენითა და მომზიბველი კოლორიტით გამორჩევეა გალის რაიონის სოფელ ჩხორთლის კულტურის სახლის პლაფონიც „თინათინის გამეფება“.

მაღალი არტისტიზმითა და შესრულების კულტურითაა აღბეჭდილი მონუმენტური ფიჩი „ლენინიანა“. აქაც რამდენიმე სიუჟეტია. თვითველი მათგანში მხატვარი ღრმა აზრს, ნათელ სიხარულსა და ცხოვრებისეულ ენერჯიას აქსოსვს. უხარმაზარ ოქროსფერ ფონზე მოჩანს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის — ლენინის რელიეფური გამოსახულება. მახუბისა და შექარადილების რიჩტული ორგანიზაცია პირტრეტში სიხალასისა და სიცოცხლის შეგრძნებას აძლიერებს. აქვეა შრომის პიჩნისადმი მიძღვნილი პანო, მშვიდობის ფესტივალის მონაწილეობა ცოცხალი სახეები, წიგნი, როგორც ცოდნის წყაროდ და სხვ. მთელ ფიჩიში იგრძნობა სოციალისტური რეალიზმის მეთოდით აღჭურვილი ხელოვანის რომანტიკული სული და ნათელი მსოფლმხედველობა.

ჩანაფიქრის მონუმენტურობით გამორჩევეა მრავალფეროვანი კომპოზიცია „ჩემი ქვეყნის დღესასწაული“. ეს პანო საეყვა ვაჟაკური შეგარების პათოსით, რაც რ. სტურუას ნამუშევრების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია.

რ. სტურუა, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი, უსაზღვროდ შეყვარებულია თავისი ერის ისტორიაზე, თავის



ქართველთა
წიგანთა კავშირი

რობერტ
სტურუა

შოთა
რუსთველი



სინატიფე და სინარნრე, ხოლო მამაკაცის ფიგურაში განსაკუთრებული ქართველ კაბუთა ფიზიკური ძალა, რომელსაც არაერთხელ დაუმარცხებია საქართველოს დასამონებლად მოსული მტერი. გარდა ადამიანების მართლად და მეტყველად გადმოყვებისა, მხატვარი ამ ნაწარმოებში მშვენივრად ახერხებს შექმნას მონასტრის ინტერიერის გუმბათოვანი ჭერისა და სვეტებს შორის პერსპექტივის ცოცხალი შეგრძნება.

ორიგინალურობით და მომხიბვლელობით გამოირჩევა მონუმენტური პანო „თამარი“. მისი ნახვისას არ შეიძლება არ გაიხსენოთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი თამარისადმი:

„შენს წმინდა სახეს,
მშვენიებით საესეს
სახიფთებით განსხივებულსა,
ვეშვრ კრძალვითა,
თავდასცემითა,
ცრემლ-მოჩუქული გემხვევი ფერხთა“

რ. სტურუამ თავისებური მხატვრული გააზრება მისცა შოთა რუსთაველის პორტრეტს. იგი არცერთ აქამდე ცნობილ პორტრეტს არ ჰგავს არც კომპოზიციითა და არც პოეტის აქამდე აღიარებული გარეგნული მონაცემებით. პანო თავისუფალია ზედაპირული ილუსტრაციული გადაწყვეტისაგან. მხატვრის ფუნჯი ამჯერადაც მრავლისმეტყველია. ხელოვანი ცდილა მიეტყვის ისტორიული სინამდვილისა და პოეტურობის მხატვრული სინთეზი. უმჯობესი პანოს და რწმუნებით, რომ მხატვრის მიზანი მიღწეულია. ამ პორტრეტში ცხადად შეიკნობა ავტორისეული შემოქმედებითი აზროვნება და დახვეწილი პროფესიული ოსტატობა. შოთა რუსთაველის პორტრეტის ადრინდელი ვარიანტი 1964 წელს საჩუქრად გაეგზავნა ჩრდილო ოსეთის მშრომლებს, რომლებმაც თავის ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი იზეიმეს.

დავით აღმაშენებლის მეტყველი სახეა აღბეჭდილი ტილოზე „თბილისის განთავისუფლების დღე“. საღებავების ზეიმიან ნაწარმოებში „ბარათაშვილი მანანა ორბელიანის სალონიში“. ვის არ ნახავთ აქ: დები ჭაჭავაძე-ნი, თვით მანანა ორბელიანი, ალექსანდრე ჭაჭავაძე, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე გრიბოედოვი, ჭაბუკი ბარათაშვილი და სხვები. თვითველ პერსონაჟს მხატვარი ინდივიდუალური ნიშან-თვისებებით ამკობს და მხსველის წინაშე წარმოსდგება გასული საუკუნის იმ ადამიანთა ცოცხალი პორტრეტები, რომლებმაც გარკვეული კვალი დატოვეს ქართული კულტურის ისტორიაში.

მრავალრიცხოვანია რ. სტურუას მიერ შესრულებული პორტრეტული ნაწარმოებები. თვითველ სახეში ხელოვანი რაღაც ახალს, შემოქმედებითად საინტერესოს ეძებს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია კინო ჭაჭავაძის პორტრეტი“. იგი მინიატურის სიხუსტითა და მაღალმხატვრულადაა შესრულებული. (მხატვარი ამჯერად აქვარელს მიმართავს). პორტრეტი სახეა აკურთხებით, ასხივებს სულეირ სიფაქურეს და გატყვევებით წარმატაცი მომხიბვლელობით. ღრმა ემოციურობით გამოირჩევა „ქალის პორტრეტი“. შემოქმედელ ამჯერადაც ეძებს და აგებებს ადამიანის გარკვეულ და შინაგან სიღამაშეს.

მხატვარი ორიგინალურ ფერწერულ ნამუშევარს გვთავაზობს პორტრეტით „საყურე“. ეს ნამუშევარი, სხვა პორტრეტებთან შედარებით, კიდევ უფრო მეტად გვაგრძობინებს ინ-

ხალხზე. ამ სიყვარულის გამოხატულებაა „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. ამ ნაწარმოებში მხატვარს შემოქმედებითად აქვს გააზრებული ბეთანიამი დაცული თამარის ფრესკული სახე. მაყურებლის წინაშეა მონასტრის ერთ-ერთ კედელზე, სიღრმეში გამოხატული დიდებული თამარი, წარჩინებულთა თანხლებით. ზევიდან, სარკმლის მხრით, მოჩანს ჯამთა სიავისაგან წმინდანთა ფერგადასული გამოსახულებანი. წინა პლანზეა ზურგით მდგომი ახალგაზრდა მამაკაცის ფიგურა. თამარში ხაზგასმულია უმშვენიერესი ქართველი ქალის



რობერტ
სტურუა

სამტრედიის
კულტურის
სახლის
მონატელოზის
ფრაგმენტი

ღვივალურ ხასიათს, ობიექტის შინაგან განწყობილებას. ფრთა გამას კონტრასტულად ერწყმის ოქროსფერი საყურეების თავისებური ფორმა და ელვარება.

რ. სტურუას პორტრეტულ შემოქმედებაში ზოგჯერ შეიმჩნევა ტიპის რამდენადმე განმეორება. სხვადასხვა მოდელის დაწერას მას გამოყენებული აქვს ერთი და იგივე გამოხატვითი ელემენტები. მის მიერ შექმნილი ქალთა ტიპაჟები თითქმის ყველა სურათში გვხვდება. საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოთ პოეტურობისა და რომანტიკულობის ელფრთი მისილი „მხატვრის ქალიშვილი“, „ქალიშვილი საესტაბუდოში“, „ქალიშვილის პორტრეტი“, „ლილიას პორტრეტი“ და სხვ. ამ პორტრეტებში მხატვარი იძლევა ერთსა და იმავე სახეს, გამოსახულებაში იმეორებს სახის დამახასიათებელ ნაკვთებს და სხვადასხვა ვარიაციაში ერთსა და იმავე მხატვრულ ტიპს ჰქმნის; ამიტომ, რამდენადაც მხატვრულ სიხალხს ნაკლებ შეიცავს, ერთგვარად ნელდება შთაბეჭდილება. უფრო მეტად საყურადღებო და შემოქმედებითი ძიებების მარეკნებელია ისეთი პორტრეტები, როგორიცაა „რუსუდან იმნაძის პორტრეტი“, „ჯეკო“, „იზა გეგოშვილი“, „ქალიშვილი ზოლიან კაბაში“, „ქეთინო“ და სხვ.

ჯანრული პორტრეტების ციკლს შეგვიძლია მივაკუთვნოთ „მსახიობები საკრიშტიანოში“. ამ ნაწარმოებში მხატვრის მოდლებია მეფე ჯაფარიძე და დიდი ჭიჭინაძე. ორივე მსახიობის პორტრეტი განზოგადებულიადაა მოცემული. ისინი თქვენთვის თითქოს ნაცნობია, მაგრამ ამავე დროს თან ახლავთ რაღაც უცხოც, რაც ერთგვარ დაშორებას იწვევს პორტრეტული მსგავსებიდან. აღსანიშნავია, რომ ეს პორტრეტი იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა მხატვარმა ტიპურის თეატრის დაკვივით ქართული სცენის ოსტატთა პორტრეტული ცალკე შექმნა: „ნატო ვანანაძე“, „უჩანგი ჩხეიძე იაკოს როლიში“, „ა. ხორავა და ა. ვასაძე სპექტაკლში „ოტელიო“...

გამომსახველია სურათი „სცენაზე გასვლამდე“, რომელიც სამტრედიის კულტურის სახლს აშუშენებს. ეს გახლავთ სამფიგურიათი კომპოზიცია. მხატვარი გულმოდგინებით ამუშავებს თვითულ სახეს და თეატრალურ-საზეიმო განწყობილებას ქმნის. სამივე ფიგურა ღრმა ეროვნული კოლორიტის შემცველია. განსაკუთრებით ცოცხლადაა მოცემული მამაკაცის პორტრეტი, კდემამოსილება და სინარნარე იგრძნობა ქალების ფიგურებში.

შემოქმედებითი აზროვნებისა და ოსტატობის თავისებურებამ მაგვიდ იჩინა თავი აგრეთვე სურათებში: „ახალ ხეველურთში“, „რუსთაველი მეტალურგები“, „მიტინგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო“, „საფხულის ერთ ცხელ დღეს“, „პირველი მაისის დემონსტრაციის ვიდეო“ და სხვ. ეს ნამუშევრები ძალზე კოლორიტულია, გვიზიდავს ადამიანთა ცოცხალი ხასიათებით.

რ. სტურუა მუდამ შთაგონებით მუშაობს მშობლიური მხარის ამა თუ იმ კუთხის ამსახველ პეიზაჟურ მოტივებზე. ქართული კულტურის ძეგლთა ასახვისას იგი ჭეშმარიტი ხელოვნებით გვიჩვენებს გარდასულ დროთა ფერისცვალებებს. რ. სტურუას შემოქმედებაში ეროვნული კულტურის ნიმუში იკითხება, როგორც თანამედროვეობის პრიზმში დანახული ისტორია. ამ მხრივ საინტერესოა „ბოლნისის ტაძარი“.



რობერტ სტურუა ტყიბულს კვლტურის სახლის მოხატულობა

„სვეტიცხოველი“ (თითქმის მთელი ციკლი), „ფიგურები“, „კომპეკი“, „ნიონომინდა“, „გრემის ნანგრევები“, „გვერდის სასახლე“, „ნარიყალა“, „თბილისის გარეუბანი“, „ქვათახვი“ და სხვ.

მხატვრის შემოქმედებით ტემპერამენტი კარგად გამოვლინდა ქართულ მწერალთა ნაწარმოებების დასურათებაში. ცხოვრებისეული სიმართლითა და მხატვრული კონკრეტული ილუსტრირებული ილიას, აკაკის, ვასას, გ. ერისთავის, ვ. ბარნოვის და სხვათა ქმნილებანი.

რობერტ სტურუას მიერ შექმნილია მრავალი თემატური კომპოზიცია, პორტრეტები, პეიზაჟები, რომლებიც ანარქოტეზის ყოფილა ექსპონირებული სხვადასხვა გამოფინებზე. ჩვენი ქვეყნის ბევრი მუზეუმის ექსპოზიციასა თუ ფონდშია მხატვრის მალამი ხელოვნების ნიმუშები.

ნ. რაბივილი

რობერტ სტურუა

ხევსური გოგონა





რებს ერთმანეთთან ქართული ცვკების უმრავლესობა სიმღერის თანხლებით სრულდება, ხოლო სიმღერა კი გარკვეულ სიტყვიერ ტექსტს შეიცავს. ამრიგად ეს სამი კომპონენტი ორგანულად ერწყმის ერთმანეთს და ერთი განწყობილებით შევრულ ესთეტიკურ ფენომენს სქმნის.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამა თუ იმ ცვკვაში თვალნათლივ ელნიდება ხალხის ყოფაცხოვრების ნიშან-თვისებები, შინაგანი ბუნება, სულიერი თუ ფიზიკური სიღამაზე, ტემპერამენტი. ეს საჭვეწყოლ ალიარებული ქემმარიტებაა. მართლაც, ქართველი ადამიანის კეთილშობილება, რანიდული სულისკვეთება და მშენიერების შერტანება დიდი ემოციური ძალით მელაენდება ისეთ ქორეოგრაფიულ ქმნილებებში, როგორცაა „ქართული“, „ხორუმი“, „დავლური“, „სამაია“, „ცერული“, მრავალგვარი „ფერხული“, „მთიულური“ და სხვ. ყველა აქ ჩამოთვლილი ცვკვა ქართველი ხალხის პლასტიკურ-გამომსახველობითი გენის მგაფიო გამოხატულებაა.

რამდენი საუკუნე დასჭირდა, ვიდრე ჩვენი ხელოვნების ეს სახეობა დიდ სინათლეს იხილავედა და ფართო სარბიულე გამოვიდოდა! ამ საშვილიშვილო საქმეს მხოლოდ ჩვენს დროში ჩაყვარა მკვიდრი საფუძველი, როცა ოცინი წლების დასასრულიდან რეგულარულად დაიწყო სხვადასხვა დათვლიერება-ოლიმპიადების გამართვა, ჩამოყალიბდა სახელმწიფო ანსამბლები და უამრავი თვითმოქმედი კოლექტივი. მათი მრავალრიცხოვანი გასტროლების შედეგად, ქართულმა ცვკვამ დიდი მოწონება და პოპულარობა მოიპოვა მეფის საბჭოთა კავშირში. მას შემდეგ იგი სოციალისტური კულტურის ძვირფას საკუთრებად იქცა.

ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო მას შემდეგ, რაც ქართული ცვკვის სახელმწიფო ანსამბლი შეიქმნა ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით. ხსენებულმა კოლექტივმა საქმის კარგად მცოდნე, გამოჩენილ, სპეციალისტთა მეთაურობით, მაღალ დონეზე აიყვანა ჩვენი საცვკვაო ხელოვნება, შესინა მას პროფესიონალიზმისა და შემოქმედებითი დისციპლინის აუცილებელი თვისებები. ანსამბლის მდიდარ შემოქმედებით ბიოგრაფიას ამშვენებს საგასტროლო მოგზაურობები საბჭოთა კავშირისა და საერთოდ დედამიწის სუთივე კონტინენტის ბევრ კუთხეში, რის წყალობითაც ქართულმა ცვკვამ, თავისი თვითმყოფადობით, მსოფლიოს ხალხთა აღტაცება და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ეს ანსამბლისა და მისი ხელმძღვანელების უღაოდ დიდი დამახსურებაა.

ქართული ცვკვის მეორე ძირითად კერას წარმოადგენს სიმღერისა და ცვკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომლის ქორეოგრაფიულ ნაწილს ხელმძღვანელობს ნიჭიერი ხელოვანი ჯ. ბაგრატიონი. ამ კოლექტივის შემოქმედებითს მიღწევებსაც კარგად იცნობს ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის მაცურებელი.

სიმღერისა და ცვკვის სხვა კვალიფიციური კოლექტივებიც მოღვაწეობენ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში და მრავალ დაბა-ქალაქში.

ჩამოთვლილი ანსამბლებისა თუ ცალკეული ჯგუფების ენერგიული მოღვაწეობით ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება დღეს მაღალ საფეხებზეა და მისი განვითარება, ძირითადად, სწორი გზით მიემართება. მე ხაზს ვუსვამ

შენიშვნები

თანაქედროვა

ქართულ

ქორეოგრაფიაზე

გრიგოლ ხერხელიძე



ართული ხალხური ცვკვა ეროვნული კულტურის ისეთივე მშვენება და მონაპოვარია, როგორც სიმღერა, მხატვრული სიტყვა, ხუროთმოძღვრება და ფერწერა. ცვკვა ჩვენი სულიერი ცხოვრების ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც მუსიკა და პოეზია. ამის მეტყველი დადასტურებაა დღემდე მოღწეული საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მრავალფეროვანი სარიტუალო ცვკვა-თამაშობანი, ციხე-ტარტების ფრესკული მოხატულობა თუ ორნამენტული გამოსახულება.

აქვე უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული სიახლოვე, რომელიც ცვკვს, სიმღერასა და მხატვრულ სიტყვას აკავშირებს

ძირითადად, რადგანაც ეს შეხება ჩვენი ცვაკების საერო-ო, მასობრივ განვითარებას, ხოლო თუ ღრმად ჩაწვდებით ვითარებას, დავინახავთ, რომ ზოგჯერ ყველაფერი რიგზე არ არის. ჩვენი მიზანია ის არის, რომ უკრადგანა ფერხვითი ჯრანული ხელოვნების ამ სფეროში დღესდღეობით არსებულ საკლოანებზე და შეძლებისდაგვარად ხელი შევეწყობოთ მათ აღმოხვებას. ზოგიერთი რამ უკვე გამოითქვა ამის თაობაზე: მე, გული არ მიმთმენ და მინდა მკითხველს გაუზიარო ჩემი უპირველყოფი მოსაზრებები.

პირველყოფისა, უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანს შეიმჩნევა ჩვენი ცვაკებში უცხო ტენდენციების, მათთვის შეუფერებელი ელემენტების, ილუთებისა თუ მოძრაობების მოძალბა და შემოჭრა, რაც სერიოზულ შემოფთებას იწვევს. უპირველყოფისაში მაქვს გაუთავებელი და წრეგადსული ცერი, მუხლი, ტემპი და ყთინი, რაც ცვენაზე ორომტირალს იწვევს და რაც არასოდეს არ ყოფილა დამახასიათებელი ჩვენი ცვაკებისათვის. აუხანელი და მომაბურებელი ხან ცალ, ხან ტყუპ ცერზე დაწინებული ხტუნვა-კუნტრუმი, ისევე, როგორც მუხლებით დიდი სიმაღლიდან იატაკზე განუწყვეტელი ვარდნა ან მიელი სცების გარშემო მუხლებითვე რამდენჯერღვე შემოვლა. ბავშვები უფროსებს ბაბავენ და შეცოდების გრძობა გვეუფლება, როცა ცვენაზე ოფლისაგან განვითარულ მათს სახებზე ვუყურებთ. სინა ასე უნდა მოვამხალთ შემცველი თაობა, განა ასე უნდა ვაზიაროთ იგი საუკუნეების მანძილზე შექმნილ ტენდენციას? ზოგიერთი ცდომილს ეს უაქტი საცკვაო ტექნიკის განვითარებით ახსნას, მაგრამ ამაო ვარჯაა. ჯერ ერთი, ხალხური შემოქმედება ასეთ ხელოვნურ ტრიკებს ვერ იტყობს, ხოლო მეორეც, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთუნული სიტულება იყო და არის ჩვენი ცვაკების დამახასიათებელი თვისება. მისი სრულყოფის გზაზე ყოველთვის საჭიროა სწორედ აქედან გამოვიდეთ და ბუნებრივად განავითაროთ იგი.

ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ საზღვარგარეთის სცენებზე თუ ცოტადინე გამოჩალისი არ დავუშვით და სხვადასხვაგვარ ფექტურ ხერხებს არ მივმართო, ჩვენი ანსამბლის კონცერტებს ისეთი დიდი რეზონანსი არ იწვევბათ. ამ თვალსაზრისს ვერ ვავიზიარებთ. ქართული ცვაკა იმდენად ნატივი, ლამაზი, ვაკეცყური და მდიდარია მოძრაობებით, რომ მას არ ესაჭიროება სხვა ელემენტებით „ვაგარება“; იგი ისედაც დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს უცხოელ მაყურებელზე. გარდა ამისა, საკითხავია, თუ ჩვენს ცვაკას მოსთვის შეუფერებელ და უცხო ილუთებს შევრევეთ, მაშინ საზღვარგარეთობა ხელოვნებამოცოდნემ თუ რიგითმა მაყურებელმა როგორღა აღიქვას და დაადიროს მისი ცოდნე ორიგინალური ბუნება, როგორღა გამოარჩიოს იგი სხვა ხალხთა ცვაკებში? ეს მომენტი დიდ უკრადგანა და ანგარიშის გაწვევას, სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს.

ცრული მოძრაობები და მუხლზე ტრიალი ქართულ ცვაკებს (მეტადრე მოისის) ახასიათებთ და მათი გამოყენება აუცილებელია საჭირო შემთხვევებში. ჩვენ წინააღმდეგ ვართ ამ მხრივ უტრირებისა, გადაჭარბებისა, როცა ერთი სოლისტი მეორეს ეკიბრება მუხლისა და ცერის სიმარგის გამოძლევაში.

რაც დრე გადის, უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება ტენდენცია ჩვენი ცვაკების გაერთვაროვნებისაკენ. იმდენად ჭარბად გამოიყენება ერთი ცვაკის მოძრაობები მეორეში, რომ ისინი ძნელი გასარჩევი ხდებიან ერთმანეთისაგან. ეს, უპირატესად, მითანეთის ცვაკებზე ითქმის. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ თითქმის ვეღარ ვანსხვავებთ, მაგალითად, ხვესურულს თუშურისაგან, მიხევანურს ისურისაგან, აფხაზურს მიოიურისაგან. კიდევ კარგი, რომ ვერავფერი მიუხერხებს სხანს, რომელიც აქმდე შეუვლად იცავს მიზმიდველ თვითმოუფადობას. ცვაკების ასეთი უთფიკავია, როცა ყველაფერი ერთმანეთში ითქვიფება და აღარ ჩანს მრავალფეროვნება, შეუწყნარებელია. ჩვენი ქოროგრაფებისა და შემსრულებლების ერთუნელი ვალია გამოსაწორონ ამგვარი მდგომარეობა. საჭიროა მკაცრად დავიცვათ ყოველი კუთხის ცვაკის ორიგინალობა, მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ვეღარ ვილაპარაკებთ ჩვენი საცკვაო ხელოვნების სიმდიდრესა და მრავალსახეობაზე. ამა წარმოვიდგინოთ კახური „მრავალკამიერი“ „შვიდაცას“ მოქცევებით, როგორი მოსახსენი იქნება? ასევე არ შეიძლება ცვაკების ურთიერთარევეც.

ამ ბოლო ხანს სულ უფრო თვალსაჩინო ხდება მკაფიო ინდივიდუალობის სოლისტების ნაკლებობა. იშვიათი გამოჩალისის გარდა, სულ უფრო ძირად ვლინდებიან ისეთი მრავალკამიერი, რომლებიც გამოირჩეოდნენ ოსტატობითა და შესრულების საკუთარი მანერით. იქნებ ვინმემ ეს გარემოება საერთო საცკვაო დონის ამაღლებით ახსნას. მართალია, ასეთი დონე ნამდვილად არსებობს, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში ხელს არ უნდა უშლიდეს ამა თუ იმ შემსრულებლის ორიგინალური სახის გამოკვეთას. პირიქით, საერთო მაღალი დონე უნდა იყოს ის მდიდარი ბაზა, სადაც დავინებოდა და განვითარდებოდა კოლექტივთან შერწყმული, მკვეთრი და თავისებური ნიჭის შემოქმედებით ინდივიდი.

პირველყოფისა, სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საამაყო „ქართული“ სრულდება ძალზე საშუალოდ. ცნობილია, რომ ეს ცვაკა მოითხოვს მეტად დახვეწილ, ფაქიზი და მეტყველი პლასტიკური გამოხატვლობით საშუალებებით შესრულებას. დღეს კი სათანადო, მაღალკვალიფიკაციური შემსრულებლები ამ ცვაკის მეტად იშვიათად მოიძიებიან. ძალაუნებურად გვაკვირდებიან ისეთი „მოქართულელები“, როგორიც, არც თუ ისე დიდ ხნის წინათ იყვნენ: ლ. ვგარამაძე, თ. ჩხაიძე, ნ. გუნია, გ. ბახუტაძე, ჯ. ზაგრატიონი, კ. მანჯაკაძე, გ. დარბაველი, ს. ნონიაშვილი და სხვ., რომლებიც თანაბარ დასატყობით ეღობდნენ როგორც დავლის, ტანისა და ხელების მოძრაობის, ისე გასმების რთულ ვარიაციებს. განსხვავებული შესრულების მიუხედავად, ისინი, ძირითადად, სწორად, დარბაისლურად გვაწვდიდნენ ცვაკის ნამდვილ შინაარსს.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღძვრა აგრეთვე საკითხი აღნიშნული ცეკვის სახელწოდების თაობაზე. ადრე მას „ლეკური“ ერქვა. კარგადაა ცნობილი, რომ მსგავსი ცეკვა არც ლეკებს და, მით უმეტეს, არც სხვა რომელიმე ხალხს არ აქვს. არსებობს მოსაზრება, რომ „ლეკური“ რუსული „Тезгинка“-ს თარგმანი უნდა იყოს, რაც არაა საფუძველს მოკლებული, რადგან ამ სახელს რუსები კავკასიის თითქმის ყველა ხალხის ცეკვებს უწოდებდნენ. ასეა თუ ისე, ამ ცეკვის სამშობლო საკართველია. უდავოა, მას უფრო შესაფერისი, ჩვენებური სახელი უნდა დარქმეოდა. სახელწოდება „ქართული“, როგორც მას დღეს ეძახიან, რა თქმა უნდა, გამოხატავს ამ ცეკვის სადაურობას, მაგრამ იგივე სახელი შეიძლება თამამად დავარქვათ, მაგალითად, დაგლეხი, ხორუმი, სამაიას, ცერულს და სხვ. ესეინც ხომ სუფთა ქართული ცეკვებია! ვფიქრობ, საჭიროა არა იოლი გზის გაყოლა, არამედ უფრო ღრმა ჩაკვირება იმაზე, თუ რა სახელი მიეცეთ ხალხური შემოქმედების ამ მარგალიტს.

ხელოვნების ამა თუ იმ ნიმუშის სახელი, პირველყოფისა, უნდა გამოხატავდეს მის შინაარსს, უნდა გვიხსენიოს მის ეს-ტეტიკურ-აზრობრივ ფუნქციას. ამ თვალსაზრისით, იქნებ უფრო მიზანშეწონილი იყოს სხენებულ ცეკვას დაერქვას, მაგალითად, „სატრფიალო“ ან „ქალღვინაიან“. ეს სახელწოდებები უფრო კონკრეტულად გადმოცემენ „ქართულის“ რომანტიკულ იდეას. ამას გარდა, ამ წინადადებას შიარს უქერს ჩვენს ზეპირსიტყვიერებასა და სასიძლეო რეპერტუარში უხვადაა შემონახული შესანიშნავი ნაწარმოებების ციკლები, რომელთაც „სატრფიალო“ ან „ქალღვინაიან“ ჰქვიათ. თუ წამოყენებული აზრი გაზიარებულ იქნა, მაშინ მივლ ქართულ ფოლკლორში გაიმართება საერთო ხაზი ცნობილი მოტივისა.

დაუბრუნდეთ საკითხს მოცეკვავე სოლისტების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ისინი ამგვად საკმაოდ მომრავლდნენ. სამართლიანობა მოითხოვს გადართოდ: მათ აქვთ ყველა მონაცემი, გახდნენ თანამედროვეობის ჭეშმარიტი ხელოვანნი; არ აქვიათ არც ტექნიკური ოსტატობა, არც ახალგაზრდული ენერჯია და ტემპერამენტი, ვერც შრომისმოყვარეობაში დავედურებით. ეს ყოველივე კარგია, ოღონდ ისიც აღსანიშნავია, რომ მათი შემოქმედებითი სრულყოფის გეზი კორექტივს მოითხოვს. სასებით აშკარად იგრძნობა, რომ ისინი გადაჭარბებულ ინტერესს იჩენენ რთული საცეკვაო მოძრაობების, პირუტყვის, ზტომების, საცერო ილეთებისა და სხვა თვალის-ნაშრომული ხერხების მიმართ, თითქმის ყველა ნომერი ერთ-ნაირად იყენებენ მათ და ჰკონიათ, რომ ეს არის ოსტატობის უმაღლესი კლასი. ამიტომაც, რომ ჩვენი მოცეკვავე სოლისტები დღეს საოცრად ჰგავან ერთმანეთს. იქნებია შთაბეჭდილება, თითქმის ყველა ისინი ერთ თარგზე არიან გამოტრილი. იშვიათად თუ რომელიმე მათგანი ეცდება გამოირჩეს კოლეგისაგან, ჩამოყალიბოს თავისი საკუთარი ამბავი, ორიგინალური საშუალებებით თუ მტრისებრით წარმოსვიდნენ ამას თუ იმ ცეკვის დამახასიათებელი სახე. ეს ვითარება იწვევს, სწორედ, ცეკვათა სტილის იმ ნივლიერებას, რაზედაც ზემოთ გვერთხა საუბარი.

სხვადასხვა ცეკვას რომ სხვადასხვაგვარი შესრულება

სჭირდება, ეს ანაზნური ჭეშმარიტება და ამაზე სიტყვას ადარ გაგავრძელებ. დავემბატე მხოლოდ, ინდივიდუალობა და ორიგინალობა უნდა იგრძნობოდეს თვით ერისაღმამევე ცეკვის შესრულებისას სხვადასხვა სოლისტის მიერ. უფრო მეტიც: ერთი და იგივე ცეკვა შეიძლება მოცეკვავე სხვადასხვანაირად იცეკვოს. ეს ყოველივე დამოკიდებულია შემსრულებლის შემოქმედების შესაძლებლობასა და მხატვრულ ფანტაზიაზე. ვაკისხენით ახლო წარსულის მეტყველი მაგალითები. მე მინახავს „მთიულურის“ ბევრი კარგი შემსრულებელი, თითქმის ყოველი მათგანი უაღრესად თავისებურად ცეკვავდა; ამიტომ მასსოფს ისინი აქამედ. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება კი ჩემზე ი. სუბიშვილმა და დ. უშვერიემ მოახდინეს.

ი. სუბიშვილის ცეკვა გვიბოლავდა იშვიათი სისადავით და გამოხსავლობით. გამორჩენისთანავე იპყრობდა მაყურებელს, გულმოდინედ ჰქონდა დამუშავებული ყოველი დეტალი: ვაჟ-კაცური, ვართო ღლიძი, ფაფახის გასწორება, ჩოხის სახელოს აწვევა თუ ჩამოშვება, ძუნწი და დახვეწილი მოძრაობები. სულ სხვაგვარი იყო იგი დღევანდელ თავის განუყრელ პარტნიორთან — ნ. რამიშვილთან ერთად.

„მთიულურის“ სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვაძლევდა დ. უშვერიემ. სცენაზე მას გამოარჩევით უფრო სხარტი და მოკვეთილი ილეთებო. ასევე დიდი განსხვავება იყო გ. გაგაშელისა და ა. შადურის „მომხურს“ შორის. პირველ მათგანს ახასიათებდა ბრწყინვალე საცეკვაო ტექნიკა და არტისტიზმი, ხოლო მეორეს — რომანტიკული უშუალობა და აღფრთოვანება. მათი ცეკვა, უშთაბრუსადა, აგებული იყო ხელის, ტანისა და ფეხის მკვეთრ რიტმულ მოძრაობაზე. ორიგინალური და დასამახსოვრებელი იყო აგრეთვე ა. შუკვანის სცენარის სოლო.

ვიხსაც ერთხელ მაინც უნახავს, არასოდეს არ დაავიწყდება ი. ცათაიშვილის „ქისტური“ ქალთან ერთად. მისი ბუნებრივი, მრავალფეროვნებით აღსავსე, ყოველგვარ ზედმეტობას მოკლებული ცეკვა მუდამ ერთსულოვან ალტაცებას იწვევდა. მასსოფს შემთხვევები, როცა გაგაშელის ნომერს ცათაიშვილი მოსდევდა ან პირიქით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოვაციები არ წელდებოდა.

მაყურებელთა მოწონება მუდამ თან ახლდა აგრეთვე დ. უშვერიდისა და ა. თათარაძის მიერ განსხვავებული მანერით შესრულებულ „ბაღდადურს“. ეს ხალისიანი ცეკვა ერთხანს, სრულიად უმართებულოდ, განდევნილი იყო ჩვენი ესტრადიდან. მაშინ ზოგიერთს დაავიწყდა, რომ ყარაჩოლლები და კინტობები, რომელთა სახელანაგაა დაკავშირებული ეს ცეკვა, ძველი თბილისის სრულყოფილიანი მოქალაქეები იყვნენ, რომლებიც თავისებურ ლაფფის მატებებზე დედპალაქის წარსული ცხოვრების კლონობის. ისე, რომ „ბაღდადური“ უნდა მივიჩნიოთ ქალაქური ფოლკლორის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშად.

30-40-იან წლებში მრავალი კარგი ხელოვანი მოღვაწეობდა ქართული ხალხური ჭოროგრაფიის სარბიელზე და თუ შემოსინებულ ოსტატების მოგონებით დავმაცხოვრდი, ეს იმიტომ, რომ ისინი, თვითმოყვანი და განწყობრებულ ტრადიციით, უფრო ღრმად აიბეჭდნენ ჩემს მესხიერებაში. ახ-

ლო წარსული პატარა ექსკურსის ძირითადი აზრი ის იყო, რომ დღევანდელი მოცუვავეებისთვის მიმართა მისხამ მხატვრულ მაგალითზე, თუ როგორი შემოქმედებითი მეთოდი უნდა მიუღწეოდ ხალხურ მასალას, როგორ უნდა სრულყოფილი იქნას ოსტატობა ამ მადლიან საძირკველზე. საჭიროა მოცუვავეებში ჩამოაყალიბონ და შეინარჩუნონ ინდივიდუალური სახე, რომლითაც საერთო ქართული ქორეოგრაფიის ორგანო და ძვირფას კუთვნილებად იქცევა.

როცა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების არსებულ ვითარებას ვიხილავთ, სხვა კოლექტივებთან ერთად, უწინააღრისად, მხედველობაში გვაყვას ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. და საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. უმთავრესად ეს ორი მხატვრული კოლექტივი უნდა გამოხატავდეს და გამოხატავს კიდევ ქართული ხალხური ქორეოგრაფიის დღევანდელ ეტაპს, უმთავრესად მასის გამოხატულების და ჩანდეს და ჩანს კიდევ ეროვნული ქორეოგრაფიული კულტურის მოწინავე ტრადიციები და მისი განვითარების პერსპექტივა. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია ამ ორი ანსამბლის შემოქმედებითი შრომისადმი შეტი მიმოხიფებლობითა და პრინციპულობით უნდა ხასიათდებოდეს, შენიშვნებიც რაც შეიძლება კონკრეტული, საფუძვლიანი და პირუთენილი უნდა იყოს. მხოლოდ ურთიერთგაგება მოიტანს სასურველ შედეგს.

თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა წინ წასწია ერთგული საცეკვაო შემოქმედება, გააღრმავა და გაამდიდრა იგი ახალი მიღწევებით, უფრო მრავალფეროვანი გახლდა მისი რეპერტუარი. ეს ყოველივე, რასაკვირველია, მთლიანად ნიჭიერი კოლექტივისა და მისი გამოცდილი ხელმძღვანელების დაუღალავი და ენერგიული შემოქმედებითი, ამასთან — ორგანიზაციული მუშაობის შედეგია.

ანსამბლის კონცერტები, როგორც წესი, ყველგან და ყოველთვის მსურველთათვის სასურველ დარბაზებში მიმდინარეობს. ასეთი პოპულარობა ანსამბლმა მოიხვეჭა მაღალი სადადგამი და საშემსრულებლო კულტურით. მის საკონცერტო პროგრამებში ჩვენს ყურადღებას იქცევს, პირველყოფისა, ის ნომრები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ხალხური ხასიათით. ასეთად მივიჩნევთ: ფერხული, ხორუმი, ხევსურული, სიმღერი, მხედრული და სხვ. ჩამოთვლილი ცეკვები მოწონებას იმსახურებენ ნაწილის შინაარსისაგან, დახვეწილობით და შესრულების სიმწიფობით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „სამაია“, რომელიც კვლავ ბრწყინავს თავისი მწველარი სინატივითა და ფაქიზი პლასტიკურობით. ყოველივე ამას თუ დავუმატებ პროგრამის შესანიშნავ გარეგნულ გაფორმებას, იშვიათი გემოვნებით აღბეჭდილი კოსტუმები და მუსიკალურ-ინსტრუმენტული თანხლებების სათანადო ხარისხს, ნათელი გახდება ანსამბლის საერთო მაღალმხატვრული დონე. მაგრამ აქვე უნდა ჩვენს მიზანს არ შეადგინოს ანსამბლის კარგად ცნობილი შემოქმედებითი მიღწევების ყოველმხრივი ანალიზი. ჩვენ გინდად გამოვთქვათ მოლოდინი თუ კონკრეტული ხასიათის ჩანდენი შენიშვნა, რომელთა გათვალისწინება, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ანსამბლის შემდგომ წინსვლასა და სრულყოფას.

პირველი რაც თვალში გვეცემა ანსამბლის კონცერტზე ყოფინას, ესაა პანტომიმური ნომრების სიჭარბე. ორიოდ გამოიკლავს გარდა, თითქმის ყოველ ნომერს თეატრალიზაციის ელემენტი დატარებს. ზოგჯერ კი ამა თუ იმ მასობრივ ცეკვას საფუძვლად უდევს ძნელად ამოსაჩვენებელი სიუჟეტი, სადაც განვითარების საერთო ხაზი და პერსონაჟთა მოქმედება ნაკლებად გვაგრძობინებს აზრის ცეკვით მსვლელობას. ჩვენი აზრით ზომაზე მეტი გატაკება „მოწმუნტრი“ დადგმებით არაა მიზანშეწონილი ამგვარი მოყოლების ანსამბლისათვის, რამდენადაც ამ გზით მასში დომინანტურ ადგილს დაიჭერს თეატრალური თუ საბალეტო ელემენტები. მათ კი შეუძლიად დაარდიონ საცეკვაო ხელოვნების ხალხური ხასიათი. მართალია, სცენა თავისას მოითხოვს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარა ეროვნული ხელოვნების სპეციფიკის დაცვა და შენარჩუნება. მაშასადამე, ჩვენს ცეკვებს უნდა გამოეჩინოს სცენური შესრულების ისეთი ფორმა, რომელიც არამცოდ დაკარგავს, არამედ უფრო მეტად გამოაჩინოს მის ხალხურ ბუნებას. ეს ოთლი საქმე რილია, მაგრამ სწორედ ამანია ანსამბლის საპატიო მისია.

მასობრივი დადგმებისადმი ვიდატარებულმა მიდრეკილებამ წარმოშვა არასასურველი ვითარება — თითქმის იგნორირებულა დაბრუნდებულ სოლოები და დუეტები, რითაც ასე მდიდარია ქართული ცეკვის საუნჯე. ამგვარ ნომრებს ანსამბლში რატომღაც არ ეთმობა კუთვნილი ასპარეზი და მხოლოდ მასობრივ ცეკვებშია ჩართული. სოლოებისა და დუეტების წინა პლანზე წამოწევა ხელს შეუწყობდა თვითყოფადი, ნიჭიერი სოლოისტების აღზრდას და გამოჩენას. ამ მხრივ, ნიჭიერად გამოხატვა, როგორც უკვე აღვნიშნე, ცოტა ხნის წინ არსებული მიდგომარობა.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ ავტორიტეტულ ეროვნულ ანსამბლში სათანადო მხატვრული სრულყოფით არ არის წარმოდგენილი ცეკვა „ქორული“. მისი შემსრულებელი წვეილი ვერ გავიწყებს იმ ესოტიკურ სიამოვნებას, რასაც უცილობლად უნდა განგვაყდებინებდეს ეს ცეკვა. ხარვეზებით ხასიათდება ვაქის ცეკვა, რომელსაც კიდევ ბევრი ვარჯიში დასჭირდება გასმების სრულსყოფად. დასამსუხვევლია აგრეთვე მისი დავლა („სრიალა“). ამ პირობებში, რა თქმა უნდა, ზედმეტია ლაპარაკი ცეკვის შინაარსის გახსნაზე. შედარებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს ცეკვა ოპერიდან „დაისი“. ანსამბლის ხელმძღვანელებმა უნდა გამოავლინონ და აღზარდონ ჩვენი საბაყო ცეკვის მაღალნიჭიერი შემსრულებლები.

საერთოდ მოწონების ღირსია ცეკვებისა და მუსიკალური აკომპანიმენტის კარგი შეთანხმება, ოღონდ ზოგიერთი მცირე შეუსაბამობა აქვს შენიშვნა, სახელდობრ, „სორუსს“ აშკარად არ უხდება დადგვის თანხლება, მცდოლია ძალზე მონოტონური და მოსაწყენია. სჯობია, ამ შემთხვევაში მარტო დროს მიეცეს სიტყვა.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის უწინდესი ვალა შეუბღალავად დაიცავს და განავითაროს ეროვნულ ქორეოგრაფიული შემოქმედების ძვირფას ტრადიციები. დარწმუნებული ვართ, ამ უღრესად საპატიო მისიას დამსახურებული შემოქმედებითი კოლექტივი, სახელო-

ვანი ხელმძღვანელების მეთაურობით, პირნათლად შეასრულებს.

კვამე გასაგები მიზეზის გამო, ამავე თვალსაზრისით შეგაფხვებ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფიულ რეპერტუარს. აქც ცხადლივ იგრძნობა ცეკვების დამდგმელისა და შემსრულებლების მონდომება და საქმისადმი სიყვარული. ცეკვების სიმწყობზე და შინაგანი ლოგიკა უდავოს ხედის ანსამბლის საერთო მაღალ დონეს. მოლიანად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს „საქორწილო“, დამაკმაყოფილებელია „ქართული“. ახლებზედა და ცოცხალი „აღვანური“ ტემპერამენტისანი სოლისტებით. განსაკუთრებით მოწონების ღირსია „ძაბრა“ ხალხური ხასიათით, ქებას იმსახურებს ნინიძე, რომელიც ბრწყინვალედ ასრულებს სოლოს. ხალისიანია „განდაგან“, ოღონდ ნინიძე უნდა ერიდოს შტამპს. საერთოდ, ერთ კონცერტში ნინიძის ასეთი დატვირთვა, ვფიქრობთ, არ არის მიზანშეწონილი. მაგალითად, რა საქორთა მისი დაკავება „ხორუმში“? „ხორუმი“ ჭერიოკულ-დრამატული ცეკვაა, ნინიძეს კი ფინალში კომიზმის ელემენტი შეაქვს, რაც სიცილს იწვევს.

არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ანსამბლის ქორეოგრაფის, ჯ. ბაგრატიონის მხატვრულ გემოვნებაში, მაგრამ, ჩვენის აზრით, ზოგიერთ ნომერს უთუოდ სჭირდება რედაქტირება. ძირითადად, სასურველ ეფექტს ახდენს „ძველი თბილისის სურათები“, თუმცა, ცოტა არ იყოს, გაკიანურებული მწვენება პირველი ნაწილის მსვლელობა. თუ მაინცდამაინც საქორთა, უკეთესი უნდა იყოს დეკლამაცია, ტექსტი სუსტია. არ არის კარგი სოლისტი, რომელიც მკაფიოდ გვაგმობობინებდა ამ ცეკვის კოლორიტს. (გაცილებით უკეთესია მეორე ნაწილი ქალებთან და სიმღერასთან ერთად. აქედან ხომ არ აჯობებდა ამ ნომრის დაწყება?)

„სიმდი“ შაბლონური „ტრადიციული“ ნახაზით სრულდება, საქორთა მასში ახალი შტრიხების შეტანა. აქ შედარებით უკეთესია პირველი დუეტი (წყნარი), სათანადო შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მეორე (ჩქარი).

ჯეროვან სიმაღლეზე არა დგას მითილური ტრიოც.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ანსამბლის ქორეოგრაფიული ფრთის მისწრაფება ცეკვების ხალხურობის დაცვისაკენ. იმედია, ეს ტენდენცია უფრო გაღრმავდება.

ვიმეორებ, ჩვენი შენიშვნები დასახელებული ორი სახელმწიფო ანსამბლის მიმართ გამოწვეულია კეთილი სურვილებით. წლების მანძილზე ისინი ღირსეულად მიუძღოდნენ წინ ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას, მისაბაძ მაკალიოს იძლეოდნენ ქართული ცეკვების შემოქმედებით დამუშავებასა და სცენურ ხორგშესამშო.

ხალხური ქორეოგრაფია ეროვნული ფოლკლორის ერთ-ერთი მკაფიო და სანახაობრივად მდიდარი დარგია. ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ წმინდად დაიცვათ ქართული ხალხური შემოქმედების ძვირფასი ტრადიციები, განავითაროთ და სრულყოფით მისი სცენური წარმოსახვის ფორმები, არ დავაშორით იგი ეროვნულ ძირებს. ამით ჩვენი საცეკვაო ხელოვნება ღირსეულ ადგილს შეინარჩუნებს მსოფლიოს ქორეოგრაფიულ შემოქმედებაში, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალისტური კულტურის განუხრულ წინსვლაში.

საპარტიზნოს
კომპაზიტორის
პრემიის ლაურეატი

ლიბეტი

პრისტაქი

გულნარა ჯაფარიძე



სე დამეძმდა: როგორც კი ვახსენებ მხატვარს, თვალწინ უმაღლვე მისი მხატვრული სამყარო წარმომიდგება და არა თვით მხატვარი.

რატომღაც ვენდობი ჩემს პირველ შთაბეჭდილებას, უშუალო შეგრძნებისა და განცდის საფუძველზე გამომაქვს მსჯავრი... და ინტუიცია განა ყოველთვის გვალატობს?

ამავამდც, ვახსენე დიმიტრი ერისთავი, და ჩემს შეგნებაში ერთბაშად მისი შემოქმედება აირგვლა: ხალასი და წმინდა, ჩვენი ცხოვრების საუკეთესო მხარეთა გამომატველი, იგი ახალგაზრდობისადმი მიძღვნილ გამარჯვების ჰიმნადაც წარ-



ღმობერი ერისთავი

გაზაფხულის დღე

ზომიდან დიდი დღესასწაულის 50 წლისთავზე და ნურავის გაუკვირდება, თუ ამ მეტად თავისებური, ლამაზი სამყაროს გადმოხატვას ჩემი კალმით მეც ვცდილობ.

თუმცა, გამოცდილებით ვიცი: მეტად რთული და ძნელია ნათლად გამოსთქვა ის, რასაც ხელოვნება განგვაცდევინებს. მაგრამ, ახლაც, როგორც ყოველთვის, გონებას გრძნობა სჯაბნის და არ შემოიღიან ხმამაღლა არ ვთქვა ის, რაც გულში გავივლევ.

სამხატვრო აკადემიაში გამოფენილი გრაფიკული ნამუშევრებით მიიპყრო მან პირველად ჩემი ყურადღება 1956

წელს. ეს იყო ავტოლითოგრაფიით შესრულებული სადიპლო-მო შრომა ანატოლ ფრანსის „კრენკებილის“ ილუსტრაციები, რომელსაც უმაღლესი შეფასება „ფრიადი“ ხვდა. თვალსაჩინო იყო აკადემიურად გამართული ნახატი, ახალგაზრდა ავტორის მხატვრული აზროვნების უნარი და ისიც, რომ ილუსტრაციები განკუთვნილ ლიტერატურულ ნაწარმოებს, მის ხასიათს შეეფარდებიდნენ.

ილუსტრაციებს ბუნდოვნადაა აღვადგენ მესხიერებაში. შთაბეჭდილების განახლების საშუალება კი არა მაქვს: დასა-ბეჭდად ჩაბარებული დედნები, იმ დროის წესისამებრ, სტამ-

ბამ ავტორს აღარ დაუბრუნა, ილუსტრაციებით „შემკულ“ წიგნში კი მხატვარმა ძნელად შეიძინო თავისი ნახატები.

ეს მსოფლოდ შემდეგ, ბევრად სხვადასხვა გავიგე. მაშინ კი ვუყურებდი კაუდერისთან მდგომ ჯეკს აგებულების ახალგაზრდას, რომლის წარმატება სხვებთან ერთად მეც მასწარებდა, და არ კი ვიყოდი, რომ სულ მალე მისი დაოსტატების მიწვევაც გახდებოდა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა გამოფენაზე, 1958 წელს, აშურბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მხატვართა ოთხ ასეულ ნაწარმოებთა შორის ყურადღების დამსახურება უკვე მხატვრის გამარჯვებას ნიშნავდა. დიმიტრი ერისთავის პასკელით შესრულებული „გასიერება“ (1957 წ.), თბილისელი ქალიშვილების ტიპური სახეებით, მნახველს აჩერებდა და თავისი უშუალოებით უნებლიე დიმიტლ ჰგვრიდა.

ტკეპია, შესრულების მანერა და თვით თემაც იმდენად თავისებური და ახალი იყო, რომ იგი შემთხვევით მოვლენადაც მიიჩნის ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებაში.

მხატვრის რთული ბუნების ამოსხნას ვეძლიობ. არ ვცდები. დრო მოვა და სათქმელს ალბათ თვითონვე იტყვის...

დღეისათვის კი ისიც კმარა, რაც შეუქმნია მხატვარს. ამიტომაც არის, რომ მასზე უკვე ბევრს წერენ, ჩვენში, რუსეთში, და ხშირადვე უწყებდები მის ნამუშევართა რეპროდუქციებს ეურნალ-გაზეთებში. დიმიტრი ერისთავის შემოქმედების თაყვანისცემელთა რიცხვში უკვე ფართო საზოგადოებრიობა ჩაწერილია და არა მარტო ხელოვნების ცალკეული მოყვარული.

ეს კიდევ უფრო ცხადყო ამ მოკლე ხნის წინ საქართველოს კომკავბრის პრეზიუმე წარდგენასთან დაკავშირებით მხატვართა კაგინრში გახსნილმა მხატვრის პირსონალურმა გამოფენამ, რომელმაც სათანადო ადგილის, ექსპოზიციის, კატალოგისა და აფიშის უქონლობის მიუხედავად, გზა პპოვა მაყურებლის გულისაკენ და დავანახა, რომ შემოქმედებით ცხოვრების მეტად მოკლე მონაკვეთში (1957-1967), დიმიტრი ერისთავს შეუქმნია საკუთარი ხედვისა და სილამაზის ახალი მხატვრული სამყარო.

ამიტომაც ვფიქრობ დღეს დიმიტრი ერისთავის მხატვრული განვითარების გზებზე და ამოცანის ამოსახსნელად მის „ავტობიოგრაფიასაც“ ჩავეყურე. მოკლე და ლაკონური, იგი ბევრს არას მეუბნება და მსგავსად საერთო წესისა ასე იწყება:

„დავიბადე ქ. თბილისში 1931 წლის 18 ივნისს, მხატვრისა და პედაგოგის ვახტანგ ერისთავის ოჯახში. 1939 წელს შემეყვანეს თბილისის 43-ე საშუალო სკოლაში, რომელიც 1950 წელს დავამთავრე. 1945 წელს შევიღეს კომკავბრში. 1950 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიაში მიმიღეს გრაფიკის ფაკულტეტზე. ბავშვობიდან გატაცებული ვიყავი ხატვით, განსაკუთრებული ხალისით ვასურათებდი წაკითხულ წიგნებს...“

აქ გერბდება. შეიძლება იმითმ, რომ მხატვარმა აქ ოდესღაც დადებული ფაქტების მშრალ ჩამოთვლას და შეიძლება ინიტოტმაც, რომ მგონია სულიერად ყველაზე მეტად ბავშვობის წლებში ყალიბდება შემოქმედით.

გადაფურცლავ გასული წლების კალენდარს და წარმოვიდგენ: ფერმკრთალი ბიჭუნა დედამისი იმედოვ არის და სიყვარულიც. მაგრამ მშრომელი ინტელიგენტის ოჯახის პირში, და უსაკმობას ჩვეული არ არის. სტილიზებული ბავშვობის თვალში სარკესავით აირკვლავენ გარემოს, ამიტომაც ქუჩაში თამაშზე უფრო ხვდადასხვა სცენების ყურება მოსწონს და არ გაავიწყინდეთ, თუ სამდე ფარკის წინაც შევხვდეთ გაჩერებული. ნახატებს მუდამ დატინებით ჩასტყურის და მათგან თითქოს რაღაც ახლის ამოკითხვას ლაპობს. თვითონაც უყვარს წაკითხვის ილუსტრირება და ხშირად, როცა წიგნებს უკითხავენ, ზის და ქალაღზე გულმოდგინედ ხატავს წიგნში აღწერილ სახეებს. ბიძია თომას, აივენგოს, ალბათ დონ-კიხოტსაც.

გმირები მოსწონს და გოგონებში მასაც რაინდულად უჭირავს თავი. ეგებ იმიტომაც, რომ მათ ფართოდ გახელოლ თვალბში მხატვრისათვის ჯერ კიდევ გაურკვეველი ოცნება ჩახატულა. ოცნება სატეკაი და ხელშეუხები, რომლითაც მხატვრის პორტრეტებზე დღესაც აღტურვილან ქალბით.

არც იუმორია მისთვის უცხო და გაუგებარი. იუმორი, რომელსაც გულმსატყვილი ახლავდა და რომელსაც ასე ისტატურად გადმოსცემენ ილია, გოგოლი.

აკი დასურათა კიდევ „კაკია ადამიანი!?“ ბავშვობაში. ხოლო სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში, გოგოლის იუბილესთან დაკავშირებით გამოსხადებულ კონკურსში, დიდი რუსი მწილობის ნაწარმოებთა დასურათებისას, შემთხვევით როდი დამისახება ჯიღოდ — მისთვის იმ ხანად მეტად ძვირფასი, ერთი რუონის სახატავი ქალაღი...

თბილისი! თავისებური ელფერიტა და კოლორითით გამორჩეული, ათასწლოვანი, ჭალაზა და მანიც მუდამ ჭაბუკური სულსკვეთის საქართველოს დედაქალაქი!

ვინ არ უმღერდა და ვინ არ უმღერის მას! მწერლებიც იჩემებენ, პოეტებიც და საკუთარი მხატვრებიცაჲ ყპას: ფიროსმანი, გულდამევილი, ასველიანი...

დიმიტრი ერისთავის შემოქმედებაც ძირითადად თბილისელთა ხასიათის გამოვლენასა და მათი ყოფაცხოვრების გადმოწყვას ისახავს მიზნად.

პოეტური ბუნების შემოქმედით, იგი ფართოდ გვიღებს კარს ქალაქის ახალ ცხოვრების უკეთ შესაცნობად და ფერებს არ იმურებს, რათა ჩაკავადელის მის გულში ღრმად აღბეჭდილი გმირის სულიერ სამყაროში.

ეს გმირი კი კონკრეტული პიროვნება არ არის. იგი ჩვენი ქალაქის ახალგაზრდაობა, ლამაზი და ჯანსაღი, ადამიანები, რომელთაც თავდავიწყებით უყვარს თბილისი და რომლებიც სწავლობენ, იღვწიან და შრომობენ თავისი სამშობლოს აწმყო-ნომავლის საკეთილდღეოდ.

ამიტომაც უფრო სურთ უნებლად მხატვრის სურათები „გაზაფხული“ და სხვა, მისთვის ალბათ მუდმივად სასურველი, თითქმის ყველა მის ნამუშევარში იგულისხმება.

დაიხაც რომ იგრძნობა „გაზაფხული“ სამუშაოდან მიმავალი ხალხის ნაკადის დინებაში, ხალხის ნაბიჯები აყოლილი ჩიტების გუნდის ფრთხილას თუ ქრიაიმულში („გაზაფხულის დღე“ — ლინოზარავიურა), დილის პაერის ლუსხსა თუ გამტ-



ვირვლობაში („დილა“) და ახალგაზრდა ქალების კოაწიაობასა და ჩაცმულობაშიც („გაყვინტავს“).

ვგებ მართლაც „გაზაფხულის“ მხატვარი დიმიტრი ერისთავი! თუ მუ არის გასაკვირვებელი: გაზაფხული ახალგაზრდობის სინონიმია და თუ მხატვარი ნამუშევრებსაც ხშირად ნაილავს გაზაფხულის სახელწოდებით, იგი მასში ყოველთვის ახალგაზრდობას გულისხმობს, მათ „გაზაფხულის დღეს“.

ამ სახელწოდებისა პასტელით შესრულებული მისი ბოლო დიდი შოშის სურათიც („გაზაფხულის დღე“ — 1967 წ.), თავისი უფალი მოხაზულობის მეკვირე ნახატებისა და ნახი კოლორითიც. მასზეც ქალიშვილები „გამოფენილან“ ამწვანებულ ხეებს შორის და ერთმანეთს შორის უკუქვევით მიმავალი, ზღვის მიმოქვეყვასა და ერთმანეთს მწკრივით, თითქოს რიტუალურ ცეკვას ასრულებენ სიციცოლის განახლების საღი-დებლად. და არ გვხამუშობათ მათი გამკვირვალე სამოსელი, რომლის ქვემოდან სხეულის სიმიშვლე სასწაულებრივი კდემამოსილებით სავსეა, ნახატის საუფალებით გამოთქმულ „ლი-ლიუს“ უფრო ჰგავს განწყობით სავსე ეს სურათი ფართო ფერწერული მონასმებითა და აქვარელით მსუბუქი ფერებით. და აი, გაზაფხულის აღმნიშვნელი მეორე სურათი „იგბის გამყიდველი“. კარგა ხანია შექმნა იგი მხატვარმა (1959 წ.), მაგრამ დღესაც ისევ ხიბლავს მაყურებელს, როგორც დაბადების პირველ დღეს.

იგბი ხომ თავისთავადაც სიმბოლოა გაზაფხულისა! და თუმცა ყვეალების გამყიდველი ახლო-მახლო სოფლად მოკრფილი იგბით, თანამედროვე ცხოვრების ნამდვილ გზას აკდენილი ჩანს. თუმცა მუშაბანდიანი სახლის ფონზე ხესთან ატუხული, იგი თავისი ნაღვლიანი გამობნედი სინარტულსაც გადაებს — სურათი „გაზაფხულითა“ და სისახისით სასევა.

თბილისელ კინტო-ყარაჩხველთა გადმონასტსაც მაგონებს ყვეალების გამყიდველი, თვითონაც ქალაქელი მდამით, მაგრამ რომანტიკული და გულსდღაობის სითამამეც მოსდგამთ და უმწობაც ახალი ცხოვრების ფერხულის წინაშე. და აი რატომ არის, რომ შეწყუბებული სახით ხეს „უაზღვრლად“ მიყდნობილი ახალგაზრდა, კვიმეი ერთი ხელითა და მეორემით იგბით, განზე იყურება და „ვერ ამჩნევს“ მის წინ შეჩერებულ კოწია გოგონებს. ერთ მათგანს ხომ უკვე ხელშიაც აქვს იის კონები, გულს სათუთად იხუტებს და მოკრძალებითაც ყნოსავს მათ და აკი სურნელებით გაბრუებული, შეუცნობლად დაბაბულა გერტაკარილი ყლორტავით.

მეორე კი, ყვეალების საფასურის გადასახდელად, ჩანთაში გულმოდგინედ ეძებს რვეულებისა და წიგნების ფურცლებს შორის უდროოდრდ მამალულ დანახვას.

მაშ რად არ ითხოვს გასამარჯლოს იგბის გამყიდველი? რად არ შესვლის მისივე ყვეალებებით ლამაზ მიყიდვლებს? სად იყურებთან და რას ხედავენ უსიხარულო მისი თვალები? ცენტრს სურათისა, თემატურად და კომპოზიციურადაც, თვით ყვეალების გამყიდველია, მაგრამ, პირველ პლანზე განა საგანგებოდ არ გამოუხატავს მხატვარს გოგონები? მეკორ-

ცხლნი და სიცოცხლით სავსენი, იებთან ერთად სწორედესიხივეს არიან გაზაფხულის ნამუშევრელნი და ხომ ჩრდილავენ კიდევ სურათის შუარულ სედას.

თბილისის კონტრასტებსა და მის ინტიმს, თბილისელთა აღნაგობასა და სასახათო მოძრაობებს, გოგონების სიფაქიზესა და ყვეალებით მოვატრის უმწობასაც დანახებთ ეს მკვეფითი კონტრუიანი ნახატისა და საამოდ ამზინებული ფერების სურათი.

შემიწნედი, დიმიტრი ერისთავის დაზუური გრაფიკის ფურცლები ერთ თლიმის სერიად არ არიან ჩაფიჭრებული (თუმც შეიკვეენ სხვადასხვა წლების სერიულ ნახატებს), მაგრამ თემატურად ერთმანეთს ეხმანებანი.

დიმიტრი ერისთავი ხატავს მისთვის სასურველსა და სასიყვარულოს. ხატავს ბავშვებს. მათ ეძღვლება ანა ერთი საყვარლებო სურათი („საბუშვი ბაიი“ — 1959, „დილა“ — 1964, „პარადის რეპტიცია და მით“ — 1965) და კარგად ცნობილი „ქლასობანაც“.

ჩინებული ნახატი, საკუთარი პერსპექტიული ხედვა, საოცრად მილიანობაში აღქმული შეგრული კომპოზიცია და ფერთა შვიდი, კონტრასტული ფერა, სურათის სხვა დირსებათა შორის პირველადევა თვალთმოსხვედრი. მაგრამ ყველა ამით, გამომსახველობით სრულყოფით, ვეც მხატვრის ფსიქოლოგიური დაკვირვება სჭარბობს. ამის შედეგია, რომ სწორედ თბილისელი და არა სხვა რომელიმე ქალაქის გოგონები თამაშობენ თქვენ წინ „ქლასობანას“, თუმც აქაც, როგორც ყოველთვის, ადგილის კონკრეტისაიცაი არ მისდევს მხატვარი.

დარწმუნებული ვარ, გესმით „ქლასობანას“ მოთამაშეთა დულის არსი. გულდასმითაც ადევნებთ თვალურს მათ თამაშს. გადაახტები თუ ფილაქანზე ცარკით მოხასული „ქლასის“ გაუქმებულ კვადრატს ტანსუტკი გოგონა? შეამჩნიებთ ალბათ, იგი მარცხდა ფეხზე შემდგარა, ხელებითაც იცავს წინასწარობას და მისი მოძრაობა მყარი არ არის. ზურგით მოქცეულს თქვენსკენ მოსახედად არ სცალიან, მაგრამ ვერ ხედავთ განა ერთ წერტილს მიჩერებულ დაბაბულ სახეს? განა თქვენსკით მოლოდინს არ გათხარხარავს მის ახლოს მდგომი მეორე გოგონა? მესამეის ხელი სძლეებს, დარწმუნებულია ამხანაგის მარცხში და უკვე თამაშში შესულას აპირებს: შუადა აქვს გადასაგდებად მომარჯვებული სათამაშო ქვა.

სამი მოზარდი და სამი მხათით, სამი „მოქალაქის“ თავისებური ბუნება, რომელიც ქალაქის ფილაქანზე აღმოცენებულა. განა საერთოდ სოფლიდან შორს, ქალაქის ჩრდილში და ქვეალებით უბეჭვ არ არიან გაზარდული დიმიტრი ერისთავის სურათებში მისი ფაქიზი და მოხდენილი ბავშვები თუ ახალგაზრდები?

მხატვრის უაღრმად მახვილ ხედილი მეხსიერებასაც ავლენს „ქლასობანა“, რომელიც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ დიმიტრი ერისთავის ნამუშევრები ხანგრძლივი დაკვირვებისა და განახოვადების შედეგს წარმოადგენენ და არა სანტერესო მოტანა უბრალო ჩანახატებს.

რარეგ მეტყველია ქესტ-მიმიკაც ქანის, თავისა თუ ხელის ოდნავი მოძრაობა, დგომი და მოხდენილი გოგონები თვით-



ული პერსონაჟისა, სახასიათო და ტიპური, ხაზს უსვამს კომპოზიციას, მოლიანობაშიაც მოკვას მისი შინაარსი.

ამიტომ არის, რომ ფანჯრიდან არაერთხელ დანახული თამში „კლასობანა“, დამთარებულ მხატვრულ ნაწარმოებად — სურათად იქცა და მისი ორველი ხელოვნებანი არსად შეგვდებათ.

დიმიტრი ერისთავს თავიდანვე ცხოვრობს ოსტატის თვალთ დაუნახავს თანამედროვე ქალაქის ცხოვრებისეული დეტალები და მხატვრის ნამდვილი ალღოთი, ესთეტიკურ ასპექტშიაც შეგვრძინა შეჩვეული თვალისათვის ხშირად ესოდენ ძნელად შესაგუებელი სიახლენი.

ეს არის მიზეზი, რომ დიმიტრი ერისთავის გამოფენაზე მოხვედრილი ადამიანი ახლებურად აღიქვამს გარემოს. მაყურებლის თვალში კადრთა კინემატოგრაფიული სიცხადით, სათანადო რიტმსა, სახასიათო მოძრაობებსა და დინამიკაში, თითქოს ნახატებიდან ცხოვრებაში და არა პირიქით, მკვიდრდებიან ნაწიბი სახეები — თბილისელი გოგო-ბიჭები, ქალი-მედიკანი, ჭაბუკები, მუშები, სპორტსმენები, წითლარამიელები...

ყველა მათ ახლოს იცნობს მხატვარი, მათი ავკარგიო ხარობს თუ აღიზნება, და მათ მაჯისცემას დიდი ქალაქის მაჯისცემადაც აღიქვამს.

ამიტომაც არ არსებობს დიმიტრი ერისთავისათვის დიდი და პატარა თემები, იგი ცხოვრების ყოველ მოვლენაში საინტერესოს პოვნებას და განხორციელებას საუბრეობით „წვილი-მანსაც“ საყურადღებოს ხდის, მაღალ საფეხურზე აყენებს.

და როცა დიმიტრი ერისთავის ნამუშევართა გარემოცვაში მდოინი თვალს სურათიან სურათზე გადაიტანს, ეგებ გაგახსენდეთ მხატვრის საყვარელი მწერლის ანატოლ ფრანსის სიტყვები: „დაკვირვების დიდი უნარი და რაღაც განსაკუთრებული ინსტიქტი უნდა გაგაჩნდეს, რათა იმ ეპოქის ხასიათი იგრძნო, რომელშიაც ცხოვრობ, და რათა თანამედროვეობის დასურულებლად რთული მოვლენებიდან გამოკყო მთავარი მისი თვისებები და ტიპური ფორმები“.

დააკვირდეთ მხატვრის ნახატებში ფერსა და ხაზს, თემებსა და კომპოზიციებს, ადამიანებსა და მათ ქვევას. ჩვენი დრო და ჩვენი ხალხი აღბეჭდობს ბუნებრივად, ძალდაუტანებლად მხატვრის მიღწევას, რომ მის პერსონაჟთა ბრალთა გამოხედვაში თუ სიარულში, მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულებას თუ გარეგნობა-მომართობებში, დღევანდელი საქართველოს ღვიძლ შენობებს შეიკნობთ.

დიმიტრი ერისთავის ნამუშევრებს გრაფიკულს ეწოდებთ და ალბათ ბოლომდე მართლები არა ვართ. „გრაფიკა“ — ბერძნულად ხატვას ნიშნავს, დიმიტრი ერისთავი კი ფანქარსა და სანაწიას გარდა გუაშით, პასტელით, ტემპერით მუშაობს (მათ ხანდახან ერთმანეთშიაც ერევს) და კარგადაც ფლობს ფერების წერის ტექნიკას. მაგრამ თუ მათ მინც „გრაფიკულს“ ეწოდებთ, ეს იმით აიხსნება, რომ „ფერწერად“ დღემდე ძირითადად მხოლოდ წყლის საღებავებით შესრულებული ნამუშევრები აღინიშნება, ხოლო თვით მხატვრის ნამუშევრებში, პრორიტები ყოველთვის გრაფიკის საფუძველს — ხაზს ანუ ნახატს, ენიჭება.

აღიეთ ნებისმიერი მხატვრული ფურცელი: კომპოზიციის თუ ფიგურების მკვეთრ კონტრულად ევლება გარს მხატვრის ხელის მორჩილი და თითქოს თავისთავი დაკერებული მკვეთრი ხაზი. იგი ფონიდანაც გამოკყოფს, სკულპტურულადც გამოკყოფს და გამოძერწავს კიდევ ასახული სახასიათისა თუ ხასიათის.

ნახატის პლასტიკობა ნამუშევრებში ძირითადად კომპოზიციის რიტმს აყალიბებს და ქალაქზე უწყვეტად აცურებულ დაკუთხული ხაზებიდანაც იქმნება, რომელთა მიმართ „გრაფი“ სურათისა დაჩრდილოელი ჩანს. მაგრამ: კლორითიკი მუდამ საამაო, გარემოს შესატყვისი და შშობილიური.

ფერთა ნიუანსები ნახი და დახვეწილი. ფერთა კონტრასტები დისონანსს მოკლებული და მხატვრული თვალის ოსტატურად შეხამებული.

ფუნჯის მონასში თავისუფლი, ხან აქვარელივით მსუბუქი, ხან ლაკონურობამდე დაყვანილი და ხან კი ფერთა ერთმანეთთან შეზღვევით, ფერწერული.

ყველა ამისათვის ნახატის ფორმა ფერსაც ექვემდებარება და ზორცმსმულიც არის. და ნათელი ხდება: ხაზი და ფერები ერთმანეთს ერწყმიან, ერთმანეთს ეხმარებიან, ეფარდებიან და ერთი მთლიან მხატვრულ ფორმას ქმნიან — მტყვევლსა და მხოლოდ ამ მხატვრისათვის დამახასიათებელს — ერისთავისებურს.

აქ დასმული საკითხის საილუსტრაციოდ მხატვრის ნამუშევრების გადასინჯვა უძემდები არ იქნება. უკვე ხსენებული „გასიერნება“, „იების გამყიდველი“, „გაზაფხულის დღე“, თვინი „კლასობანა“ და, შესაძლოა, თქვენთვის უცნობი ფურცელი „რეპეტიცია დამიო“. ეს უკანასკნელი პირველად 1965 წელს გამოჩნდა სურათების გალერეაში, რესპუბლიკურ გამოფენა „მშენებლის სადარაჯოზე“. შემდეგ აღარასდ მიწაზავს. ალბათ სხვა გამოფენებაც ამშვენებდა თბილისს გარეთ და მოსკოვშიაც იყო ეურნალ „იუნოსტის“ მიწვევით „ზურაბ ნიჭარასი, თეგნის მირაშვილისა და დიმიტრი ერისთავის გამოფენაზე“.

გულში ჩამრჩა და მესხიერებაშიც აღიბეჭდა მისი ოსტატურად ამტკიცებელი ფერები. ლაკონური და ფერწერულად ხსნიანი, პირქვე და დანის შუქით ავერადებულნი.

სურათის განივი ფორმას, როგორც ყოველთვის, აქაც თემას უქვემდებარებს მხატვარი. საბრძოლო რაკეტა, შემზარავად დიდი და სიკვდილ-სიცოცხლის მატარებელი, იკავებს სურათის სიბრტყეს კიდით-კიდემდე. ელნათურათა გამოსხივებაზე ლამის სივრიდან ზღაპრული ურჩხულივით ამოცურებულს, მხოლოდ მას ხედავს პირველად მაყურებელი. შეგზარათ და დანიანხავთ: ბორბლებზე შემდგარი იგი, მორჩილად მიჰყვება ტვირთმძიმეობის ხელს, რომელიც სურათიდან გასრულ, უკვე თვალს მიჰყვარება. მხოლოდ შემდეგად პირველად უკან მწყობრში მდგომ ჯარისკაცთ — ამგამად პარადის რეპეტციის მონაწილეთ — სიცოცხლის დამცველებს.

მაგრამ, სურათის სიუჟეტურ კვანძს ბავშვები შეადგენენ, ხელხელ ჩაკიდებული პატარა გოგო-ბიჭი. და შემთხვევითი არ არის, რომ თვალთახედვას გვიან ხედავა ჯარისკაცთა სა-

პირისპიროდ მარცხნივ, წინა პლანზე ზურგმუცკევით მოთავსებული მათი შვიდი ფიგურები — საგანგებოდ ნამცეცა და მოკაფე, „პარადის რეპეტიცია“ მათთვის დიდი და უჩვეულო სანახაობაა, სხვა არაფერი!

ახე თავისებურად სწვევტის ომის თემას მხატვარი. დაჯერებულია: პატარებს არ ელით გათელვა. მათ ჩვენს არხიაც დიდაც და კეთილი ნების ადამიანებიც. ბავშვების შეგნებაში კი ომის საშიშროება, აბაბო უნდაარულ უჩრხვულად იასახლება, პარადის რეპეტიციაზე ოდესღაც ნანახი საოყარი „რაკეტის“ სახით.

არ უყვარს ომის გახსენება მხატვარს და მის სურათებზე ჯარისკაცები სხვადასხვა შვილობიან სიტუაციებში შეგხედვებით, ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ცხოვრებაში. რაც უნახავს და რასაც შეშხებია, იმას ყოველთვის უკეთ ასახავს და განიხილს.

მხატვარი არ ეძებს წითელარმიელთა განსხვავებულ სახეებს. იგი მათ ხასიათს განაზოგადებს და მათ საერთო „პორტრეტს“ ხატავს.

აგერ სურათი „დილა“ წითელარმიელთა ცხოვრების თემაზე შექმნილი სერიიდან. ქალაქის მჭრქლი სილუეტის — მალღასართულებიანი სახლებისა და მანქანების ფონზე, ერთ-მანეთის უკან მწკრივში ჩამდგარი ჯარისკაცები ფხვანობილად, მტკიცედ და საქმიანად მიაბიჯებენ. მათ ყველაფერი ერთნაირი აქვთ: პილოტკები, წელზე დედადაბატორილი ხაკის ტანსაცმელი, უბუში ჩემუბი, მხარზე გადაკიდებული იოფები, მიძრაობა, თავდატრა და გარეგნობაც. და ყველა ეს, კიდევ უფრო მატებს რიტმს პროფილით ასახული მათი ფიგურების წინ სწრაფვას. სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელნი და სამხედრო დისციპლინის ადამიანები, თავსაც არ აბრუნებენ აბტობუსის გარეგნობასთან მდგომი მოხდენილი გოგონასაკენ, რომელიც შესაძლოა საგანგებოდაც, განზე იყურება. მათ შუა კი, ჯარისკაცთა საწინააღმდეგო მიმართულებით, ზურგჩანთააკიდებული ბიჭუნები მიიჩქარაან სკოლისაკენ. ავჯანღვრებით, ფეხს ვერ აჩრებენ, მაგრამ თვალსაც არ აცილებენ „დილის უკან“. მხოლოდ ერთი, გაბატებული მოსაუბრე ბიჭუნას სახე მოჩანს გარკვევით, მაგრამ განა არ გვისმით მათი ჩოჩქოლი და შეძახილები? ბიჭებისათვის ხომ ყოველთვის საოცრებაა თოფ-იარაღი, მათი მფლობელი კი ყოველთვის გიბრია. პილოტკა და ჯარისკაცის ტანსაცმელი კი, მათი აზრით, მხოლოდ გიბრებს ეკუთვნით.

რა საყვარლები არიან ეს პატარა კაცუნები! რა სახასიათთა თვითთული მათგანის მოძრაობა, რა მკვიცრბო! რა ოსტატურად არის დაპირისპირებული მათი გამაღებელი, არეული ნაბიჯები, არმიელთა დინჯ, მწყურის სულასთან!

გოგონა კი დგას და უცდის აბტობუსს. ნუთუ მართლა არაფერი ესმის და არავის ხედავს? გაჩერების აღმნიშვნელ ვერტიკალურ სვეტსა და ჯარისკაცთა შორის მოხედვლილი, კიდევ უფრო პლასტიკური ჩანს მისი სხეული, რომელსაც სიღამამზე შეაქვს და სიმეფედვე ქალაქის ტუნქ პეიზაჟსა და კონტრასტული მოძრაობებით სასვე კომპოზიციაში.

აგერ კიდევ ჯარისკაცთა ცხოვრების მეორე სურათი — „ლაღიის წყლები“. რა ხდება მასზე? არაფერი უჩვეულო.

„ლაღიის წყლები“ უკრა-უკრა იატკას წყურვილის მოსალადად სწვევიან ქალიშვილები და არმიელები. ცალ-ცალკე ჯგუფებად თუ ერთად მოსულნი, ისინი გრილ სასმელს დასწავფებიან და საამო წყლით გულდაამტკებანი გაითმულან კიდევც წამით ერთმანეთისაკენ.

ერთფეროვან პირობით ფონზე შექმნილ ამ კომპოზიციაში, რომელიც ყოველგვარ დეტალსაკიან მოყოლებულია, იმდენი სხვადასხვა ხასიათი და წყლისაკენ მიღებული სიამოვნების სხვაობა გამოისახელი, რომ თავისთავადად ნახატი ოსტატურად შესრულებულ სარეკლამო ფურცელსაც უახლოვდება.

მაგრამ ძირითადი მანიც ის არის, რომ მხატვარს „ჩვეულებრივი“ ყოველთვის მაღალ საფხურზე აყავს, ჯანრულ პოეტურად, ლაკონურ ფერებში და არა ფოტოგრაფიულად გადმოსცემს და ამით ადამიანის, კინებგას განსაზღვრულ მიმართებას აბღვება. (დეკლარაუა).

ღიმიტრი ერისთავის მიერ წარმოსახული ჯარისკაცები ჩვეულებრივი ადამიანებია, რომელნიც შორს არიან ომზე წინასწარ ფიქრისაკენ და თავისთავადაც შვილობიანი ყოფის ერთ ნაწილს წარმოადგენენ.

ამიტომაც დადიან ისინი თავისუფლად ქალაქში. სხვებთან ერთად სეინობენ, შედიან კაფეებში, სევამენ წყალს და სხვადასხვა სანახაობებსაც ესწრებიან.

და ნუ გაავიკრიბებთ, თუ ისინი მუზეუმში შეგხდნენ ძველი ხელოვნების ნიმუშების წინ შეჩერებულნი. თქვენი წილიდან გამოსულნი, მათაც უყვარს სიღამამზე და ხელოვნების დღევანდელი დღე თუ წარსული.

ღიმიტრი ერისთავსაც შესხედრიან ისინი ქართველი უცნობი ოსტატების ხელით შესრულებულ უნიკალურ ნაწარმოებთა შორის და მხატვარს თავისი უშუალო შთაბეჭდილება აუსახავს კიდევ ნამუშევარი — „მუზეუმი“.

შეხედვით მუზეუმის მონუმენტურ ექსპონატთა შორის ჩაკარგულ „პატარა“ ფიგურებს და გული სითბოთი აგვეცხებათ. იგრძნობთ: წითელარმიისაკენ ახალი ადამიანები მიღიან ცვლად, კულტურის მოყვარულნი და მისი ამთვისებელნი. და ვინ იცის, ეგებ მომავალი მხატვრები უყურებს „მუზეუმი“ ძველი ფრესკების დიდოსტატის ნახელავს. ეგებ გახდეს კიდევ მისი ტრადიციების გამგრძელებელი!

კომპოზიციაში ირიბად შეჭრილი საგამოფენო სტენდის საშუალებით წინა პლანზე გამოტანილი „პარების ანგელოზის“ შვილობილსა და სიკეთის მუწყებელიც ჩანს. და მრავალ კარგ ფიქრს აღგონრავთ თვით სურათი თუ მისი ქვეტექსტი.

ერთბოზად ვერ აღწერ ღიმიტრი ერისთავის ამ სახის ნამუშევარს. მით უფრო, რომ თვითთული მათგანი ერთიმეორისაკენ განსხვავებულია კომპოზიციურად და შინაარსობლივადაც. ერთმანეთს არაფრით არა ჰკავს ზემოხსენებული სურათები და „საბავშვო ბაიი“, „ქვის მიღლები“ (1959 წ.), „კალაბრთი“, „დილა გარეუბანში“ (1960 წ.) და თუენიდ „შემოდგომა“ (სოფლის თემბაზე ჩემთვის დღემდე ცნობილი ერთადერთი ნამუშევარი მხატვრის).

საერთო მათ მხოლოდ მხატვრული სტილი თუ მხატვრული მანერა აქვთ, გამართული ნახატი და შესრულების თავისებური ტექნიკა. და ისიც, რომ ყველა კომპოზიციაში და-

მიანიება და არა პეიზაჟებს ეძლევათ უპირატესობა. დიმიტრი ერისთავი ქალაქს, თავისთავად, ხალხის გარეშე ნაკლებად აღიქვამს. და მისი პეიზაჟები, როგორც წესი, ყოველთვის ძუნწად ასახავენ გარემოს და როგორც ადრეც ითქვა, კინკრეტულად აღვივლებდნარეობასაც არ გამოხატავენ.

და მაინც არც ერთ პორტრეტულ მხატვარს, სი უბრალოდ და გულსასვედ, რომანტიკულად და დამაჯერებლად არ გამოუხატავს ჩვენი დღევანდელი ქალაქის სახე, როგორც დიმიტრი ერისთავს, თვითონაც რომანტიკულს და თბილისზე შეყვარებულს.

ძალაუნებურად ფრანგი მხატვრები მახსენდება — მანე, სერა, დეგა, რენუარი, ტულუზ-ლოტრეკი...

მათ არა მარტო დიდი როლი შეასრულეს ფრანგული ხელოვნების განვითარებასა თუ საერთოდ ფერწერის ისტორიაში, არამედ პასარის, უტრილოსა და მათ თანამედროვე დანარჩენ პეიზაჟისტებთან ერთად, დიდი ფრანგი მწერლების — ბალზაკის, ემილ ზოლასა და მოპასანთან მხარდამხარ, სწორედ მათ შემქმნეს ხელოვნებაში მუდამ უკვდავი სახე „ახალი პარიზისა“ — მონმარტრით, ელისიუს მიწდვრებით, მულენ-რუებით, ფოლი-ბერკერით და საერთო კოლორიტითაც.

მხოლოდ დიდებუნივანისა და მხატვრული აზროვნების შემოქმედს შემუშოვან მანქანებისა და ელემენტების გეგმვაში აღიქვას ახლებურად აქვრებული ქალაქის რომანტიკა, მისი ახალი, განუმეორებელი თავისებურება. და კიდევ უფრო ძნელია შემქმნას რომელიმე გარკვეული, და არა ზოგადი, ქალაქის მხატვრული პორტრეტი, მისი კოლორიტი, შესაბამისი მხატვრული ენა.

ყველა ეს კი თან სდევს დიმიტრი ერისთავის შემოქმედებას, მის აზრთან და ყოველთვის სურათთან ნახატებს, რომელთაც გასაღებიც მოგვეცეს ჩვენი სინამდვილისა, რწმენაც შევგაბატვს ამ ცხოვრების სიმწვენიერებში და ნაზღვილო სახე და კოლორიტიც შემქმნეს ახალი ძარღვმავარი დედაქალაქისა.

თბილისის თავისებურ კოლორიტს ეხმიანებიან დიმიტრი ერისთავის პორტრეტებიც, ათიოდე გრაფიკული ნამუშევარი, რომლის მიხედვითაც დასკვნა გამოგვაქვს: მხატვარი აქაც ისევე, როგორც ჯანრულ სურათებში, ყოველთვის იმ გარემოს ხატავს, რომელშიაც ტრიალებს, იმ ხასიათებს გადმოგვეცემს, რომელთაც უკეთ იცნობს და გულში მხატვრულად გამოწრთობს..

დიმიტრი ერისთავი ნაკლებად ხატავს მამაკაცთა სახეებს და ნამუშევართა კატალოგში ძირითადად ქალების სახელები შემოგვხვდებათ — „ლია“, „მანანა“, „ინესა“, „ნათელა“, „მარინე“ და სხვ.

არ იფიქროთ სენტიმენტალობასთან რაიმე კავშირი ჰქონდეთ ამ სახელებს. რომანტიკა შემოგვხვდებათ ამ ჯანრებიც, ლირიკულ სამოსელში გამოწყობილი.

თვითეულ პორტრეტს თავისი საკუთარი სიღამაზე და ხასიათი აქვს — სიღამაზე ინდივიდუალური და განუმეორებელიც. მაგრამ, ერთად შეკრები და პორტრეტთა თავყრილობიდან ერთი საერთო სახე შემოგვხვდებათ — ახალგაზრდული კედამოსილებით აღსავსე, სახის ნაზი ჭრილობა და ენერგიული

ნაკვეთი, უშუალოდ თავსაც გამოიმეტყველებითა და სვედნარევი წმინდა თვალბრუნებით.

და ამ სახეებიდან მხატვრის „იდეალთან“ ერთად ჩვენი დროის ქალის სახეც იყურება, წარმოქმნილი ტრადიციითა და თანამედროვეობის ცხოვრებისეულ მოთხოვნებთანა შერწყმის საფუძველზე.

ამიტომაც, პორტრეტებზე სადად ვარცხნილ თუ სახის გარეშე თმანამოშობილ და „თიანეთში“ ქალიშვილებსაც ერთნაირი სიზმართი შეუქვრებით. მათ „მოდურობას“ და სიკვლეულსაც, მათი გამოიმეტყველების სიღინჯე და აზრიანობა სჭარბობს.

პორტრეტები ინტიმურობით სავესა, მავრამ ღირსებითა და თავდაჭერით აღჭურვილთ შორს უჭირავთ თავი და თვალსაც არიდებენ მაყურებელს — თავისი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ.

ერთი საერთო სტილის მიუხედავად, პორტრეტებში მანერა დროდადრო იცვლება: ფერწერულად რბილი ფორმების გადმოცემას („ინესა“ — 1961), ხან გრაფიკულად მსუბუქი („მარინე ჭარცივაძე“ — 1963, „მარინე აბაშაძე“ — 1964) და ხან კი მკვეთრად ნაქანდაკარი ფორმები სცვლის („მანანა“ — 1961, „ნთელა“ — 1962), რასაც თვით ნატურის ხასიათი, მხატვრული ამოცანა და, ნაწილობრივ, ამასთან შეფარდებული სამუშაო მასალაც — სანინი, პასტელი, ფანქარი) განაპირობებს.

პორტრეტების გრაფიკულობა, მათი უმეტეს შემთხვევაში ფანქრით და არა სხვა რაიმე მასალით შესრულება, ხელს არ უშლის მხატვარს მიაღწიოს მაქსიმალურ გამომსახველობას, გადმოსცეს პორტრეტზე გამოსახული ადამიანის ბუნების თავისებურებას.

განა მხატვრულად სრულქმნილი არ არის „მარინე ჭარცივაძის“ პორტრეტი, ფანქრით მსუბუქად მოდებული სახის ნაზი თავებობითა და შუღლსა და მხრებზე ჩამოსმული მსუბუქი თმებით. განა აკლია პოეტურობა? სიზმრისეული თვალბრუნებით უყურებს ცხოვრებას და ალბათ არც სურავს, რომ იგი რთული და ზოგჯერ მკაცრი. აბა დააკვირდით მის ბავშვურად მგრძობიარე სხივანდვარ თვალებს, დაკუთხულ ნიკაპსა და ტურების მოხაზულობას. მათში რამდენადმე კარბიზული, მავრამ მტკიცე ხასიათიც ჩაქსოვილია. გაუჭირდება და არ შეიცხადებს გასაჭირს..

მხატვრული შესრულებით სრულიად საპირისპიროა „მედლის პორტრეტი“ („ნათელა“), რომელიც კლასიკური სრულყოფითა გამოირჩევა. მასზე საორკედ მოხდენილი ფორმის ყელბადალი ქალის თავია გამოსახული, მისივე თვის ფორმასთან შერწყმული „გადაღვსილი“ თმებით.

პირველი ყოვლისა სწორედ ეს თმები ქმნიან პორტრეტის ხასიათს. სიღინჯესა და ძველი კლასიკური პორტრეტების სიფაქიზესაც მატებენ მას, თუმც მინაგანი თავდაჭერა და ღინჯი სასიათი სიხვედრე ახლავს ქალის ბუნებას.

ჩრდილ-სინათლის შემწინეული გადასვლები, მისი ოსტრტური გათამაშება, სირბილეს მატებს სახის თითქოსდა თითებით მსუბუქად ნაწიერ ფორმებს, და სიციცხლითაც ახლავს რამდენადმე „კარნაკტილი“, სტატურ პორტრეტს. და თუ ხანგრ-

ძლივ უყურებთ, ეგებ ჯადოც აიხსნას: შემოგხედათ ქალი უძირი დიდრინი თვალებით, ცხვირის თხელი ნესტოები დაე-
ჭრებოდა, შუბლზე ლაღად გადახატულ წარბებს აზრადს და
ალაპარაკებდა...

„პორტრეტი“, ერთი შეხედვით ილიი, და სინამდვილეში
ძნელად ამოსასწავლი ამოცანაა. მოდელირის გარკვეული მსგავსების
გადმოცემისა და მისი სულიერი სამყაროს ამოსხსნასთან
ერთად, მხატვრულ ფორმასაც მოითხოვს და კონკრეტულ გან-
ზოგადებასაც, რადგან „პორტრეტი“ ყველთვის გულისხმობს
გარკვეულ ეპოქას, ხალხს, წივს, პიროვნებას.

ყველა ამის მისაღწევად მხატვრები ხშირად სხვადასხვა
დამხმარე ხერხებსა და ატრიბუტებს იყენებენ — გარემოს,
ტანსაცმელს, სამუშაო იარაღს, ხელის გარკვეულ მოძრაობას
და სხვ.

ამ მხრივ დიმიტრი ერისთავის პორტრეტები ხალასია და
ყველგვარ აქუსურას მოკლებულიც. თვითუცაველი მათგანი
სურათის თითქმის მთელ არეს იკავებს, ნახატი კიდევს
სწევდა, პორტრეტის მოსართავს მხოლოდ თმის ვარცხნილო-
ბა თუ წარმოადგენს, რომელიც ყველთვის ზედმიწევნით
ფარდება მოდელის საერთო გარეგნობას.

და ეს სისადავე არა მარტო კეთილშობილით ავსებს
პორტრეტებს, მათი ავტორის ოსტატობას და მაღალ კულ-
ტურაზედაც მეტყველებს. მხატვარი ყველაფერ ზედმეტსა და
მყვირალას გაუბრძის და თავის შემოქმედებაში იაფფასიან
ფეხტებს არ ექებს.

დიმიტრი ერისთავი ხელოვნების სხვადასხვა სახეობებში
და სხვადასხვა ტექნიკით მომუშავე მრავალმხრივი მხატვარია,
რომლის შემოქმედებაში ერთმანეთს სცვლის დაზგური ფერ-
წერა თუ დრამატუკა, ლინოგრაფიუკა და ლითოგრაფია, ყოფითი
ფანრი თუ პორტრეტი, წიგნების ილუსტრაცია, კინომხატვრობა
თუ კინოლატაკტი.

და მათ შორის არსად შეგხვდებათ ზერეულდ ნამუშევარი.
მხატვარი არსად ღალატობს თავის თავს და ყველგან და ყო-
ველთვის რჩება თავისი საქმის მოყვარულად, პრინციპიალურ,
საკუთარი მხატვრული სტილისა და აზროვნების ერთგულ შე-
მოქმედად.

ამიტომაც ძნელად შეეძავევით მის ნახატსა თუ კომპო-

ზიციას, რომელთაც არც მიბაძვა ატყვიდა და არც უტყობური
ეურნალების მოხმარებისა და რეტეშირების კვალი. თუმც
ქართულ ეურნალ-გაზეთებში მუდმივად მომუშავეს, ზოგჯერ
მასაც გადახსენდნია ხელი ზედმეტი უტრირებისა და მანერ-
ულობისაკენ.

მაგრამ, ამ ცალკეულ შემთხვევებს სათვალავში ვერ ჩა-
თვლით.

დიმიტრი ერისთავის მკაფიო ხელი „ქართული ფილმის“
რამდენიმე კინოსურათსაც აჩნია და ვისაც უნახავს, არ შეიძ-
ლება არ ეცნოს ფილმებში: „სალამური“, „მე, ბებია, ილიკო
და ილიაონი“, „გეორგობისთვე“. შეინებოდით მის კინო-
პლაკატებსაც ფილმებისათვის „კარუსელი“, „მე, ბებია, ილი-
კო და ილიაონი“, „სხვისი შეილები“, „გეორგობისთვე“,
„ქორწილი“ და სხვა. ნამუშევრები გამორჩევიან ჩანათფირის
ორიგინალობითაც, ნახატის ლაკონურობით, მსუბუქი იუმორ-
ით, და შეიძლება ითქვას, პლაკატურობითაც, რადგან არამც
თუ ყოველთვის ხაზს უსვამენ და ამომწურავად სახლერავენ სა-
ნახავის დედააზრს, სანახაობითაც ატკობენ მაყურებლის
თვალს.

თვალთახედვიდან არც დიმიტრი ერისთავის ილუსტრაცი-
ები გამოგონებოდათ. „კრენკებილი“, დიკენსის „პიკვიკის კლუ-
ბი“ და ბოლოს — შარლ დე კოსტორის „იტლ ულენშმიგე-
ლი“. — აი დღემდე მის მიერ დასურათებული დიდი „ტილო-
ები“, რომელთაც მხატვარი მწერლისა და მისი ეპოქის ხასია-
თის შესაბამის კლასიკურ ფორმასაც უფარდებს და გმირთა
სახეებსაც. და ვინაიდან ფანტაზი უჭრის და აზროვნებაც,
საკვირველი არ არის, რომ იოლად ეუფლება და სწევებს ამა
თუ იმ საილუსტრაციო რთულ თემებსა და კომპოზიციას.

დიმიტრი ერისთავის ნაწარმოებები, როგორც საუკეთესო
მხატვრული დოკუმენტები, უღალად საყურადღებო მატარებელ
შემორჩება შთამომავლობას. და ვინ იცის მისი სახით კიდევ
რას მოგვიტანს მომავალი...

თვალწინ მიდგას: თავმჯდომარე, დინჯი, მუდამ სახეიქი-
რიანი, სათუთი გულისა და ამავე დროს ნებისყოფიანი, ოპ-
ტიმიზმით სავსე მხატვარი, რომლის შემოქმედება სამტოთა
საქართველოს ეპოქაა, მომავლის რწმენის და მწინეგავი და ჰუ-
მანიზმის მქადაგებელია.

„მეგობართა მემორიალი — 67“

ასე ეწოდება საერთაშორისო სავტრია-
ლო მხატვრულ პროგრამას, რომელმაც
ჩვენი დედაქალაქის მუსიკის მკვარულ-
თა დიდი მოწონება დაიმსახურა.
სპორტის სახალგაო გამოართული კონ-
ცერტები „მეგობართა მემორიალი — 67“
აერთიანებს ვერაქის სოციალისტური
წევრებისა და საბჭოთა კავშირის ესტრა-
დის ცნობილ ოსტატებს. ეს ტრადიცია
წარშან დაშვილდა.

წელს „მეგობართა მემორიალი — 67“
კიდევ უფრო გაფართოვდა და ახალი
„ვარსკვლავები“ შეივსო. თბილისის ეს-
ტუმენე ბულვარითის ესტრადის ოსტატ-
თა პირველი ფესტავალის ღალატები,
ბულვარითის რადიოსა და ტელევიზიის
პოპულარული მომღერალი დანიელ სი-
კოლოვი, თანამდროვე სავტრადის ნი-
ღურების მოსკოვის საერთაშორისო კონ-
ცერტ-ფესტავალის პირველი პრემიის

მფლობელი, უნჯრელი იანოშ კოოში,
რუმინელი ეფი მარგა, ჩეხური ესტრა-
დის ოსტატი განა პაულოტოკა, მილან
ზლაღლი, ორი ტროი გერმანიის დემოკ-
რატიული რესპუბლიკიდან — „ენკო-
რაციო“ და „ტროი კარვო“, იუგოსლავი-
ლი მომღერალი ჭორჯე მარინოვიჩი და
სხვანი.
პროგრამა „მეგობართა მემორიალი —
67-ის“ მთავარი რეჟისორია რუსის სა-
ხალხო არტისტი ი. მენდინცი, მხატვარ-
ია რუსის ხელოვნების დამსახურებუ-
მოღვევე ვ. მამონტაევი.
კონცერტის საერთო წარმატებას ხელს
უწყობდა საქავშირო რადიოსა და ტელე-
ვიზიის ანახლობ, რომლის სახმატვრო
ხელმძღვანელია ვადიმ ლდევიკოვიკი.

რუსთაველის თეატრის სცენის ოსტაბანი

ელგუჯა

ლორთქიფანიძე

ვასო ლორთქიფანიძე



ეს სანურ მაგიდასან ერთი ლამაზი ქართველი ვაჟკაცის სურათია მოთავსებული. იგი მსახიობ გიორგი დავითაშვილის მიუძღვნია ელგუჯა ლორთქიფანიძისათვის წარწერით „გულთი და გრძნობით მიდიარს, საყვარელ ელგუჯას. 1929. 19. 2. თბილისი“.

ამ სახსოვარის დათარიღებიდან საკმაო დრომ განვლო. ბევრის მნახველი და მოწმენი გახდით, ბევრი რამ დაგვმეტ, ბევრი აღსადგენი და კეთილად მოსაგონები გაგვიხდა, უკვალოდ დაკარგულ სახელებს კი ძეგლები ავუკეთ... ჩვენც — იმ დროის ყმაწვილებს, წელთა სიმრავლემ დაგვათოვა და ახლა იმ ჩვენს თანატოლთა მოგონების წუთები გაათათოლებს.

ელგუჯა ლორთქიფანიძე!... მინდა ღრმად შევყვებ ფიქრს, ხსოვნის ყველა ნათელ წერტილს მოვავლო თვალი, აღმიდგეს, განმიახლებს...

შესაძლოა, ამგვარ გამოხატვაში გულდაწყვეტაც იყოს და სიამაყის ლამაზი გრძნობაც, რომელიც გულიდან არასოდეს ქრება.

ელგუჯა ლორთქიფანიძე!... თვალწინ მიდგას არწივული მზერის, ახოვანი, ფიცხელი შემართების ახალგაზრდა კაცი, მაღალი ფიჭით, გატაცებით, მშობელი მიწის სიყვარულით გულანთებული და დაუმცხრალი.

ამ სიყვარულმა მოიყვანა ელგუჯა ლორთქიფანიძე განახლებული ქართული თეატრის სცენაზე. ეს იყო მისი სულის საუფლოც და საკურთხეველიც... ბევრია აღსადგენიც და სათქმელიც. ბევრმა ეს მოახერხა. მე კი მხოლოდ თვალი გადავაჯექლე ზოგიერთ სავულისხმო ფაქტს, და მინდა ვუამბო მკითხველს, რაც ელგუჯას მეგობრებს, და კოლეგებს მიავიწყდათ...

1926-27 წლები, რუსთაველის თეატრის მოულოდნელი სიახლენი... დიდი ხელოვანის კოტე მარჯანიშვილის წასვლა თეატრიდან... კორპორაცია „დურუკის“ მოძღვარება და შემოქმედებითი ჯიდილი, შებლა-შემოხლა... წინ გადაშლილი ახალი გზები და პერსპექტივები სანდრო ანტელის მეთაურობით... ამ ბოზოქარ დღეებში შემოემატა ელგუჯა ლორთქიფანიძე თავის სტუდიულ მეგობრებთან ერთად სახელოვან კოლექტივს. შორსმჭვრეტელი რეჟისორი ჯერ კიდევ სტუდიის კედლებში ზეირადა მომავალ ცვლას, აკვირდებოდა, სწავლობდა მათ შესაძლებლობას, უნარს და ნიჭიერებას და წვდებოდა მტკიცედ დასაყრდენ საიმედო ძალებს. ელგუჯა ერთი პირველთაგანი იყო იმათ შორის, რომელსაც სანდრო ანტელმა ყურადღებით შეხედა, გული გადაუხსნა და გზამართლს დააყენა.

...პირველი გამოსვლა ეპიზოდურ როლში პიესიდან „ამერიკელი ძია“. წარმოვიდგინა იმერელ-კოწიკას ტიპი. ეკვა: სამხედრო გალიფე შარვალი, ფეხებზე მოსხებილი „აზიაცქები“, თავზე — გალიანდი, მხრებსა და მკლავებში განიერი ჩესურის ბლუზა, ჰქონდა აბზვილი ულვაშები, ქამარზე ეკიდა ვეებერთელა რევოლვერი, სცენაზე შემოდიოდა მაგრად ჩაბღუჯული მარო მესხიშვილთან, რომელიც მოწყალების დის კოსტუმში იყო გამოწყობილი. ელგუჯა „კაბინისკენ“ მიიწვედა, მართ ან ნებდებოდა, ხალხისაკენ თვალით უნიშნებდა: немногожко не удобно, что скажут? ელგუჯა უპასუხებდა: сначала мы войдем, а потом посмотрим, что скажут. ამას ისეთი დამტვრეული აქცენტით და წელის გრვებით ეუბნებოდა, რომ სასოვადოება ტაშით აჯილდობდა (ასეთი ტიპის გამოყენა სცენაზე მაშინ პირველი ცდა იყო!).

ეს ერთი და სხვა ათასი — შესაძობდნენ მეგობრები და მართლაც ყოველ მორიგ წარმოდგენას, სპექტაკლს ახალი სიხარული და კმაყოფილება მოქონდა ახალბედა მსახიობისათვის. რა თქმა უნდა, 22 წლის ყმაწვილი ასეთ დიდ თეატრში, საქვეყნოდ ცნობილ მსახიობთა გვერდით უსაზღვრო სიამაყის და ბედნიერებას განიდიდა. მაგრამ ელგუჯა ლორთქი-

1. ე. კუპრაშვილის მოგონებები.

ფანიძისათვის, როგორც შემოქმედებითი მიზანსწრაფვის, სა-
მომალო ფიქრით აღგზნებული ყმაწვილკაცისათვის საინტე-
რესო იყო თეატრის მომავალი ბედი, მისი შემოქმედებითი გზა
და მიმართულება. სხვებთან ერთად მისი ყურადღება იქითკენ
იყო მიმართული, თუ რას გააკეთებდა, რას გადაწყვიტდა
ახალგაზრდა რეჟისორი, საით წაიყვანდა თეატრს დიდოსტატ
კოტე მარჯანიშვილის შემდეგ, მითუმეტეს, გასულ წლებში
შექმნილი დღესასწაულებრივი სანახაობანი, ტრიუმფალური
აღმავლობა, განახლებული თეატრის სათავედ „ფუნტიკ“ ოვე-
ხუნას“ აღიარება, იმდროინდელი პრესის ფურცლებზე ამტყ-
დარი დავა-დისკუსიები თეატრის იდეურ თუ მხატვრულ ავ-
კარგზე, მის შემოქმედებით კრედოზე და ამის საფუძველზე
გარკვეული მოთხოვნების წაყენება, ბუნებრივია, ურთულეს
ამოცანებს სახავდა და მეტად პასუხსაგებ ასპარეზს შლიდა
საერთოდ ახალგაზრდობისა და კერძოდ სანდრო ამბეტელის
წინაშე.

ღრმა ინტუიციის ახალგაზრდა რეჟისორს სწამდა, რომ
ხელოვნება თვითმიზანი კი არ არის, არამედ იდეის კონკრე-
ტული მხატვრული ცხადყოფაა, რომელმაც ადამიანსა და
ცხოვრებაზე გარკვეული გავლენა უნდა მოახდინოს, რომ
ყოველი დიდი ხელოვნება თავისი ხალხის ინტერესებით აღ-
ჭურვილი, ეპოქის წამყვან და პროგრესულ იდეებს ემსახუ-
რება, მისი მხატვრული განსხეულებაა. ეს შეხედულება ახმე-
ტელს, როგორც შემოქმედს და ხელმძღვანელს, სწორ მიმარ-
თულებას აძლევდა და გამარჯვების ყველა პირობას უქმნი-
და. ახმეტელი დიდი რევოლუციური იდეების ხორცშესხმას
თანამედროვე ცხოვრების დულიში ხედავდა და სწყუროდა,
ოცნებობდა თავისი თეატრი გმირული რომანტიკის თეატრად
იქცია. ეს იყო მისი შემოქმედებითი ნიშანსვეტი, ეს თეატრიკური
იდეალი.

„ზაგუბკი“, „საჭე მარცხნივ“, „რღვევა“ დღესასწაულე-
ბრივ სანახაობად წარმოსდგინენ, თითქოს ქუხილის აღმავალ
ხმებზე გაკვდა, რომელმაც მთელი საქართველო მოახვდა,
დაარწმუნა, დააჯერა ტალანტის აღდგომა და გუანაში. ეს იყო
ნივატორული ბუნების ნამდვილი სიკხავე, გარდამქმნელობის
ორიგინალური ხედავ და მისი მზიური ხორცშესხმა, რომელმაც
რუსთაველის თეატრი არანაყოი სიმაღლით წარმოსახა.

ეს მცირედი წილსაც იმისთვის დაგვიჭირდა, რომ ელგუ-
ჯა ლორთქიფანიძე თავისი საყვარელი მეგობრისა და ხელ-
მძღვანელის ყველა ფიქრსა და წუხილს, ყველა ტატივოსს,
მისწრაფვებს, ზრახვებს საყურად შეიცნობდა და რაინდული
ფიციტ მიჰყვებოდა. ის ერთ-ერთი უმტკიცესი, განუხრელი
მონაწილე და თანამგრძობელი იყო სანდრო ამბეტელისა და
თავისი თეატრის ყველა კარდინალური საქმის წამოწყების
წინაწაყვისა და გამარჯვებისა.

როგორც ცნობილია, „რღვევაში“ ვაღამეწყვეტი რლი ითა-
მაშა თეატრის გამარჯვებაში, იგი დიდი საეტაპო მნიშვნელო-
ბის სპექტაკლი იყო, რომელმაც სრულყოფილი აღიარება
პპოვა ფართო საზოგადოებაში — ჩვენშიც და მომედ ერეშიც.
საინტერესო ის არის, რომ აქ მოხდა საოცარი შერწყმა, შე-
სისხლფორცება რუსი დრამატურგის — ბორის ლაერენცევის
ჩანაფიქრისა ქართველი ჯადოჭარი რეჟისორის ახმეტელის
სცენურ გამოსახულებათან. პიესა-სპექტაკლი იქცა ერთ



ელგუჯა ლორთქიფანიძე

ურღვევ მონუმენტურ კმნილებად, რომელსაც ნამდვილი ქარ-
თული იერსახე და ბიოჭარი სუნიტვა ახლდა.

ელგუჯა ლორთქიფანიძემ „რღვევაში“ პირველად გაშალა
მხრები, პირველად აქ შეხვდა და შეერკინა თავის მოზღვავე-
ბული ვერსა და განცდის ორეულს. ჯერ კიდევ 23 წლის, დაუ-
ოკებელი განზიბების, თავაწყვეტილი ითხოვდა მზრუნველსა
და გზის გამგნებს. ამიტომ იყო, გონიერი ხელმძღვანელი მუ-
დამ თვალყურს ადევნებდა და დრო და დრო შესასახებდა:
ელგუჯა, თავი შეიცავე, დაზოგე ძალა, ძუნწად, ძუნწად მიყვ...
ჩვენ ძვირფას რელოქივად შემოგვრჩა ელგუჯა ლორთქი-
ფანიძის რამდენიმე ჩანაწერი. საოცარია, ყმაწვილ კაცს რად
დაჭირდა ასე ფიცხლად კალმის აღება, მოიონებებს ხომ ჭალა-
რონის ბეგრისმხაზველი თვალი უდგას ქობაგად?

აი ისიც:
„1928/29 წლის სეზონის დასაწყისს, თეატრის ხელმძღვა-
ნელმა სანდრო ამბეტელმა მიზიმი თავისთან და მიხიზრა:
„ელგუჯა, მომავალ სეზონში, შენ პასუხსაგები მოვალეობა

მას ხშირად ეძახდნენ ყაზბეგისა და ვაჟის გმირთა მოდემისას, ნაშიერს.

ელგუჯა „მთის“ სპექტაკლებში არ გამოჩენილა შესაფერი როლით. ხელმძღვანელი საზიანოდ თვლიდა მალალი ტემპერამენტის ახალგაზრდა მსახიობის ერთბაშად გადატვირთვას, მაგრამ ელგუჯა წუთითაც არ გამოთიშვია საყვარელ კოლექტივს და სცენაზე გაცილებულ ლალსა და ამაღლებულ სახეებს გულში იხვევდა, ეალერსებოდა, ყველას და ყველაფერს თავისი გულისა და გრძნობის თანაზიარად თვლიდა. ალბათ ეს იყო მიზეზი, როგორც ხნულმი გადაგდებული მარცვალი, ელგუჯას გულში გაღვივდა ვაჟის ფხიანი სტრიქონები და თეატრის რომანტიკულ აზვირთებას თავისი მგზნებარე სიტყვის ძალაც შეაფელა. ვისაც „ბაკური“ ან „ჩივილი ხმლისა“ ელგუჯასაგან მოუხმენია, იცის თუ რა ცეცხლის დამტვე გულს, რა აღმასისებრ მჭრელ თვალს შეჰყურებდა, რა ძალის გრძნობათა მოზღვავება და არტისტული გახელება უგრძენია.

1930 წელს მოსკოვში ნაციონალური თეატრების პირველ სრულიად საკავშირო ოლიმპიადაზე მონაწილეობით რუსთაველის თეატრი პირველად გასცდა საქართველოს ფარგლებს და თეატრალურ მოსკოვში დიდი საბჭოთა ქვეყნის ხალხებს წარუდგინა თავისი ხელოვნება. ეს იყო ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი, რომელმაც ჯერ კიდევ ახალ პრინციპებზე შობილსა და სამიედო მომავლის თეატრს უდიდესი საზრიელი გადაუშალა. ესეც თითქმის აუცილებლობით იყო გამოიწვეული.

შეტევისა და ქარიშხლის ახალი ხანა იწყებოდა რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში და ახლა წელწამომართული სანდრო ამბედილო საიმედოდ გამოერთობილ კოლექტივს გულდანიდობით შეჰყურებდა... რა სიმაღლე, რა დაბრკოლება უნდა ყოფილიყო, რომ მათი იმედით არ დაედლია, არ გადაღალახა. ახლა ისე, როგორც ანდრასის, რუსთაველულებს ატკიცებდა და აძლიერებდა დურუჯულთა თვისის ნებით დაწერილი კანონი — ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის. იგი საოცარი ძალით ფეშქვება, რომლის მაცოცხლებელი ნერვი ელგუჯაც იყო.

თავამებრძოლები ათვისება, ახალი ადამიანების ჩვენება იყო თეატრის ძირითადი ამოცანა.

ა. შაშვილის (მირცხულავა) საკომმუნერეო თემაზე შექმნილმა „განჯაშმა“ ახალი ემოციების, ახალი ფიქრებისა და სახეებისათვის ბრძოლის ეინი შემოიტანა თეატრში. ეს პირველი ორიგინალური ნაწარმოები იყო ოცდაათიანი წლების ქართული სოფლის ცხოვრებაზე. ავტორი მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის რევოლუციებისა და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის კონკრეტულ სახეზე ჩვენებას.

ელგუჯა ლორთქიფანიძე „განჯაშის“ აქტიური მონაწილეა, კოლმენტის პარტკოლექტივის მდივანის — საბას სახე უნდა განასახიეროს. საბა სოფლის თავაგია, ახალი სოციალისტური ცხოვრების განმტკიცებისათვის მებრძოლი და თავდადებული მზრუნველი. საბას გააფთრებულ კლასობრივ წინააღმდეგობათა პირობებში უხდება მუშაობა. ის ნამდვილი კომუნისტი, წმინდა, ხალასი, რომლის მოვალეობაა ერთგულად ემსახუროს განახლებული ქვეყნის ინტერესებს. რეჟისორის მოსაზრება უტყუარად ემთხვევა ელგუჯა ლორთქიფანიძის

ელ. ლორთქი-
ფანიძე — საბა
„განჯაში“



არჩევანს. სიმართლე, უბრალოება, გონივრული ქვეყა, მზრუნველობა, ამხანაგური დამოკიდებულება და თავდაბლობა, შინაგანი წვა და თავშეკავება ის თვისებებია, რომელსაც მსახიობი აქანდაკება, ქმნიდა ახალი ტიპის ადამიანის სახეს.

„განჯაშის“ დადგმა რუსთაველის თეატრის სცენაზე ნიშნავდა არა მარტო პროლეტარული დრამატურგიის ზრდას, არამედ გამოხატავდა, აგრეთვე, თეატრის შემოქმედებით დაკავშირებას მშრომელი მასის ინტერესებთან. რუსთაველის თეატრის თანაზიარებული გეზი „განჯაშის“ დადგმით კიდევ უფრო განმტკიცდა და ამ პიკით თეატრმა სცადა რევოლუციის ტემპებისადმი ფესხაფეს მიეყოლა, — წერდნენ იმდროინდელ პრესაში.

ს. ანბედილის მოუხმენარი, ნოვატორული სული შემოქმედებით პრესეში სულ სხვა გზას წააწყდა, ხელოვანის შთაგონება მულოდნელად საბჭოთა ტრაგედიის პრობლემაში შეიფყრო.

„უცნაურია, რომ მე „თეთნულდის“ ჩვენება მომიხდა“, — შენიშნავს რეჟისორი, მაგრამ ერთგვარად კიდევაც ამართლებდა მას. თეატრისათვის აუცილებლად მიაჩნდა მოქმენა ფორმა დიდი ჰიროიული დრამისათვის, დიდი ტრაგედიისათვის, რომელიც სცენათის ფონზე ძველ პატარაქლურ ყოფს, ცრუმორალულობასა და ახალ შეხედულებათა შორის ჭიდილში გაიშლიბოდა.

ტრაგედიამი ერთ-ერთი უღამაზესი სახეა სთორანი, იგი



ელ. ლორთქიფანიძე — გოდუნის მარკევი²

საობის მღელვარე გრძობა³ და შემოქმედს უფრო ლაღსა და ნებიერს ხდიდა.

„კარგად მასხობს ამ სპექტაკლის მეგობართა წრეში განხილვისას ჩვენმა ცნობილმა მსახიობმა ვანიკო აბაშიძემ განაცხადა: მხოლოდ ელგუჯას შეეძლო ასეთი ექსპრესიულობით, სიცოცხლის ზეიმურ ძალით დაებატა მთების მკვიდრი და ბინადარი სოთრანი. მას ხომ ეროვნული სინდლისა და პირველადობის ბეჭედი აზის. მე ის კლასიკურ სიმალღეზე მგონია და არ შემიძლია არ მივესალმო“⁴.

შალვა დადიანს, ერთ ნაოცხვო ოჯახში სტუმრად მობრძანებულს, უთქვამს: „გრძნობათა გამოსატკას ნუ დაივცვებით მხოლოდ კალმის ოსტატებით, მშვენიერება მისი თეატრში უნდა იხილოთ, ამის მაგალითი ჩვენი ნიჭიერი ელგუჯაა სოთრანის სახით“.

„ჩვენ აქ მეტეს არაფერს დაუვამატებთ, ვეჭვობთ, მკითხველი დარწმუნდება, რომ ელგუჯა ლორთქიფანიძის სოთრანი იყო ნამდვილად ახალი სიტყვა, როგორც მის შემოქმედებაში, აგრეთვე რუსთაველის თეატრის სცენაზე“⁵.

რუსთაველის თეატრში ყოველთვის შეინიშნებოდა: მუდამ ახლის მოლოდინი, რაღაც ახალი შემოქმედებითი გაოცების შემოტანა. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ახალი საზოგადოებრივი ყოფის დიდ ამოცანებს, ხალხის გრანდიოზულ მოთხოვნებს დიდი ყურის გდება და ანგარიშის გაწევა ჭირდებოდა. ჭაბუკობიდანვე ჩანერგილი, გმირული რომანტიკული თეატრის შექმნის იდეის ხორცმუსხმმა და განმტკიცებამ მაცარად საზღვრავდა ამ მოთხოვნებს.

და დაღვა დრო კლასიკის მაღალ მწვერვალებთან შებინსა. „ქარიშხლისა და შეტევის“ მომღერალმა შემოაღო რუსთაველის თეატრის ფართო კარები; ეს თითქოს აუცილებელიც იყო დიდი ხილვებისა და ოცნებების თეატრში, რადგან ერთ-ზევლე შემუშავებულსა და აღიარებულ თეატრალურ ფორმას ქართული ნერვითა და ექსპრესიულობით ზოგადკაცობრიულ სინამდვილედ ასულა და დამკვიდრება სჭირდებოდა... „საქმე ისაა, რომ შესანიშნავმა ხელოვნანმა ს. ახმეტელმა ეს ცნობილი პიესა წაიკითხა სრულიად ახლებურად, თავისებურად. იგი ააქვდა ჩვენს ეპოქასთან თანხმურად, წინა პლანზე დააყენა პიესის გმირული საწყისი, სპექტაკლში ისეთი ცეცხლი დაანთო, რომელიც გამოსატკავდა შეტევისა და ნგრევის ეპოქას, მის ბუნებურულ სულს“⁶.

ელგუჯა ლორთქიფანიძეს რეჟისორმა ახალი სიხარული არგუნა, შვაიციერის როლი ჩააბარა. ყოველ სიტყვაში ვაჭკავია, ყოველ მოძრაობაში — ფთხაბი, უშიშარი, მტკიცე და თავდადებული. უშერდით და გწამდათ. ელგუჯა-შვაიციერი თითქოს ზღვარს შლიდა სცენურ გარდასახვასა და სინამდვილეს შორის; როგორ შეგონდა, როგორ უხდებოდა მთლიან ანსამბლს შვაიციერის მხატვრული სახე, მრავალ თვალტანად ვაჭკავათა შორის მკვეთრად გამოსარჩევი თავისი ფხიანობითა და სიმშაგით.

„ბოქმის ტყეში გამარჯვებული ყაჩაღების შემოსევა, —

დიდი ოჯახის მეთაურის არგიშდის შთამომავალია, მისივე იმედი და სიხარული.

— მე შენი იმედი მუდამ მაქვს. შენ მაგონებ ჩემ ახალგაზრდობას, თვალი მჭრელი გაქვს, მუხლი მკლისა, შენი შაშანით გასროლილი მიზანს არ აცდება. დღესაც გაგაღებ ჯიხვი მოინადირო.

სოთრანისათვის გარდუვალაა დიდი წინაპრის სიტყვა და საქმე და ყურში ჩასძახის მტკიცე და ურყევი ხმა: ჩვენ ვიბრძოდით ჩვენი თავისუფლებისათვის, ჩვენი მიწისათვის. სოთრან, ძველი წესი არ დარღვიო, არ დაგმო ძველი ჩვეულება... და არგიშდის ვეაღზე წასულ სოთრანს ვინ იცის რას უშზადებდა ბედი... თონულდის დასაყრბობად გამზადილ გელახსანზე მას უნდა ეძია შური, მაგრამ ბურანდას არგიშდთან ტრფალმა სიტყვა გაატეხა, მგზნებარე ჭაბუკი ვნებათა დღევას გადაყვა. არგიშდის მავნე განზრახვას ზღვარი დაედო... ახალგაზრდა ქალავათა რომანტიკული გატაცება ამ გრანდიოზულ სპექტაკლს ემოციური მომხიბვლელით წარმოვიდგინა.

სოთრანი — ელგუჯა ნამდვილი მთის შვილია — ნებიერი, ლაი, თავისუფალი, დაუოკებელი ვნებითა და მღელვარებით მგყარებული მშობელ მიწაზე, მივებზე. „ელგუჯა ლორთქიფანიძემ ამ ტრაგედიაში, რომ იტყვიან, თავის ქერქში იყო“,⁷ ალბათ ბუნებრივად იღვიძებდა მასში სვან წინაპართა ნათ-

² ა. შერაზალიშვილის მოგონებებიდან.

³ ელგუჯა დედის დაღმეკლანების მოდგმის იყო.

⁴ ა. შერაზალიშვილის მოგონებებიდან

⁵ იმავე მოგონებებიდან.

⁶ აფხაზის წერილი.

განმარტავს ს. ახმეტელი, — რომლებმაც ეშვაოტზე აყვანილი ზეგობარი როლორი ჯალათებს ხელოდან გამოგლიჯავს — უნდა გავგებს გრიგალის, ქარიზის ამოვარდნას, რომელიც ძვლებს კი არ უნდა ყინავდეს, არამედ ადინიანი გულსა და სულს ერთიანად შესძრავდეს, ბრძოლის წინით აღათმობდეს ტრანზის დანახშირად. ხომ იცით ხალხური პოეზიის შედგენი „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“: „შტონ დაილუნენ ტყისანი“. თვენი სიძლირისა და ყვირის, თვენი სუნთქვის ქარი სწორედ ასე უნდა ლეწავდეს ბოქმების ხეთა ტრტობს. ელგუკა — შვაიცერი? შენ შემოუტეს ყანალებს, მიჩვენე ჩვენებური ლავამ-აწვევლილი გალაღება. ქართული გულის დადარი! მე კი ჩემი თვალით ვხედავდი ამ სიტყვების გაგონებაზე, როგორ აებურებლა ელგუკას თმა ძარღვიან მკლავებზე და როგორ დაიწყო ბორბვა კულისებში გაუხედენდი ულყავით. მაშინ მართლაც უნდა გენახათ ეამთა სიავისგან დაგრემილ-დაკორძებულ, მიოლა დაბრულ ათასწლოვანი მუხის ქვეშ ახორბლილ ლობზე. მუხის ფსევებსა და ტრტებზე შემოსული ყანაღების სუკის თაღამდე შეკიდებული დღეგმა ყიფნა, დაწმების ელვა-ლაპლაპი და ქარისაგან მოტყებული ფოთლების მსგავსად ლაბდაბის ქაერში სროლა-ფრიალა“⁷.

ამვე მოგონებაში ვკითხვართ: მოთრების სასახლის ერთ-ერთ საფინანსო სცენაში, სადაც ფრანგი თავს იხრობს, იარაღსამბული ხუთი „ფეთიანი ყანაღ“ ელგუკა-შვაიცერის მეთაურობით გრიგალივით შემოიჭრებოდა დარბაზში. შვაიცერმა რაინდული ფიცი მისცა მეთაურს, რომ ან ცოცხლად მიგებოდა ციკლური ფრანგს, ან არა და თვითონ აღარ დაბრუნდებოდა ერთგალი, მაგრამ საუალოდ შვაიცერის რაზმმა წამით დააგვიანა, ავაჯაკმა ფრანგმა ეს-ეს არის კატასავით ჩამოხროო თავი და მოთრების სამეფო საგარდოს გვერდით უსულოდ გადა. ელგუკა — შვაიცერი ორბივით დაეცხრებოდა პირქვე დაბდებულ ფრანცის გავას, მსწრაფლ გადმოატრიალებდა და რომ ისარწმუნდებოდა ცოცხალთა შორის აღარ იყო მისათვლელი, ისეთიარად გააფრთხილდა, ისეთ გაამომეტყველებას მიიღებდა, რომ სხეულზე თითქოს ჭინჭარმა დაგუსუსათო. „ომეკდარა“ — წარმოთქვამდა შვაიცერი, კიბის თხუთმეტიოდე საფეხურს ჩაირბენდა, სცენის წინა პლანზე გადადიოდა და შემდეგ მომხიარავდა: წადით, უთხარით მე-თაურს მოკვდა-თქო და მეც ვეღაროდეს მიხილავს ციკლასს“. დაიცვანდა გულში მახსოვს და თვითონაც იქვე განუტყვებდა სულს. მაგრამ ამ საღამოს ისეთი ზეგუნებრივი ძლით, ისეთი მქეფარე ექსპრესით თამაშობდა ელგუკა, რომ მთავარი როლების შემსრულებელთაც კი ჩრდილავდა. ცეცხლად ათებულმა მსახიობმა გენერალურ რეპერტივალზე კიბეების საფეხურები განა ჩაირბინა? ავაჯის სიფიციით მოწყდა და გადაეშვა...“ აღარ გავაგრძელებო... თვით ამ ფაქტით სვეტლეს დასჯილ შვარცი ახმეტელს მოუესმინოთ: „ეს სპექტაკლი წარმოიშვა უბედურებაზე, რომელიც შეემთხვა რუსთაველის თეატრს. შვაიცერის როლის შემსრულებელმა, ჩვენმა ძვირფასმა და საყვარელმა ელგუკა ლორთქიფანიძემ თვითმკვლელობის სცენაში, ტრამპლიდან ძირს გადმოხტომისას ფეხი მოიტაცა... მეორე დღეს კი პრემიერა უნდა წასულიყო. სა-

ჭირო იყო დაუყოვნებლივ შეგვეცვალა. შვაიცერს დუბლოირი არ ყავდა, გამოვიძახეთ ვ. ლალიძე და შევთავაზეთ დაუყოვნებლივ შედგომოდა როლის შესწავლას. პირველი საათიდან რვის ნახევრამდე რეპერტივისა ვატარებდი. ცხრის ნახევარზე სპექტაკლი დაგვიწყო. სამის ნახევარზე დადიანთვით... არც ერთი მაყურებელი არ წასულა. ეს სპექტაკლი იშვა ტრაგედიაში. უნდა ითქვას, მთელ დასს (იგი ცოტა უცნარია). უყვარს ერთმანეთი და მცირეოდენი უბედურება საკმარისია, რომ სპექტაკლი გადაიქცეს სამგლოვიარო შერებად. და როდესაც კოლექტივის უსაყვარლესი მსახიობი საავადმყოფოში იწვა, არ ვიცოდით რა იყო იმის თავს და საპირფარეშოებში მსახიობები სცენაზე გამოსვლის წინ ქვითინებდნენ. ეს იყო მწუხრის სპექტაკლი. ამ სპექტაკლში ჩვენ შეგვკვდა და შეგვიღელდა შინაგანმა, გარეგანმა და შემოქმედებითა ტრაგედიაში...“

„მწუხრის სპექტაკლმა“ უდიდესი გამარჯვება მოიტანა, ზემოხადა ყველა, ვისაც კი თეატრის სიყვარული ჰქონდა. მაგრამ ელგუკას შვაიცერი აღარ უთამაშვია. ვინ იყის, იქნებ ეს იყო იდუმალი გამხელა იმ მოზავალი ბედისა, რომელიც ელოდებოდა თეატრსა და მსახიობს.

1934 წლის 14 იანვსი, დაგვიწყარი დღე რუსთაველთა ცხოვრებაში. 10 წლის მანძილზე განვლილი გზა, გზა მიზნის მიღწევის, ბრძოლის, უძლიო დამეგობის, ოცნებების, ცხარე შეხება-შეხმობის, თუ დაბრკოლებათა გადალახვის — საბიბილო თაირად აღინიშნა. ეს დღე შემოქმედც იყო და დასტურიც „დურუკის“ ფიცად შეგრული იტალიების ურყევად დამეკიდობისა. ელგუკა ეხმარებოდა ამ ზეიმის დღეს და თავმებდებოდა, მოკრძალებით გამოთქვა, გამოხატა:

„ცოტა რამ...“

ძალიან ცუდია, როდესაც მსახიობს თავისივე უბნება წერა, ან მეტიხმოდე დაირცხვას, ან თუ თავებოდა — გადააჭარბებს. ყოველ შემთხვევაში, პირველი ჯობია მეორეს.

მსახიობს, თეატრს მაყურებელი ყავს, — შეფასება მათი ვალია... მე მხოლოდ ისე, გაკვირო...“

1934 წლის 14 იანვსი. დაგვიწყარი დღე რუსთაველთა თეატრში, მას შემდეგ აქა ვარ.

საბჭოთა სოციალისტური კულტურის ფრონტზე გადაღებული მკერდით სუნთქავს რუსთაველის თეატრი სადღერ ამ-მეტელის მეთაურობით, თამამად მიიწვევს წინ, რომ საბჭოთა ქვეყნის აღმავლობას და გამაგრებას არ ჩამორჩეს... და მე ბედნიერი ვარ, რომ ამ თეატრის კოლექტივის სრულუფლებიანი წევრი ვარ და შეძლვა ნაშუალება ჩემი შემოქმედებით უნარანობით და შეგნებით კულტურულ მენებლობას ვემსახურო.

ამიტომ არის, ასე შეგამირებულად რომ ვემუაობთ რუსთაველის თეატრში, რომელმაც დღისრული ადგილი დაიკავა საბჭოთა ქვეყნის მოწინავე თეატრთა შორის.“

როგორც თვითონ აღნიშნავდა, მართლაც ის უკვე თეატრის სრულუფლებიანი წევრი იყო, თეატრთან ერთად სიბჭოატის წლები გავლულ და როგორც მისი რანგისა და შესაძლებლობის შემოქმედ შეაფეროდა, საქვეყნოდ აღიარებულ მსახიობთა

7 ა. შერაზადიშვილის მოგონებებიდან.

4. „საბჭოთა ხელნაწები“, № 7. 1967.



ელ. ლორთქიფანიძე — გარბ მთორი „უკაილები“

ქუში მეზღაურის პარტიზან ბონდარენკოს სახის გახსნა მიანდეს. ბონდარენკო ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, უშიშარი რაინდია, რომელსაც მოაქვს შთამოგონებელი რწმუნა ქვეყნის გარდაქმნის, დამოუკიდებელი, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლით, შერკინებით, მსხვერპლის გაღებით მოიპოვება. ელგუჯამ მალაღნიჭიერებით შეძლო უნაკლოდ დაეხატა უშიშარი მებრძოლის სახე. „წითელი ტყავის მოკლე ქურთუკში იყო გამოწყობილი, თავზე რუხ-მოლურჯო ფახა-წამოდგმული, იარაღში ჩამყდარი ბრგე ვაკაკი, მეთაური ელგუჯა პირველი შეხვედრისთანავე გიპყრობათ და გზიბლადათ, სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირები შენ თვალწინ გაეცხლდნენო, გვერნებოდათ. ყოველი მისი სიტყვა გრანატისაგან გამოკვეთილ, ხელშესახებ საყნად გერვენებოდათ, მტიციც, ურყევი რწმენით წითლების გამარჯვებისადმი, ამ რწმენით იყო გამოზარი მისი სიტყვა და მოქმედება, ინტერვენტებისადმი შურისძიებით ანთებული რჯინის მკვერტილი მეთაური, გყამათ, ქვას ქვაზე არ დატოვებდა მტრის ბუნაგში. მარტო ერთი შესიტყვება ინტერვენტებთან რად ღირდა: „ჩვენ ჩავალთ მაშინ, როდესაც ჩავაგო! ჩვენ ვიმოქმედებთ ისე, როგორც ვმოქმედებდით!“ — ამბობდა მოჭრილად და თითქოს ყოველი სიტყვა ნასროლი ყუმბარა იყო მტრის შესამუსრად გასროლილი; ელგუჯას ეს ძლიერი სახე კიდევ უფრო აახლოებდა 30-იანი წლების მწვიდობიან მაყურებელს თავის სახელთანაა წინაპრებთან და უსაზღვროდ ამაღლებდა წარსულის გმირულ რომანტიკას.

განსაკუთრებით მიიწდა აღენიშნო რუსთაველის თეატრში სიმონ შივარაძის „შლეგის“ დადგმა, სადაც ელგუჯამ მთავარი გმირის, მოხუც სარქალის — ფირანის როლი სთამაშა... „შლეგის“ გმობუნა თეატრს მეტად ჭირდებოდა... „ლამარას“, „ანზორისა“ და „თეთნულდის“ არსებობას თავისი პრინციპული მიმართულება გააჩნდა. „შლეგის“ სცენურის სიცოცხლედ მხოლოდ ამ გზას აგრძელებდა. თეატრი ენერგიულად იცავდა ერთწული მემკვიდრეობის სოციალისტური სულისკვეთებით გადაღმუშავების ძირითად პრინციპს და ახალი ყოფა, ჩვენი ქართული სოფელი, თანამედროვე გალხეკაცის შრომა და საქმიანობა, ამ შრომის პროცესში წარმოშობილი მძაფრი ფსიქოლოგიური კონფლიქტები, თუნდაც ტრაგიკულ ბედისწერად მისული, სცენური გარდასახვის კიდევ ერთ გაუმჯობესებულ დადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

„ელგუჯა — ფირანი ვერაერთი ვერ ურთივდება ცხოვრების სიახლეს. ვერ ურთივდება და საშინელ ტრაგიდიად მიაჩნია ახლად ჩამოყალიბებული საკოლმურნეო წყობილება. მას ვერც კი წარმოუდგენია საკოლმურნეო ფერმაში გაერთიანდეს სოფლის მთელი მსხვილფეხა პირუტყვი. ფირანი მარტოდ-მარტო რჩება ახალი ცხოვრების პირისპირ, მისი შუერიკებული მოწინააღმდეგე, რომელმაც თავისი ერთადერთი ვაჟი სახუცი კი ვერ გადაიბირა თავის მხარეზე. ფირანი ისე დაბრმავებულია კერძო მესაკუთრული სენით, რომ სადღაც შორის მთაში, ღამით ქურდულად, უგზო-უკვლოდ მიერჩება მთელი სოფლის ნახირს. ცდილობს ამ გზით გადაარჩინოს ქონება, შეინარჩუნოს, ამ გონებადახუებული, ნახევრად ველური, ქვა და

მხარდამხარ დადაც და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ელგუჯა სწრაფად იზრდებოდა, არწივის ფრთებს შლიდა, მოწიფულდებოდა, ვაკაკიდებოდა... ეს იყო მთელი თეატრის სიხარული, გამარჯვება, ეს იყო თვით სანდრო ამბეტელის პრინციპების აღიარებაც, რომ ქართული ეროვნული თეატრის შენება, წარმატება შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ ენათგველი მსახიობის ბუნებითა და ხასიათით.

ელგუჯა ლორთქიფანიძე კი ერთ-ერთი იმთავანი იყო და, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებულაც, რომელიც თავის მოზღვავებული ემოციებით, ტემპერამენტით განირჩეოდა სხვისაგან. ამბეტელი კი ელგუჯას სახით თავისი დიდი საქმის საწინდარს ხედავდა, ამიტომ იყო — რეჟისორი ცდილობდა ელგუჯა ამჯერად მეტად დაეკვირთა, ყველა როლთან „მოიფეა“, ყველა სპექტაკლში ჩაება და მისი შესაძლებლობის მრავალფეროვან მხარეებს მეტი სიზუსტით ჩაწვდომოდა. ამიტომაც ხშირად ელგუჯა სხვადასხვა, საწინააღმდეგეო ხასიათის როლებს ასახიარებდა და ამით რეჟისორი, როგორც სხვებისგან გამოვლინა, „კბილს უსინჯავდა“ მსახიობს და მასში ბუნებით მომადლებულ ნიჭს ფართოდ უღებდა კარებს და ელგუჯაც ყოველთვის პირნათლად წარმდგარა მაყურებლის წინაშე.

რუსთაველის თეატრი რუსი ავტორის, სოვაინის „ინტერენსიას“ ახორციელებს. ელგუჯას მთავარი გმირის — პირ-

კლდესავით გაუტეხელი, ჯიჯიტი ჭარმაგი სარჭალის სახეს შე-
სანიშნავად ანსახიერებდა ელ. ლორთქიფანიძე. მას ყოფინადა
ვაკაცურნი იერი, ფოლადანი, მკერდასიუელი ბარტონი, ზღვა
ტემპერამენტი, შინაგანი სითოთ და სიმარტული გულის მღუ-
ღარება, მძლავრი ექსპრესია, რომ უნაკლოდ დაეხატა გზაბ-
ნული, გულგრილი სარჭალი. ერთიმეორესთან ხანჯლებით
შესილო შეწყვეტის ისე დასტყვილებდა: „შედეგები! დაივი-
დით თუ ღვინო დაგიღვინათო?“, რომ სხეულზე ეკალს და-
გაყრდნობს. ან კადვე, ერთადერთი ვაჟის გულის გასაგმირა-
ვად ხანჯალღმართული ჩამხრჩავალი ხმით წარმოსთქვამდა:
„ფიცები ძველი პატივით დამირღვი!“ ამ სცენაში შემარწყუ-
ნებელი იყო მსახიობი.

ასველი მძლავრი და ემოციურად შთამბეჭდავი იყო, როცა
მთებზე გაჩნდებოდა, ქოხნი გამომწვევდელი თავგანთრული
და სასოწარკვეთილი ებრძოდა ბუნების სტიქიას — თოვლსა
და ყინვას, შშიერ-მწყურვარი, ჭარბუქის, თოვლისა და ზვა-
ვებისაგან ყოველმხრივ გზუზნაკლტივი პირუტყვიც რომ შიმ-
შილით უწყდებდა თავისი ჭკუადანბნული სატყვილის გამო. ეს-
ვი არის თვითონაც მსხვერპლი უნდა გახდეს თავისი სიკუი-
ტისა და შლეგანობის, ქოხში ძლივსდა დაბობავს, ფეხზე
წამოდგომის ძალაც აღარ შესწევს. როდესაც მისი თანშეზრ-
დელი, სიყრდნული განუყრელი მეგობარი პაპუნა, აქ რომ
გამოიტყუა — ამ გარჯობითი, ძალიწვე გამოღეული, გარ-
დუღალი სიკვდილის შიშით შერწყნებულ ეტყობა: „ის რა
ჭქენ ადამიანო, რა ჭქენ? როცა გაზაფხულდება ეს იალღები
მოფენილი იწებდა შიმშილისაგან გაწყვეტილი პირუტყუთა ჩონ-
ჩხებით, ხოლო ამ ქოხში ითო უგუნური ადამიანის დაერგვით
თავის ქალა ეგდება“, აქ უკანასკნელ ძალიწვენს მოიკრება
ფირანი — ელგუკა, თავზარდაცემული სწვდებოდა ირთავე
ხელით ყველი და ჩამხრჩავალი ხმით შეტყვირებდა: „გაქმდი,
პაპუნა, გაქმდი!“ ამის შხილველი უდაოდ იტყობა: ელ-
ლორთქიფანიძის დიდი ტრაგიკოსი მსახიობის მომავალი აქვს
ნამდვილად! ⁸

როგორც აღვნიშნეთ, ელგუკას შვაიცერი არ უთამაშნია.
მაგრამ სანდრო ამბეტელს თავიდანვე ჩაფიქრებული ქოხნადა
კარლ შიორი ელგუკას მეორე რიგში უთამაშნა. ამ მოსაზრე-
ბას თავისი გამართლება ჭქონდა და დანიშნულ დროს ელო-
დებოდა, კარლ შიორის სახე საქართველოში საქაბოდ ცნობი-
ლი იყო. მას ბევრი კარგი შემსრულებელი ყავდა, მაგრამ კარლ
შიორი რუსთაველის თეატრში სულ სხვა იყო, ის ჩვენი გულის
ძარცვიდან უნდა ამოზრდილიყო, ჩვენი სისხლით უნდა აფრეო-
ლებულიყო. და ეს ბედნიერი დღეც დადგა. „ინტირანოსი“
რადაც გასაოცარ სანახაობად გამოიყვება, ზღაპარივით ამაღ-
ლდა. ამიტომ, ახალგაზრდა კაცს მეტი ჭქონდა საფიქრებელიც
და თავსაბეჭდი... მაგრამ როცა მსახიობი საყვარელი გმირის
სახის თამაშისა შეტყვივებდა, მის გულსა და სულს, მის ვაჟ-

აკაცურ შემართებას მხარს აუბამდა, თვალთ აწონ-დაწონინდა,
რადაც ნათესაურს, ახლობელს, უფრო სწორად თავის თავს,
თავის გულისცემას გრძობდა.

გოდუნინად კარლ შიორამდე მსახიობური ციბე-ცხლებლა
თითქოს თავისთავად დაცხრა. შინაგან ძალთა მღელვარებას
ემატებოდა დაკვირვებული ხედვა, სიღინჯე, სითამამე, უტყუ-
არობა. ავაკი ხორავას შემდეგ ამ როლზე ხელის მოკიდება
კადნიერება იწებოდა ყველა მსახიობისათვის, მით უმეტეს
ზრდილი და მოყრძალებული ელგუკა ლორთქიფანიძისთვის,
მაგრამ მის დაუდგვარ სულს თითქო თავად ეძახდა კარლ
შიორი... მაგრამ ამ დროს სანდრო ამბეტელი უკვე აღარ იყო
თეატრში. მასსოვს, ერთხელ მოყრძალებით ვკითხე — როდის
ითამაშებ-მეთუი კარლ შიორს? დაფიქრდა, თავი დახარა,
ძალზე დინჯად მიპასუხა დანახვილიანებულმა და ნირსოცე-
ლილმა: „რა ვიცი, ენახით, ემუშაობთ, ახალი რეჟისორი არ
მაკამაყოფილებს, რასაც შეუნებდა, არ შვაშს, არ მჯერა“. ეს ის
დრო იყო, როცა იმ აფორიატებულ, აღფრულვლ დღეთა მხა-
ური არ დამცხრალიყო თეატრში. ახალ შესვეურთ სურდათ
გაფუნებოთ ეს ნისლი, შემოებრუნებინათ თეატრი ახალი გან-
წყობილებებისაკენ... ამ პირობებში ითამაშა ელგუკამ კარლ
შიორი.


ელგუკას კარლ შიორი რუსთაველის თეატრში თითქოს
არდევდა დიდი ჭქიშილის წინ ჩამოვარდნილ დემოსს და
აღრმავებდა ყველა კეთილშობილი ქართველის გულისცემას,
რადგან ეს იყო ამჯერად, ამ დღეებისათვის ერთ-ერთი ძლი-
ერი და ულამაზესი სახე, ელგუკასეული „სულითა და გულით
მდიდარი“ კარლ შიორისა და რომანტიკით შეჯერებული... ელ-
გუკამ ითამაშა თავისებურად, უშუალობით, ჩვეული არტის-
ტული გზნებით, მაგრამ შესაძლოა არა მთელი შესაძლებლო-
ბით, რადგან ყველა ადამიანს თავისი ტყვიელი აქვს.

თეატრთან ერთად ელგუკა ლორთქიფანიძე მომავლის
პერსპექტივებს გასცქეროდა... წინ შექსპირულ გმირთა გაღე-
რეა იმლებოდა. ახალი ოცნებები, ახალი ფიქრები, ახალი სა-
ფეხურები... მაგრამ დროთა სიავემ ეს არ ინდობა. მეოცნებე
რანინდ ყველა გზა გადაუჭრა. და ამით ყოველივე დამთავრ-
და? არა! ყველაფერი, რაც დიდებული და ძვირფასი შექმნი-
ლა, კვლავ განაგრძობს დამოუკიდებელ სიცოცხლეს. და ახლა,
ისტორიის ქარტეხილებიდან „რდევია“, „ლამარია“, „ანზორი“,
„თეთნული“, „ინტირანოსი“ წარმოდგებიან. მათი თანამე-
ზარეა ელგუკა — გოდუნი, მამაცი მფულავური, ელგუკა —
ბონდარენკო, მრისხანე პარტისანი, ელგუკა — სიორანი, მთე-
ბის ლაღი და ნებიერი შვიდი, ელგუკა — კარლ შიორი, თა-
ვისუფლების მესობტა და მომღერალი და სხვ.

იულიუს ფუნკის თქმისა არ იყოს, გვირი დადმწვევტ
მომენტში აკვირებს იმას, რაც საზოგადოების ინტერესებისა-
თვის არის საჭირო. ელგუკამ თავი დასდო, რომ მის ტრეფი-
ალს, სახვეარლს თეატრს სიცოცხლედ შემატებოდა.

⁸ ი. შერაზადიშვილის მოგონებებიდან.

რუსთაველის თეატრის სცენის ოსტატები



გურამ სალარაძე
ხუმარას როლში
„მეფე ლირი“

ვილაცა ტიროდა,
ვილაცა ჩიოდა,
ვილაცას შიოდა,
და ღრუ ბაღიოდა!“

ცოდედა მუხრან მაჭავარიანის ამ ლექსის ხმაამოუღებელი წაკითხვა. წარმოთქმას თხოვლობს.

და უნებლიეთ გურამ სალარაძე მახსენდება. იწყებს კითხვას ჩუმი და ნელა, თანდათან მიიკვება აზრის რიტმიულ დენას, ტემპს აძლიერებს, თავბრუდამხვევ რიტმს ანვითარებს და ამთავრებს ერთი მძლავრი აზრობრივი აკორდით: ა მ ი ნ !.

გ. სალარაძე მგოსანია მხატვრული კითხვის. იგი პოეტი აქტიორია, რაკი სიმღერას ლექსად ამბობს და მუსიკოსია, რადგან სიტყვას სიმღერად აქცევს.

მსახიობის ვაჟაკური ხმა და მეტყველი თქმა შიამბეჭდავი ზემოქმედებით გააწვდის გრძობის უწმინდეს ინტონაციებს და სულის ალტკინებას ამხურვალებს. გ. სალარაძის ტემპრი ფართოდ ეფენება დარბაზს და მსმენელის გულს უხილავი მიმოზღველი სხივებით იტაცებს. დიახ, მხატვრული კითხვა გვირგვინია მისი შემოქმედებისა და იქნებ სათავე აქტიორული აღზევებისა.

* * *

...ღრუ ბაღიოდა და... მიხვილ თუმანიშვილის «როც ასეთი სიყვარულია».

გ. სალარაძის პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება მილან სტიბორია. „ადამიანები მარტო გასართობად როდ მოდიან თეატრში. აქ მათ სხვა ადამიანის სულში ჩახედვის სურვილიც იზიდავთ!“

და მსახიობმაც გახსნა გული; ჩავვახედა საკუთარ სულში, დავგვეხმარა ჩვენც გაგველო მასთან ერთად სტიბორის სულიერი წაშების გზა, გაგაფრთხილა, არ გავიმეორათ მისი შეცდომა, შეგვადრწუნა, ჩავაფიქრა, აგავცილა...

ესაა გამარჯვება!

გ. სალარაძე სტიბორის გარეგნულ პორტრეტს გმირის შინაგანი თვისებებით ძერწავს. აკვირდებით სტიბორის სახეს და ღონდებით: ვერ მიაღწევს ეს ადამიანი მიზანს, — სუსტი ნებისყოფისაა.

პირველ სცენებში სალარაძე — სტიბორი სპეტაკი სიყვარულის გრძობით არის აღვსილი, ეს გრძნობა ადამიანს ზებუნებრივს, უმიწიერეს, ამაღლებულს ხდის.

კაფეს სცენაში კი, სადაც ღიდა ამცნობს, რომ წინა დამე სხვასთან ვაათია, სტიბორი მკვეთრად იცვლის განწყობილებას, მაგრამ მაინც ვერ სძლევს უმოქმედობას და მხოლოდ პასუხობს: „შე შენ მიყვარხარ, ღიდა!“

«მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ!»... რა დიდი ტრაგედია იკითხებოდა ამ გაოგნებულ თქმაში. აქ, ამ სცენაში გ. სალარაძე კიდევ სხვა თვისებებს ავლენს: ავადმყოფურ სულგრძელობას და დამორ-

...ღრუ ბაღიოდა და...

(მათილი)

„მზე ამოდიოდა,
მთვარე ჩადიოდა,
მამალი ყიოდა,
კვამლი ადიოდა,

ეთერ ეგაძე

გუნველ ეგვიპტის: „რაც არ უნდა მოხდეს — დავიბრუნო ლიდა“.
და როცა ეს უნადაგო იმედო გაქრა, გ. სალარაძის სტიმორი სულიერად დაძაბუნდა, ფიზიკურად დამეშო და მორალურად მოკვდა. თავის უშუალოდ მხოლოდ საბრალდებლო საკმარის მიხედა და ქვითინილა მოინანია.

...ღარი ბაღირი და... ედგარ ეგაძის „წყალდიდობა“.

„ცხოვრება თავისთავად მარტივია, მაგრამ თვითონ ადამიანები ართულევენ მას“.

ცხოვრობს კეთილი ლადო:
მტკვარით ძლიერი.
მტკვარით ლალი.

გურამ სალარაძის ლადო გარეგნულად ჩვეულებრივი, ღონიერი. შინაგანად კი უჩვეულოდ ძალაყრილი.

ლადო თავისი ბუნებით სიმართლის მაძიებელია, გაცივებული დაბნეულად ვეითხება ხალხს: „რატომ ვმუშაობთ, რატომ ვკლავთ, რატომ გეტუღს მოყვანი?“

მაგრამ, იგი მარტოხელა გზაზე: ეს არის თავი და ბოლო ამ იერსახის ტრაგიკისა.

მოსახიობმა ღრმად ჩაისუნთქა სცენური გმირის მიმე სულიერი ცხოვრება და უხმო ქმედობით წელში მოხარა ყურად მორგავი ლადო.

გ. სალარაძის ლადოს სურს იყოს მართალი და წმინდა ყველას წინაშე. უპირველესად თავისი სინდისის წინაშე. მას არ ძალუძს გვერდი აუაროს უადამიანობას.

მაგრამ ლადო თვით აწყვედა ადამიანთა უგულობას, გაუტანლობას, ღალატს.

მაგონდება სცენა: იულია ქმარს უმხელს თავის შეცდომას. დარბაზს თანამგრძობი სიჩუმი ეფინება. მსახიობმა კი მიუხელებელი ფსიქოლოგიური ნიუანსებითა და დამადონებული გულწრფელობით გვაგრძობინა მისთვის მწარე და მიძიმე სიმართლე. შემდეგ რომ გულგატეხილობაში გადაიყვანა...

ძლიერი, კეთილი მტკვარი ადიდდა და განრისხდა. ლადომ გადაწყვიტა ბოროტებას ბოროტებითვე უპასუხოს.

მაგრამ ბუნებამ მასვე არგუნა ძველი საკუთარი ბუდის დანგრევა, ახლის აგება.

და როცა განვლო ცხოვრება, ლადო დარწმუნდა: საკმაო როდია იყო მართალი, კეთილი. უნდა იბრძოლო სიმართლისათვის!.. სიკეთისათვის!..

...წყალდიდობამ გაიარა. ლადო გადარჩა
მტკვარით ძლიერი
მტკვარით ლალი.

...ღარი ბაღირი და... რობერტ სტურუას „სეილემის პროცესი“.

„ცდუნებით აღსავება თქვენი სიტყვები, მისტერ ჰელი, როგორც სიტყვები თვით ეშმაკისა“.

ჰელი კუდიანების სულის მცოდნედ ესწრება სეილემის პროცესს, რათა სხვაც დაარწმუნოს წყველ სულთა არსებობაში.



გურამ სალარაძე ისტრადლაზე

გურამ სალარაძე ოსტატურად აერთებს პასტორ ჰელის შინაგან ეჭვებს და გარეგნულ სიმშვიდეს.

გურამ სალარაძე — ჰელის სახე ნათელია, თვალები მშვიდი აქვს და გჯერათ, რომ ამ ეკს ფანატურად სწამს კუდიანების ჯადოქრობა, მაგრამ მაინც გაეჭვება.


სცენური მოქმედების მივლ მანძილზე ერთი დაბალი ტონალობით საუბრობს და ამით უფრო აძლიერებს ეკლესიის დოგმატიკოსის შთამბეჭდაობას.

მაგრამ ჰელისთვის არც ჰუმანურობის გრძობაა უცხო. გულთ სწადია უთანაგრძობის ხალხს, დაბნეული უსმენს ორ მებრძოლ ჯგუფს და თვითონაც რწმუნდება ღმერთის სახელით ჩადენილ ბოროტებაში.

სალარაძის ჰელი გამოქანდაკებული წმინდანია, ცივი და მიუკარგებელი. მთელი სექტაკის მანძილზე ვერ ნახავთ ვერც ერთ მოძრაობას, ვერც ერთ ინტონაციას ოდნავ მაინც რომ არღვევდეს იერსახის სკულპტურულობას.

ახლაც წარმოიდგება ჰელის პლასტიკური ხელები. ყოველი შეკითხვა თუ პასუხი მკლავების მოძრაობით ხდება, მეტყველ ხელებზე იხატება ღმერთის მსახურის მორჩილი გონება და ადამიანის სულის დაუცხრომლობა. ვნებათ, ნურც მოუსმენთ მსახიობს, — წარმოთქმულ ტექსტს ხელის მოძრაობა მაინც წაგაგიხებთ, იერსახის გრძნობათა დღევანდელი ხელები დაგანახებთ.

...ღარი ბაღირი და... მიხეილ თუმანიშვილის „მეფე ელი“.



ლირის ხუმარა ტრაგიკულია, შექსპირის და იქნებ საერთოდ ყველა ხუმარათა შორის. გამოჩაღისი ვერდის რიგულეტოა.

ლირის ხუმარა იმიტომ არ არის მეფის კალთასთან მიმჯდარი, რომ გასართობად ოხუნჯობდეს.

გ. სალარაძემ თავისი გმირი სასახლის კარზე მოქმედ სხარტად მოაზროვნე სევდიან კაცად აქცია. მისი სცენური იერსახე ღრმად ფსიქოლოგიურია. ოხუნჯის ცხოვრებისეული სიბრძნე მეფის ეფემერულობას უპირისპირდება.

გ. სალარაძის ხუმარა იწყებს ტრაგედიას, ლირი კი ამთავრებს. მისი პირველი გამოჩენისთანავე პროსცენიუმზე ფილოსოფიური იერსახის საზოგადოებრივი ტრაგიკულობა იკითხება. ამ სპექტაკლში მართლ ლირი როდი კავავს გზას ბედუკუდმართობისაკენ, მასთან გ. სალარაძის ხუმარაცაა — ჭკვიანი, ძლიერი, ირონიული, გესლიანი, — გადარწმუნებული საკუთარ სიცილსა და სხვის გაცინებას.


სწორი აზრობრივი ტონალობა შეუხამა მსახიობმა თავისი გმირის შინაგან იერსახეს და ზუსტად საჭირო ფერები მოუძებნა სცენურ გარეგნულ პორტრეტს. მექი სამოსიც მკაფიოდ მზარგო ხუმარას სულის ტრაგიკულობას.

„მეფე ლირში“ გ. სალარაძის სცენური გმირი სპექტაკლის ყველაზე ძლიერი იერსახეა. მისი ხუმარა ხელმწიფეზე შორს იხედება, უფრო მწვავედ და უფრო ღრმად გრძნობს თავისი პატრონის უპატრონობას.

* * *

...ღრმე ბაღმირა და.. გიჟო ჟორდანის „ხოგაის მინდი“.

„ხადიმოთ, სადა ხარ ახლა, ხადიმოთ, მზისფერო ქალაქე?“



ლადო
„წყალობა“

ამაში გამოხატულია ხოვასი მინდიას ცხოვრების ტრაგიკულო-
ბა ვინ არის მინდია?

გმირი ქართული ლეგენდისა. ბრძენკაცი.

მინდია-სალარაძე ადამიანია, სახეე მზიური ხილვით და
ყოველი კეთილით. მაგრამ მასში უსალღვრო ნაღველია, ნაღ-
ველი დათვთქვილი გულისა. გავიხსენით არჩილ სულაკაურის
წყალდიდობით წაუღეკავი ლადო. ლადო ინტუიციით გრძნობ-
და ბოროტების მოძალეებას, მაგრამ უმოქმედოდ იდგა.

მინდია გრძნობს და იბრძვის.

მსახიობი ღრმად ჩასწვდა მინდიას იერსახეს.

— მინდია-სალარაძე პირველ სცენაში ოღნავ მოხრილია,

ნაფიქრებული, შეწუხებული.

უყურებთ და გრძნობთ, რომ მინდია ძნელსა და მძიმე სა-
კაცობრივ იდეალს გამოჰკიდებია.

და, აი, დიდი ტანჯვის შემდეგ, ხოვასი მინდიამ ძმობა
უთხრა ბუნებას, „ქვეყანას დამშვენებულს ფერთა სიუხვით“.

მინდია-სალარაძე კლდეა, კლდეამოსილი, ტანში შვით ახა-
ლისებელი. უყურებთ და იწმინდებით მისი ძლიერებით,
რწმენით, მასში მორღვეული სიმშვიდის გრძნობით, გჯერათ:
მალე მიწვდება „ცას და დაუკონის მაღლიან კალთას“.

მასხენდება მინდიასა და ხადიშათის სცენა. სალარაძის
მინდია პოეტურია, თბილი და სახევა კეთილი გზნებით, ყო-
ველი მისი ნაკვთი და მოძრაობა მიზიდულია სიყვარულით,
ხადიშათთან შეერთების წყურვილით.

სხვაგვარია სალარაძის მინდია თიკანთან გოდების სცენა-
ში. „ღმერთო დიდებულო, დათრგუნე ცოლიო, ამ ცოდვილ დე-
დამიწაზე, რომ მაღლი ცამდე ამალღეს“.

მინდია ღაღადით აზროვნებს და უთქმელად მოგვიხ-
მობს, — დაფუფიქრდეთ მის ნათქვამს.

აქ მინდია მსაჯულია — მტკიცე და მკაცრი.

მინდიას აზროვნება ჰამლეტის აზროვნების დონეზეა და
უფრო მეტიც.

ვინ არის მინდია?

ადამიანი!

ბუნების მფარველი და მეგობარი!

მიწისა და ადამიანის ერთსულოვნების მჭადაგებელი.

* * *

... დრო გადმოდა და...


„და მოდიოდა
ქართული სისხლი,
ქართული სული,
ქართული სიტყვა,
ქართული გული“...
დრო გადმოდა...

და მოდიოდა:

სტიმორი, ლადო, ჰელიო, ხუმარა, მინდია და...

იარონ,
იარონ,
იარონ,
ამინი..

ჰელიო
„სტილუმის
პროცესი“



მინდია
„ხოვასი მინდია“



რუსთაველის
თეატრის
სკანდინ
ოსტაბაზი

ჯემალ ლაღანიძე

ისეთი დიდი სიყვარული გამოკრთოდა და თანაჲს სსსრკ-ში ეტოდებოდა ისეთი ოსტატობით შეასრულა, იმდენი ფანტაზია გამოავლინა, რომ გადაწყვეტეს მიეღოთ. გავიდა დაუდღაღვი შრომისა და შეცაღინებობის ოთხი წელი. სადღაღომო სპექტაკლში ბრწყინებულად შეასრულა როლი და ერთხმად გადაწყვედა მისი რუსთაველის თეატრში დატოვება. ეს მსახიობის პირველი თვალსაჩინო წარმატება გახლდათ.

რუსთაველის თეატრი, ჯემალი იმ მოღვაწეთა შორის აღმოჩნდა, რომელთა შორიდან დანახვაც კი დიდ ბედნიერებას ატოვებდა. მალე შეჩვიდა აკაურობას, მსახიობებმა შეიფარეს მორიდებული ყმაწვილი, შემდეგ პატარა ეპიზოდებიც გაასინჯეს. გემოვნება კარგი აღმოჩნდა. ეპიზოდებს საპასუხისმგებლო როლები მოჰყვა: ბატონი სიმი — „ფილოსოფიის დოქტორში“, ტუტე ნატუტარი — „ყვარყვარ თუთაბერში“, სიმინი — „ახალგაზრდა მანუალებელში“ და სხვ.

1959 წელს დაიდგა აბულაძის პიესა „ვარსკვლავი ინათეს“, რომელიც მემსახტეების ცხოვრებას ასახავდა. მისი ერთ-ერთი პერსონაჟი მემსახტე იაიროზი მეოცნებე პოეტიცაა, რომელიც ყველას თავს აბეზრებს ლექსების კითხვით. ეს როლი რეპეტიციებზე მაინც და მაინც არ იტყებდა ყურადღებას. პრემიერის გასვლამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, როცა როლის შემსრულებელი მსახიობი ავად გახდა. გამოუძახეს ჯემალ ლაღანიძეს და დაავალეს სასწრაფოდ მოემზადებინა ეს როლი. მეორე დღეს რეპეტიციაზე იმ სცენაში, სადაც იაიროზი შემოდის ლექსის კითხვით, გამოჩნდა ჯემალ ლაღანიძე შესვეული ყვლით, თვალემიზინდელი და ხელეგებამოლილი. ჯერ ხმაც არ ამოიღო, მსახიობებს სიცილი წასკდათ, ხოლო როდესაც მეგრული კილითი „Кавказ под мной“ წაიკითხა, რეპეტიცია შეჩერდა და მსახიობებმა კარგა ხანს სული ვერ მოითქვეს, ეს სიცილი შემდეგ მაყურებელში გადავიდა. იაიროზის გამოჩენას მაყურებლის ოვაცია ყოველთვის თან ახლდა.

ჯემალ ლაღანიძის შემდეგი როლი იყო ზორაბა-ე. კანდელაკის „ქართლის მირადღენში“. ზორაბა და მარაბა იმერელი გლეხები არიან, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მილიციამი იწყებენ მუშაობას. ჯ. ლაღანიძემ სწორად მოუქმენა როლს როგორც შინაგანი, ისე გარეგნული საღებავები და დასრულებული მხატვრული სახე შექმნა.

„ბატონიში“ (ვაჟა-ფშაველას მოტივების მიხედვით), წოწოლას ჯემალ ლაღანიძე ასრულებს. ამ სპექტაკლის წარმატებაზე ბევრი ითქვა. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ სპექტაკლის წარმატებაში ჯემალ ლაღანიძესაც დიდი წვლილი მიუძღოდა. მან მკაფიოდ დაგვანახა წოწოლას ხასიათი, მისი ყოველი მოძრაობა, მისრა-მოსხა. გარეგნული პორტრეტი მართალი და დამაჯერებელი იყო. მსახიობმა იცოდა, რომ მის გმირს სცენაზე შეზღუდული ჰქონდა დრო და სიერჯე, ამიტომ ყოველი შტრიხი სისავსით იყო აღბეჭდილი. ამ როლში გამოჩნდა აგრეთვე მისი პლასტიკა, მოძრაობის სიმსუბუქე. წოწოლას მოძრაობა თითქმის სიტყვებით, ჟესტების სიმრავლით ხასიათდებოდა, მაგრამ ყველაფერი ხასიათის გამოვლენისაკენ იყო მიმართული.

მეიკეში ღილის ღანახეში

იოსებ ხაინდრავა

ქართულ თეატრში საკმაოდ არიან ახალგაზრდა მსახიობები, რომლებმაც სულ მცირე ხნის მანძილზე მრავალი საინტერესო სახე შექმნეს. ერთ-ერთია რუსთაველის თეატრის მსახიობი ჯემალ ლაღანიძე. ახალგაზრდა მსაუბლო სკოლის დამოაზრებისთანავე თეატრალურ ინსტიტუტში შეიტანა განცხადება. გამოცდაზე მას მტკიცელება დაუწუნეს, მაგრამ მის თვალუბში თეატრისადმი


როცა ლაღანიძის მიერ განსახიერებულ ბეგლარს ვიგონებთ (ს. კლდიაშვილის „ჭარიშხალი“), გული გეწყდება, რომ სპექტაკლი ასე ნაადრევად ჩამოვიდა სცენიდან. ამ დადგმაში წიგელი გაღვრდა იყო შესანიშნავი მხატვრული სახეებისა, მათ შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო სახეს წარმოადგენდა ჯ. ლაღანიძის — ბეგლარი. ეს იყო დროის მიერ დაშინებული და „წამხდარი“ კაცი. შიში ამ კაცის მეორე ბუნებად იქცა. უმწოდ ჩამოყრილი მკვლავები, დაღლილი თვალეები, შეშკრთალი მოძრაობა მის დასრულებულ პორტრეტს ქმნიდა. იგი შინაგანად მოტყეხილი და მერყევი იყო. თვალყურს ადევნებდა თუ საით იხრებოდა ძალთა წინასწორობის ისარი და მუდამ ძლიერთან ეძებდა თავშესაფარს. ამ განუწყვეტელმა ბრძოლამ მოქანცა იგი. უჩვეულო მოკრძალება და გაუბედაობა შესაბრალის ხდიდა მას.

გიზო სახამბერიძე — „ქუთათურებში“, ქონდაქარი — „ამირანში“, ჩივირი — „სეილემის პროცესში“, ელგუჯა — „ზღვის შვილებში“, კორნუოლი — „მეფე ლირში“ — ეს როლები ზედისეოდ განახორციელა მსახიობმა რუსთაველის თეატრში. ამ სახეებში დრამატურებს ძალზე ძუნწად მოუციათ საინტერესო, როგორც იტყვიან „ხელჩასავლები“, მაგრამ მიუხედავად ამისა ჯ. ლაღანიძემ მაინც შესძლო თვითიველში

ეპოხა რაღაც ინდივიდუალური თვისებები, გაემდიდრებინათ იგი თავისი ფანტაზიით და ამით საინტერესო გაეხადა მსაყურებლისათვის. ერთხელ ერთი ახალგაზრდა მხატვარი მეუბნებოდა: როდესაც პიესა „ამირანი“ წავიკითხე, ვფიქრობდი, რა უნდა გააკეთოს მსახიობმა ქონდაქარის როლში, რომ რადიკით საინტერესო გამოვიდეს, მაგრამ როდესაც სპექტაკლში ჯეშალ ლაღანიძე გამოჩნდა დახვეწილი გრაციით, მამინათვე ვიგრძენი მსახიობის ძალა და მისი მხატვრული ალღო. მართლაც ამ მსახიობში არის რაღაც ისეთი, რაც ალბათ ბევრს არა აქვს — მხატვრის თვალის, ნამდვილი ხელოვანის თვალის, რომელიც ამჩნევს იმას, რასაც სხვა ვერ დაინახავს. რეჟისორ რობერტ სტურუას უთქვამს — ჯეშალ ლაღანიძე ისეთი მსახიობია, რომელსაც შეიძლება მისცე როლი და დამშვიდებული იყო, რომ იგი ბრწყინვალედ დაამუშავებსო. ამის დამადასტურებელია თუნდაც მისი ორი ნამუშევარი — ფირუზა „მეტეხის ჩრდილში“ და ბატონი გიორგი „მზიან ღამეში“.


ფირუზა ეპიზოდური როლია, მასზე ლაპარაკობს მთავარი მოქმედი პირი შაქრო — „ჩემი სიძე ფირუზა, იცით, რა ბიჭია? — ოჰ, ის პარაოზის ვირთხა, ჩემი სიძე ფირუზა... და მასურბელიც ელოდება, როდის გამოჩნდება ეს ფირუზა, იგი კი სრულიად მოულოდნელად მოველინება ზაყურებელს, თი-

ელგუჯა „ზღვის შვილებში“.



წოწოლა „ბახტრიონი“





ვიპი. „შესაშე სურვილი“.

თქმის სპექტაკლის ფინალში, მისი გარეგნული პორტრეტი უცებ იპყრობს მაცურებელს. ფირუზა თავის სიღვდრ-სიმამრ-თან ზის და კარტს თამაშობს. თავზე „კარტუზიანი“ ქუდი ახურავს, რომელსაც სიმამრის დაჭინებული თხოვნითაც კი არ იხდის თავიდან — „წესი არ არისო“, ხალათის ღილები სანახევროდ ჩაუხსნია და მკერდზე სხვადასხვაანარი ნიშნები ჩამოუკიდია. ფირუზას ჯდომაში, გამოხედვაში იგრძნობა, რომ იგი დაჭიმულია, მორიდებულია, თვალუბში შესციკინებს შაქროს, ყოველ მის სიტყვაზე და ოხუნჯობაზე გულიანად იცინის, თან ცდილობს თვითონაც რაიმე გაიხუმროს, თავი მოაწინოს. სურს თავი ისე ეჭიროს, როგორც ღირსეულ სიძეს. უეცრად ფირუზას სკამი გადაუვარდება და წაიქცევა. მსახიობი აქ ოსტატურად გვიჩვენებს, როგორ იბნევა მისი გმირი, იგი უეცრად წამოგარდება, სკამს გაასწორებს (შემდეგ ხალათის უბეს აწვალებს, თვალუბში ვერავის უეკრებს, გრძობ, მიწა რომ გაუსკდეს და შიგ ჩავარდეს — ის ურჩევია. სასტიკად წუხს, შემდეგ შეხედავს სკამს და სახე გაებადრება (გამოსავალი იპოვა) — სამი ფეხი ქონია და წაიქცეოდი აბა რაო. შთამბეჭდავია მისი კიბეზე ჩახვლა. შაქრო ავალებს მანქანა მოიყვანეთ და ისიც ამაყად, აი, მეც შემოდია თავი გამოვიჩინო სიმამრის წინაშეო, ხელების და მხრების რხევით ჩაირბენს.

ბატონი გიორგიც ეპიზოდური როლია ნ. დუმბაძის — „მზიან ღამეში“. მსახიობმა შესანიშნავად, ძუნწი, მაგრამ უაღრესად გამომსახველი ფერებით დაგვიხატა ადამიანის სახე, რომელსაც ამქვეყნად არაფერი სწამს, მხოლოდ ცუდს ხედავს ცოფრებაში და კარგი არც უნდა შეამჩნიოს. უყურებო მას და ასეთი ადამიანი თითქმის საღდაც გინახავთ. ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ის რაღაც „ნაცნობი უცნობია“. ამაშია მსახიობის დამსახურება.

ჯემალ ღალანძიე ბუნებას ნიჭთან ერთად დიდი შრომის-მოყვარუბითაც დაუკლიდობია. იგი პასუხისმგებლობით ეკიდება თვითუღო როლს. ამიტომაც მის მიერ შექმნილი სახეები არ ჰგვანან ერთმანეთს. ყოველი მათგანი განსხვავებული, დამოუკიდებელი და, მაღალმხატვრულად განსახიერებულია. ახლახანს ჯ. ღალანძიეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა. ეს წოდება ჯ. ღალანძიემ თავისი შემოქმედების დასაწყისში მიიღო. წინ კიდევ რამდენი როლია!

ფირუზა. „შეტყვის ჩრდილი“.



საქართველო, შთაბეჭდილებები

ვასილ კვიციანი

ქართველთა თბილისის გარდა ათი სახელმწიფო თეატრია. უფრო მეტიც იყო ამ რამდენიმე წლის წინათ. ზოგი ფიქრობენ, რომ თეატრების რიცხვობრივი ზრდა სასიხარულოა. არის სხვა აზრიც. ცოტა და კარგი ამბობენ მოწინააღმდეგენი.

მაგრამ სიმრავლე და სიკარგე დაპირისპირებული ცნებებია. ხომ შეიძლება იყოს ბევრი და კარგი?!

ამ თემაზე ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე თეატრალურ წრეებში, მაგრამ ზოგჯერ გვაიწყობება, რომ საჭიროა თეატრის დასამარტოება გამოინახოს ახალი საშუალებები. ნაცვლად ამისა, სულ უფრო მეტად იზრდება იმ თეატრმცოდნეთა და რეჟისორთა სია, რომლებსაც წარმოდგენაც კი არა აქვთ თუ რა ხდება რაიონის თეატრებში. ბევრ ჩვენ თეატრმცოდნეს „არ სცალია“, „დრო არა აქვს“ რაიონის თეატრის საქმეების განხილვას. „მოუცელლობას“ უჩივის ბევრი სხვა ინტელიგენტიც.

დახა, მათ „არ სცალიათ“, მაგრამ ილიას და აკაკის საამისოდ დრო მუდამ ქონდება. ისინი სახალხო თეატრისა და დრამურების საქმეებსაც კი ვსწრებოდნენ და, ასე წარმოგვიჩინეთ, რეცხვითაც წყარდნენ. მათ ეს არ ეთაკილებოდათ, ჩვენ კი?!

თუ საკითხს ობიექტურად შევხვდებით და სიმართლეს თვალს გაავსწრებთ, დავინახავთ, რომ ქართულ თეატრში ახლა სულ სხვა პროცესები ხდება, ვიდრე ეს თუნდაც 30-იან წლებში იყო. ამ პროცესების ნიშანდობლივი მხარეა თბილისის გარეთ არსებული თეატრების პროფესიული კულტურის ზრდა. სტილისტური მრავალფეროვნება და თანამედროვე თეატრალური ტენდენციების გრძობა ბევრ სიხარულს გვაძრდება მომავალში.

თეატრებში მოვიდნენ ახალგაზრდა რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები. მათ მოიტაცეს შემოქმედებითი გულწრფელობა და ენთუზიაზმი.

განახლებისა და გადახალისების სურვილი იგრძნობა ახლა ყველა თეატრში. ვიცი, რომ სურვილი ერთია და შედეგიც ამა შესაძლებლობა მეორე, მაგრამ მიზანსწრაფვაც ხომ ბევრს ნიშნავს?!

ახლა ამაზე არ შევიჩნდებით. ჩვენ თბილისის გარეთ არსებულ თეატრებზე გვინდა ვისაუბროთ. არა მარტო იმიტომ რომ მათ შესაბამე ცოტა იწერება. მიუხედავად ამისა დაბაბული (ზედმეტადაც დაბაბული) მუშაობაა, რომელსაც ისინი ეწევიან.

არც ის არის საიდუმლო, რომ ამ თეატრების სცენებზე არც თუ იშვიათად ვხვდებით სუსტს, უმწიფარსა და ცუდ გამოყენების პიესებსა და საქმეებს. ზოგჯერ ეს იმ საკეიფიური პირობებითაც არის გამოწვეული, რომელშიაც მათ უხდებოდათ მუშაობა.

რაიონის თეატრებში იგრძნობა რიტმული ცხოვრება. მარათალია, ზოგჯერ ეს „მაღალი წყნის“ რიტმი, აჩქარებული

მაჯისცემა, მაგრამ შემოქმედებითი ინტენსიობა, რა დამლელეც არ უნდა იყოს, მაინც უფრო სასარგებლოა, ვიდრე ობიექტური განებივრება. (ჩვენ ხომ ვიცით უსაფუძვლო გონებთვლების მავალითვები!).

ასეა თუ ისე, ამ თეატრებს ბევრი საფიქრალი და სატყვივარი აქვთ.

ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ახლოს გავცნობოდი თბილისის გარეთ არსებულ ყველა თეატრს, საიუბილეო საქმეების დათვალიერებაზე უფრო რელიეფურად გამოჩნდა მათი მიღწევებიცა და ნაკლებიც.

დათვალიერება მახარაბის თეატრიდან დიწყო. ჩვენც პირველად ამ თეატრზე გვინდა საუბარი, ეს არ იქნება რეცენზია, არც თეატრის მთელი მუშაობის შეფასება. ეს შეუძლებელიც არის. ორმოცზე მეტი საქმეცაა ენახეთ ამ „მოგზაურობის“ დროსა, ცხადია, მარტო მსახიობთა და დამდგმულთა გვარების ჩამოთვლასაც კი ერთი სტატია დასჭირდება.

ჩვენ გვინდა შევიხვედრო გავუზიაროთ შთაბეჭდილება მხოლოდ იმ საქმეებზე, იმ სახეებზე, ან იმ საკითხებზე, რომლებმაც ყველაზე მეტად მიტყია ყურადღება. ზოგიერთი საქმეცაა შეიძლება დათვალიერებაზე არც იყო წარმოდგენილი, მაგრამ ჩვენ მათ გვერდს ვერ ავუვლით. ზოგჯერ ისინი უფრო რელიეფურს ხდებიან საიუბილეო საქმეებებისა და და საერთოდ თეატრის მუშაობის ავ-გარეანობას.

საიუბილეო საქმეების დათვალიერებელი ერთი იყო მახარაბისა და ჭიათურაში, თელავსა და ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, ფოთში, სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში.

ჩვენც ამ გზას უნდა გაავყუთ.

მ ა ხ რ ა მ

ამ ოთხმოცე წლის წინათ „ივერია“ წერდა: ოზურგეთში სცენისმოყვარეებმა საქველმოქმედო მიზნით ა. ცაგარლის „ხანუმა“ დადგეს. იმავე გაზეთში რამდენჯერმე დაიბეჭდა ცნობა სცენისმოყვარეთა პატრონული თაოსნობის შესახებ. ხან... და მაქარაძის ფონის სასარგებლოდ“ დადგეს წარმოდგენები და ხან პირობითიყის გასამდიდრებლად კითხულობთ ამ ცნობებს და გიკვირთ: ნუთუ თეატრს იმდენი საშუალება ჰქონდა, რომ სხვის ეკონომიურ პირობებზე ზრუნავდა? ჩვენ ხომ ვიცი, თეატრს როგორ უჭერდა? უჭერდა და მაინც სხვის კეთილდღეობაზე ფიქრობდა, ქველმოქმედება აძლევდა მას სტიმულსა და ენერჯისა.

ეს ფაქტი გაზამსენდა, როცა მახარაბის რაიკომის მდივანს ა. თოიძეს ვუსმინდი. იგი ყვებდა თეატრზე, მის სინდერებზე და იმ საშუალებებზე, რომელმაც თეატრს მატერიალურ მასა უნდა შეუმწახს. მას არც ნაკლები დაუფრავს და არც ღირსება. იგი არც იმის სურვილს ფარავდა, რომ მახარაბის თეატრი კონკურსში გამარჯვებული გამოსულიყო. და როცა მას და-

ბუნებას, ა. ქელბაქიანი ჩვენ უმთავრესად ე. წ. „ლია რო-
ლებში“ გვიჩვენებს, იშვიათად კი — სახასიათოში.

სულელობიანთა შესვენებამ დიდად გაგვახარა.
გონიერად და მართალ შითან ხიზის მკაფიო რეალისტური
მანერის შესახებია. ზავალია თამაშობს. საფუძვლი
ფიფიქროთ, რომ შითანის როლს რამდენადმე აიღოს ის პი-
რობითობა, რომელიც ასე რელიეფურად არის მოცემული ვე-
ზირთა სახეებში. ხიზთ უფრო ყოფითი — რეალისტური ტიპის
გმირია. როგორც ჩანს, ეს გარემოება გაითვალისწინა რეჟი-
სორმა, ამაზე მეტყველებს ზავალის სახე და მისი დამოკიდე-
ბულება წარმოდგენის ვადაწყვეტილსავე.

სამქატალოში ბევრი გინებამეზობელი დეტალია. არის
თამაში კონტრასტები და ფენტურები, მაგრამ აზრიანი მიზან-
სცემები.

„გუშინდელნი“ ისეა დაწერილი, რომ ა. ჩიხოვის პიესები
გაგანსებდა. რაიმე გავლენაზე რომელი ლაპარაკი. საქმე ეხება
გმირთა სულიერი განვადების, მათი ლირიკული განწყობილ-
ბებისა და პოეტური სვედის ჩხოვრებისეულ გამოხატობას. „გუ-
შინდელნი“ უკანასკნელ მოქმედებაში არის ამგვარი ტენდენ-
ცია.

ა. ვასაძე სწორედ პოეტური სვედისა და „ქრემლიანი
სიცილის“ გადმოცემას ეწარაფვის. იგი კარგად გრძნობს —
წიას სულიერ განვადას და მისი ცხოვრების შინაგან რიჩმას.
ქუთაისის თეატრმა დათვალაიერებაზე „ანსოიში“ გიორგი-
და ეს მართლაც დიდებული საწუქარი იყო საუბრილოდ წილს,
მაგრამ რა კარგი იქნებოდა კონკურსზედაც ასევე ძლიერი სპექ-
ტაკლი რომ გვჩანას!

„ანსოიში“, „შითანი ხიზი“ და „გუშინდელნი“ სხვადასხვა
სურთების, სხვადასხვა რანობისა და სტილის სპექტაკლია. მაგ-
რამ ისინი კარგად ამქვლანებენ ქუთაისის თეატრის შესაძ-
ლებლობებს და საუბრილი გარკვეული მიგვანიშნებენ თეატრის
შემოქმედებით ვებზუტყ.

მ ი რ ი

„მებერი მესურნეები“ გორში ლ. იოსელიანმა დადგა.
ამ სპექტაკლზე საკუთარ თავთან ფიქრი უფრო ადვილია,
ვიდრე წერა. უსიტყვო ფიქრით უფრო შეიგრძნობ მის მშვენი-
ერებას.

...სცენაზე ყველაფერი წარსულით ცოცხლობს და სულდ-
გობლობს. დიდი ჩრდილი და ბინდუნები ჩამოშდებარა მესურ-
ნეების კარმიდამოში. აქ არც ბავშვების ვივილ-ხივილი ის-
მის, არც საჭორწილო მიპატივებუბა მოსვლიათ მესურნეებს
დიდებისა. მათი სიხარული წარსულს ჩაბარდა, მათი ბავშ-
ვილი სარკაყმისა და პორტატურში დარჩნენ.

ისინი ყოველ საღამოს იკრიბებიან ზუგუბში, მკვებიან გარ-
დასულ ამბებს და როგორც ერთად მიმავლინი მგზავრობი წუ-
თისთვლითა, ერთად უსმენენ თავიანთი მუსიკის შორეულ
ხმებს. ამ ხმებში იღვრებიან მათი დაკარგული ახალგაზრდობაც.
სიჩქმისა და სვედის აჩამოსმების დროდადრო არღვნი
მშენიერი ჭაბუკის (ა. ხაჩიძე) შეხმებით. შემოვა ეჩოში იგი
და წამოიშლება მისხუბები, რათა ყველამ გაიღოს თავისი
წილი ყურადღება.

ესა მათი იმედი, მათი სიხარული და რაღაც ფარული
სველაც (დაკარგულ შევილებს რომ ავონებს!)
სამი კვირა ეშვება სამი თოხანდენ, სამი ეხო ვეჯრის ერთ-
მანთისა და ყველაფერი ერთი სახეილო მავადით მთარბდება.
ისინი ერთად სადილობენ, ერთად სხობრბონ მხარდამხარ და
მზის სხივებსაც ვრთად ინაწილებენ.

მათ აღარაფერი კყოფთ ერთმანეთისაგან, წლების განსხვა-
ეებაც განქრალა და მათი განსხვავებული წარსულის კვალცი
მოსუბია.

როცა ისინი ზურნას უკრავენ, თავიანთი სულიდან ამო-
სულ მელიოდის უსმენენ და ერთმანეთს ამხნევენ — ვერ
კიდევ შევიდებიან სიმღერაში.

და ვიდრე სიმღერა შეუძლიათ, ცოცხლობენ კიდევ!
მათ ხიზიად უყვარა სიმღერების მოყვლა და ირვალურ
სამყაროში პოეტური „მგზავრობა“. ზოგჯერ მასში წარსული
ცხოვრების სურათებსაც შეურბენ ხოლმე და მრერ უტირი სიხ-
მარბულისაგან სინამდვილის გამოყოფენ. მაგრამ ეს ყველაფერი
რალაც პოეტური შუქით არის განათებული და აქ სვედასაც
თავისი სიღამაზე აქვს.

გორის თეატრის სპექტაკლი ნამდვილი ელეგიაა ბებერ
მესურნეებზე. თეატრი არსად არ ცდილობს კახონური ოპტი-
მიზმი შეიტანოს გმირთა ცხოვრებისში, რომ უფრო „თანადრო-
ულია“ ადვლდის იგი. უკანაზმის სული ტრიალებს მივლ
სპექტაკლში და ეს არის მთავარი.

ვინ არიან ის მესურნეები ასე პოეტურად რომ მოვიტო-
ბობენ თავიანთი ცხოვრებაზე?

ეხენია ე. კახიანიშვილი, შ. ხერხეულიძე და ერ. არაქლო-
ვი. არ მინდა ერთმანეთისაგან გამოყოფ მათი შესრულება, ისე
როგორც მათ გმირებს არ უყვართ განცალკევება.

მესურნეების შემხრულელებს გვიდრე უდგანან 2. ბერო-
შაშვილი, მ. ნოზაძე და ე. მოციქულაშვილი.

სიხარულე ჩვენ ვნახეთ მთრთოლვარე სულის, დამაფიქრებე-
ლი სპექტაკლი.

აქ ყოველი გმირი თავს ბედნიერად გრძნობს, რადგან იგი
ცხოვრებს მასთან მესურნეებსა და შრომლოურ „ეგოგრაფიულ
კარიერში“ (მხატვარი შ. ხუციშვილი).

როცა სპექტაკლი ახარებს, სურბილიც ადარ გაქვს მის
ნაყოლივაც შურბრე. ნალო კი აქას (არის მონოტონობრების
საფრთხე, დაუბეზრავია წისქვილის სხე). მაგრამ იგი ისევე
მართალია, როგორც მზის დახრის ვაშს მესურნეების ეხოში
შემოჭრილი სხევი.

თეატრმა საიბოლოო დათვალაიერებაზე წარმავადიანა
ა. ნახარბიშვილის „შუა მიწების“ (რეა. ა. ამბროსილი),
ჟ. ჭარბასის „დეიძიების თახაში“ (რეა. მ. თამარაშვილი),
რეპორტაჟში აქვს აგრეთვე შ. მახარბიშვილისა და შ. ქულუ-
ხაძის „დანიერული ზუღა“ (რეა. ა. აბრამოშვილი).

სამივე სპექტაკლი რელივიციურ წარსულსა და თანა-
მდროეობის საჭიბრბოროტ საიათებს ეხება. ჩვენნი აღმავლი-
ნის მორალური სახე. ცხოვრებაში დეკლამის პონის თამა. ამი-
რული წარსული და შრომითი თვადობა — აი საკითხების ის
სფერი, რომლის შესახებაც „მოვლითობრენ“ ის სპექტაკ-
ლები.

ამ წარმოდგენებში (მრე ნაყოლად) არის იალაქული რე-
ქისორთულად „ააურანდობა“ და აქტიორთულად სუსტი ოტიკა-
ლობი. არის შტამბი და ნაწინბი ნიბიტობი, მაგრამ აქ მთავრია,
რომ მას ჩემზე ნაყოლად არ ხედაინ მათი დამდამილი რეოი-
სობრები და მსახობრები. ტრამატურაზომაც კარავა იყენი. რომ
მათ პიესებს, ობრბებთან ირთათ. ნაყოლი ბიერი აქვს.

გორის თეატრმა (მირექტორი შ. ჯვარბიძე, მთ. რეჟისორი
ლ. იოსელიანი) ახლამანს იხეში 100 წლისთობი. ეს იყო
იბრსაყოლი მომენა, მას შემდეგ არც თუ ისე დიდი დრო გა-
ვინა. მაგრამ ახლა საბრბოთ თეატრმა უარო რეობილად
რეზონისა, აანა შიბილბა ექვს თვბში ორი სპექტაკლი? ამჯარ
ტემს თეატრის მდგომარობა ვერ მოითმენს..

საქართველო დათვალიერებაზე



გროშეტა — თინა ზარიშვილი, მინაი — გ. თავებრიძე
„კიკვიე“ თბილისის სსი სახალხო თეატრი

სახალხო

თეატრების

საქალაქო

ფესტივალი




სახალხო თეატრის გამო ბევრს კამათობენ, წერენ, კითხულობენ ლექციებს, იხსენებენ მის წარსულს და აყენებენ ახალ პრობლემებს. ახლახანს მარჯანიშვილის თეატრის შენობაში გამართულმა თბილისის სახალხო თეატრებისა და თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების საქალაქო ფესტივალმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მთელ რიგ პრობლემებს შორის მაინც ყველაზე საჭირობოა სახალხო თეატრისა და მყურებლის ურთიერთ დამოკიდებულება. უკვე მარტო ამ ერთ პრობლემაში იყრის

თავს ყველა ის მწვავე საკითხი, საერთოდ თეატრალური ხელოვნების ყურადღების საგანს რომ წარმოადგენს (რეპერტუარი, შემოქმედებითი და ორგანიზაციული პროცესი, რეჟისურა, სამსახიობო ხელოვნება და სხვ.). სახალხო თეატრების ესოდენ სწრაფი რაოდენობრივი ზრდა (მთელ კავშირში 1958 წლიდან დღემდე უკვე 8000-მდე სახალხო თეატრია) თავისთავად მტკიცელებს მის დიდ მასობრიობაზე, ხალხთან თეატრალური ხელოვნების სიახლოვეზე. რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა უძველესი „ხალხური თეატრისა“ და ახალი „სახალხო თეატრის“ თუნდაც სახელწოდებებს შორის, რადგან ძველ სახელწოდებაში უფრო იგულისხმებოდა მისი ფოლკლორული ხასიათი, პროფესიული თეატრის ის წინამორბედი, ხალხურ წესწვეულებებსა და რიტუალებში რომ იღებს სათავეს. ახლა კი მას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. მართალია, ახლა ფართოდ დაფუნდა სახელწოდება — სახალხო თეატრი, ამასთან ფაქტია თვითმოქმედი წრეებისა და პროფესიული თეატრების განსხვავებულობაც, მაგრამ როცა კონკრეტულად დგება საკითხი თუ რა სხვაობაა, რა ნიშნები იგულისხმება ამ სახელწოდებებში, პასუხი რატომღაც ყოველთვის არაუხსნია. ალბათ, ამ უზუსტობის შედეგია, რომ ბევრი სახალხო თეატრი თვითონაც ვერ გარკვეულა საკუთარ პოზიციებას და პრინციპებში, რაკი ცდილობს მიიღოს განსხვავებული იერსახე, ხშირად ავიწყდება კიდევ, რომ პოზიციები და პრინციპები როგორც პროფესიული, ისე თვითმოქმედი თეატრებისათვის ერთი და იგივეა. ეს პრინციპები ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრების მართალ ასახვაშია. მყურებელი, რომელიც თეატრში მიიღის სპექტაკლის სანახავად, ერთნაირად მოითხოვს ცხოვრებისეული სიმართლის მხატვრულ ასახვას პროფესიულსა და თვითმოქმედი წრეების სცენაზე. გამოდის, რომ მხატვრული ასახვის ხარისხობრივობაში არ უნდა იყოს სხვაობა, ამავე დროს მაინც არსებობენ სხვადასხვა სახელწოდებები. როცა სახალხო თეატ-



სლავა — ლ. კობეზიძე, ვიტან ლახაროვი — შ. ჩერქეიშვილი.
„მეწლითეკე“ სამოხე. მ. გოგოის სახელობის კულტურის სახლი



საბა ურბელი — უ. სამაღაშვილი, ზასა ვუჯაბიძე — შ. ამაშუცელი.
„ცხოვრება კაცისა“, თბილისის ლენინის რაიონის სახალხო თეატრი



გუდერიანი — ბ. ვა-
სილევასკი, შტაბე-
ლუშია — შ. ჩერკ-
სივა. „ავეკლას თა-
ვისი მიუზოს“, კავ-
შირტაბელო შ. ი. ს-
მეფთაია. სახალხო
თეატრის რუსულ
კოლექტივი

რებისა და თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების დათვა-
ლიერებაა, თუორც არასოდეს არ ითვალისწინებს შეფასების
დროს რაიმე შედეგათს. იგი ჩვეულებრივი სიმყაყრი, მიუდ-
გომლად მოიხიფვის მალაღმსატრულობას, იდეურ-შინაარსობ-
რივ სიღრმეს, როლების შემსრულებელთა და რეჟისორის ოს-
ტატობას.

ეს საკითხი შემოხვევითი როდი მოვაქციეთ ყურადღების ცენტ-
რში. იგი გვიკარნახა თვითონ ობიექტური შეფასების აუცილებ-
ლობამ. ისე, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ამჯერადაც ვიუ-
რის არცერთ წევრს არ ჰქონია მხედველობაში რაიმე შედეგათი,
და შეიძლება სამართლიანადაც. მაგრამ დიდად გამოცა იმ თა-
ნაგრძობამ და შედეგათებმა თვითონ მავურებელთა მიერ ანტ-
რატებმა თუ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სახელდახელოდ
გამართულ კამათში რომ იქნა გამოსატული. გამოირკვა, რომ
თვითთულ შემოქმედებით კოლექტივის თავისი გარკვეული აუ-
დიტორია ჰყოლია. თვითთულ აუდიტორიას კარგად სცოდნია
სცენაზე ასული თვისივე წარმომადგენლების შემოქმედებითი
და ორგანიზაციული საქმიანობა. როცა სცენაზე სახეგარბობის და
სამომხმარებლო კოოპერაციის კულტურის სახლის სპექტაკლის
ურევენდენენ, მავურებელთა დარბაზში სავსე იყო სახეგარბობისა
და სამომხმარებლო კოოპერაციის თანამშრომლებით, სასოფ-
ლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა წარმომადგენას კი
იმავე ინსტიტუტის სტუდენტების უმრავლესობა ესწრებოდა
და ა. შ. ყოველივე ამან თითქოს თვითონვე მივიჩიითა იმ
ნიშნა-თვისებაზეც, სახალხო თეატრს სხვა თეატრებისაგან
რომ განასხვავებს, მაგრამ შეიძლება თუ არა ამ ერთი განმას-
ვავებელი ნიშნის თვალსაჩინოება საერთოდ მისივე სწორი შე-
ფასების კრიტერიუმად იქცეს? ცხადია, აუდიტორია ყოველ-
თვის არ არის განმსაზღვრელი ამა თუ იმ სპექტაკლის სამარ-
თლიანი შეფასებისა, ისიც ცხადია, რომ თეატრი არ არსებობს
აუდიტორიის გარეშე. მაშასადამე, ერთი არ გამოირცხავს
მეორეს, ან პირიქით. მაგრამ არსებობს კანონზომიერება ჭეშ-
მარიტი ხელოვნებისა, რომელიც აუდიტორიასთან მჭიდრო
კონტაქტსაც გულისხმობს და ესთეტიკური ნორმების შენარ-
ჩუნებასაც. ამ კანონზომიერი ურთიერთობის საკითხთანაა და-
კავშირებული უპირველესად ამა თუ იმ თეატრის შემოქმედე-
ბითი რწმუნისა და დისციპლინის პრობლემა. აღნიშნულ ფუნ-
ქცივალზე სწორად თეატრისა და მავურების ურთიერთდამო-
კიდებულებაში გამოინდა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს
სცენური კულტურის გამოვლენას და დისციპლინის დაცვას.
სცენური კულტურის გამოსავლენად როდი კმარა მხოლოდ
სცენაზე მოღვაწეობის სიყვარული. მაგალითად, სცენის მოყ-
ვართა დიდი გატაცება იგრძობოდა სახეგარბობისა და სამომ-
ხმარებლო კოოპერაციის კულტურის სახლის ქართული თეატ-
რალური კოლექტივის სპექტაკლში „მე სამშობლო მენდობა“
(პიესა ნ. ხუნწარიასი, რეჟისორი ი. გრატაშვილი). მაგრამ
მასვე საკამო ზიანი მიაყენა უმეტეს შემთხვევაში სცენური
კულტურისა და ხელოვნებისადმი სერიოზული დამოკიდებუ-
ლების უქონლობამ. ვერც ცალკეული მსახიობების (ლ. მელა-
ძე, ვ. სარჯველაძე, შ. ლაიშენკო, კ. მიქაძე) ნიჭმა და გულ-
მოდინებამ, ვერც პიესის თემატურმა აქტუალობამ, ვერც აუ-
დიტორიისათვის მომზობველმა ფექტურმა სცენებმა ვერ და-
ფარა „მოყვარულობის“ საშუალო დონე. შობაგებდებოდა

დარჩა, თითქოს შემსრულებელთა უმრავლესობას არაფრად მიანიჩა საერთო მიზანი — თეატრმა შეინარჩუნოს გამაკეთილშობილებელი იერსახე იმ წმინდა ტაძრისა, სადაც ადამიანს შეუძლია დიდი მოკრძალებით და სიყვარულით მიიღოს მშვენიერების სამკვეთი: ამგვარი შთაბეჭდილება შეგიქმნა გორკის სახელობის კულტურის სახლის ქართული სახალხო თეატრის სპექტაკლმა — „ამქვეყნიური სამოთხე“ (პიესა ო. ვასილიძის, დადგა შ. ჩერქეზიშვილისა), სადაც ასევე რამდენიმე შემსრულებლის (ლ. კობეშვიძე, შ. ჩერქეზიშვილი) ისტაბლური თამაშისა და ეფექტური სცენების მიუხედავად, მაინც ვერ გამოვლინდა დიდი შემოქმედებისადმი ის მოკრძალება და პატივისცემა, რომლის გარეშე თეატრი (რა სახეობისაც არ უნდა იყოს იგი) კარგავს თვითონ მაყურებლის პატივისცემასა და მოკრძალებასაც, სამწუხაროდ, ამგვარი დამოკიდებულება ახლა თავს იჩენს ზოგიერთ წამყვან პროფესიულ თეატრშიც. ბევრგან მხოლოდ ისტორიას დარჩა „თეატრალური მგზნებარების“ თუ „არტისტული შთამაგონებლობის“ ის მღვდლმარეპერიოდი (როცა თეატრიდან გამოსულ მაყურებელს თვობით დაჰყვებოდა სპექტაკლით აღძრული დიდი შთაბეჭდილება, ალტაცებით იმეორებდა მონოლოგებს და სალოცავ ხატად მიიჩნდა თეატრის წმინდა სახეობა.

სკენური კულტურის, შემოქმედებითი მრწამსის, თეატრალური ხელოვნებისადმი დიდი მოკრძალებისა და დისციპლინის კარგი მაგალითი გვიჩვენეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა თეატრის, ოფიცერთა სახლის, კავშირგაბმულობის, სახვაპრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის რუსული სახალხო თეატრების კოლექტივებმა, ბევრ საიმედოს ვგვირდება ლენინის სახელობის რაიონის სახალხო თეატრი და სახვაპრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის კულტურის სახლთან არსებული პანტომიმის ჯგუფი, მაგრამ თვითეულ ამ კოლექტივებს ექვს აგრეთვე თავისი ნათელი და ჩრდილოვანი მხარეებიც, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია შემდგომი შემოქმედებითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ვ. დარასელის „კიკვიძე“ (რეჟისორი კ. მჭავაძე). თბილისელი მაყურებელი კარგად იცნობს ამ პიესას, რომელიც წარმატებით იქნა განხორციელებული რუსთაველის თეატრში. ამის შემდეგ სტუდენტთა სახალხო თეატრის მხრივ დიდი გაბედულება იყო საფესტივალო რეპერტუარში შეტანა: ეს დადგმა. ყველა მოელოდა, რომ იგი ვერ აიცილდება დიდი თეატრის ზეგავლენას. საბედნიეროდ ასე არ მოხდა. სტუდენტთა სახალხო თეატრმა სულ სხვა ხერხები გამოიხატა სამოქალაქო ომის გამოჩენილი მხედართმოთავრის ვასილ კიკვიძის სკენური სახის ხორცშესასხმელად. რევოლუციური რომანტიკით სავსე ამ სპექტაკლს რეჟისორულად გააზრებულ მთელ რიგ მახვილგონიერ მიზანსცენებთან ერთად (განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. ჟორჯოლიაძის მხატვრობისა და პ. მახინაშვილის მუსიკის შინაარსობრივი მთლიანობა საფინალო სცენაში, როცა სამოქალაქო ომის ქარცეცხლის მიმანიშნებელ ალისფერ ფონზე ჯანდაცვლებით გამოიკვეთებიან კიკვიძისა და მისი თანამებრძოლების ფიგურები) შთამბეჭდაობას მატებს მსახიობთა ნაღალი ისტაბობა, კიკვიძის როლს დიდი ვაკაცური შემართებით და ტემპერამენტით განასახიერებს სტუდენტი ა. ჯვა-

კიჩილ ვოლს ში-ნი — ი. ამბროსიოვი, ალექსანდრა ტიმოფეევა კერნიკოვა — ლ. ბერიძე. „ხუთი გული“. სახვაპრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სახალხო თეატრი



მ. ბაბოვის ფოტოები

რელი, რომლის გვერდით ღირსეულად გამოვლინდა ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობების მთელი პლადა: რ. ჩიჩუა (მედოვსკი), თინა ზარნიშვილი (გრიშუტკა), დ. მეგრელიშვილი (ტიტიკო), გ. თავბერიძე (მინაი), ზ. გინიაშვილი (პრასკოვია), გ. ლორთქიფანიძე (მართა), ნ. ყვირილიანი (კახაი ქალი) და სხვ. კოლექტივს განსაკუთრებული ყურადღება მართებს მეტყველების დამუშავებაც. ეს მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა მსახიობის მიმართ ითქმის. ხშირ შემთხვევაში ახლო მჯდომ მაყურებელსაც კი არ ემსის სიტყვები სკენინდან.

„რეჟივები“ ოფიცერთა სახლის თვითმოქმედ კოლექტივი






დიდი ია — ლ. მელაძე, დიდი ბორისი — გ. სარგველაძე, ვიორკი მასტერაძე — ნ. ბოჭორვაძე. «მე სამშობლო შევლიდა». სახაპრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის კულტურის სახლი

გულმოდგინებით უმუშავნია ლენინის რაიონის სახალხო თეატრს გ. ხუზაშვილის პიესაზე «ცხოვრება კაცისა» (დადგმა გ. ვაშაძისა და ა. მანაბლის, მხატვარი გ. დანელიანი, მუზიკა ა. კვაჭანტირაძისა). სპექტაკლს აქვს პრეტენზია მონუმენტურობისა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი წარმოდგენილია სახალხო თეატრის მიერ, რომელსაც საკმაო ისტორია აქვს და დიდი გამოცდილებაც გააჩნია, ბუნებრივია, პროფესიულადაც გაიკლებით მაღლა უნდა იდგას თეიმოქემედ წრესთან შედარებით. მაგრამ უნდა შევინიშნოთ, რომ ხშირად იგი, მიუხედავად დიდი გულმოდგინებისა, თვითმოქმედი წრის დონემდეც ვშვება. სპექტაკლში ყოველთვის არ არის შენარჩუნებული ზომიერების გრძობა, ცალკეულ მსახიობებს გააჩნიათ საკმაო ოსტატობაც და გარდასახვის უნარიც, განსაკუთრებით საბა ურბნელის როლის შემსრულებელს უ. სამადაშვილს, მაგრამ ისიც ისევე, როგორც მსახიობების უმრავლესობა, ყოველთვის ვერ იცავს ზომიერებას ფიზიკური მოქმედების დროს (გაუმართლებელი ვესტები, გაუთავებელი წრიალი წინ და უკან). თუ შედარებას მოვხაძენთ, ასაღვარდა შემსრულებლებს (ნ. ფეიჭირიშვილი, დ. ჯანადაშვილი, გ. გუარამიშვილი) უფრო მეტი უშუალობა და ზომიერების უნარი აღმოჩნდათ, ვიდრე ხანდახმულებს. რაც შეეხება დადგმას, უპირველესად დავას იწვევს დამდგმელი რეჟისორის თვითმიზ-

პანტომიმური ჭკუფი: გ. ვიორკაძე, ა. შალიკაშვილი, ლ. ამბარტუმიანი, ნ. შალიკაშვილი. «სახაპრობის ხელისუფლებისათვის». თბილისის სახაპრობის კულტურის სახლი



ნური დამოკიდებულება პიესის მიმართ. როგორც ჩანს, დამდგმელს განურაზხავს პიესის დახვეწა სცენურად, მის ნაცვლად კი, თვითნებური მონტაჟის შედეგად, შეიზღუდა მიმდირი ხასიათები. პიესიდან გაუმართლებლად ამოვარდა რამდენიმე გააზრებული ეპიზოდი. მასობრივი სცენებიც ხშირად მექანიკურად ამოქმედებული თოჯინების ანსამბლს გავს. ზოგი მსახიობის იმპროვიზაციის საზღვარს სცილდება (პ. ამაშუკელიანისა). მხატვრის მოხერხებულად გამოყუყუნების სცენის მოედანი, რეჟისორის ხიდი სცენის ბრუნვასთან ერთად მრავალფეროვნად იცვლის სახეს და მოქმედებისათვის ხელსაყრელ პირობასაც ქმნის.

ბევრს გვაჩრდება სახაპრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის კულტურის სახლთან არსებული პანტომიმური ჭკუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ა. შალიკაშვილი, როგორც პანტომიმურ სავარჯიშოებში, ისე ნოველებში კარგად გამოვლინდნენ: ნ. შალიკაშვილი, გ. ბირკაძე, ა. შალიკაშვილი და ლ. ამბარტუმიანი, შემსრულებლებს ჯერ კიდევ ბევრი სჭირდებათ კლასიკური აზროვნების სრულყოფისათვის.

პროფესიული დახვეწილობით გამოირჩედა სახაპრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის რუსული სახალხო თეატრის სპექტაკლი «ხუთი გული» (პიესა ა. უსპენსკისა, დადგმა ა. ნორვანოვსა). დადგმას არა აქვს პრეტენზიები სიხილისა და როგორც გამოირკვეა, არც სპექტაკლია მაინცდამაინც ახალი (1963 წ.). ისეთი ძაღლებით, როგორც სპექტაკლში გამოყენებული, გაიკლებით მნიშვნელოვანი პიესის დადგმა შეიძლება. საკმაოდ მოძველებულად გამოყურება მისცა, დადგმაში კი, ლინიკული კომედიის ნაცვლად, უფრო მეტადგამა გამოვლინდა. სიუჟეტურად თავიდანვე ნათელი ხდება თუ რა უნდა მოხდეს შემდეგ და როგორ უნდა დამთავრდეს სპექტაკლი. და მაინც, იმდენად უშუალო და გამომსახველობითია მსახიობების (ი. ამიხანაშვილი და ბარტკულაშვილი, მ. ლელსკაია, ე. ხომენკო, ლ. ბერინდა) თამაში, რომ მაყურებელთა დარბაზში ბევრს ეჭვით კი შეგვარბა მოყვარბთა ნაცვლად სცენაზე პროფესიონალი მსახიობები ხომ არ არიან.

როგორც თემატურად, ასევე დადგმის მაღალი მხატვროლობით იპყრობს ყურადღებას გავირგამებულობის უშუალო კულტურის სახლის თეატრალური კოლექტივის სპექტაკლი «ყველას თავისი მიუხილს» (პიესა ს. ალიოშინის, რეჟისორი ფ. ბალაშვილი, მხატვარი მ. ჯიბაშვილი).

«ყველას თავისი მიუხილს» — ასე ეწევა სამამული ომის დროს ბუხენვალდის სიკვდილის ბანაკში შესასვლელ კარებს. ეს სიტყვები დრამატურგმა ს. ალიოშინმა თავისი პიესის მიერ იტიმოტებული აქვია, რომელსაც ამჯერად სულ დასჯი აზრი ეცა, ვიდრე ეს ფეისიტებს ჰქონდათ ნავულისმგვი; ისტორიამ მართლაც თავისი მიუხილ თვითველს. დამპყრობლების წინააღმდეგ პატიოტიტების გმირული თავგანწირვა სამარადისოდ დარჩა, როგორც უკვდავება, ხოლო დამპყრობლების სისასტიკე, როგორც სამარცხინო მოქმედების განუმეორებელი მაგალითი.

მთლიანობაში ძნელი საფიქრებელი იყო, რომ მაყურებლების წინაშე სცენაზე თვითმოქმედი დასის მსახიობები იყვნენ. ბევრი მათგანის გმოვნება, სასმსახიობო ოსტატობა უმაღადადლო» დარბაზს და მოქმედება მაკურებელთა კონტაქტ-

ში წაიშარა. დარბაზში კი ისინი ასევე მაღალი კულტურით გამოჩენული მათივე ახლოვლი ადამიანები, მეგობრები, ამხანაგები, ისინი ხომ ყოველდღიურ საქმიანობაშიც კარგად იცნობდნენ როლების შემსრულებლებს და ახლაც მოხიბლულნი იყვნენ მათი „სცენური საქმიანობით“. მიუხედავად ამისა, მაინც გულწრფელად უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოდგენას რამდენადმე აკლდა გმირული დრამისათვის დამახასიათებელი პათოსი. ისეთი შთაბეჭდილება შევეჭყენა, თითქოს მთელი თეატრალური კოლექტივი განსაკუთრებული მოწინააღმდეგეობით ეპყრობოდა ბ. ვასილევსკის მიერ გენერალ გუდარიანის მართლაც შესანიშნავად გამოკვეთილ ირსახეს, მეორე პლანზე მოექცა ცენტრალური გმირი ტანკისტი (შემსრულებელი ი. კოსტენკო), რომლის სახელი უცნობია, მაგრამ რომლის მსგავსიც ათასობით იყვნენ სამამულო ომში, სპექტაკლში სწორედ ამ სახემ შეიტანა დისონანსი და ბევრი რამ დააკლო თავისი მოდუნებული ტემპით მოქმედების დინამიკასაც. დადგმის მონუმენტურობისაკენ სწრაფვა უმთავრესად გამოიხატა იმით, რომ სცენაზე მთელი დასი მოქმედებდა (ისინი კი ოცდათხუთმეტამდე მაინც იყვნენ), ხოლო სახეატრობის რუსული თეატრალური კოლექტივის შუბუპროსიანეიანმა სპექტაკლმა უფრო გრანდიოზულობის შთაბეჭდილება მოახდინა.

ოფიცერთა სახლის დრამატული კოლექტივის (მხატვრული ხელმძღვანელი ა. ენუქაშვილი) სპექტაკლმა (რ. როდუტკევსკის პოეტური კომპოზიცია „რკვეიმი“) ყურადღება მიიპყრო თავის ორიგინალური ფორმით, თუმცა არც უნდა ითქვას, რომ იგი ორიგინალურად გამოიჩინა ფესტივალზე ნაჩვენებ სპექტაკლებს შორის, თორემ იგი რა ხანია ცნობილია ი. ლეიბმიშვის თეატრის („თეატრი ტავანაუ“) სახით.

სპექტაკლი მიჰქვდა სამამულო ომში დაეცეული გმირების ხსოვნას და მან ემოციური ზემოქმედებაც მოახდინა მა-



სცენა სპექტაკლიდან „კვიციყა“, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრი

ყურებელზე თავისი საინტერესო გამომსახველობითი საშუალებებით, ვფიქტური მხატვრული კითხვით, მაგრამ თეატრალური კოლექტივი, რომელსაც საკმაოდ სცენური კულტურა გააჩნია, უმჯობესია მაინც ურიდოვანად დატკეპნილი გუნდი სიარულს, უმე უმეტეს, რომ მას თავისი ორიგინალური შემოქმედებითი გზის გამოხატვის შესაძლებლობები გააჩნია.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახალხო თეატრებისა და თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების საქალაქო ფესტივალმა ბევრი რამ საინტერესო გამოავლინა და ბევრის იმედსაც იძლევა მომავალში, ოღონდ საჭიროა გათვალისწინებული იქნეს აღნიშნული მთელი რიგი ნაკლოვანებანიც. ბუნებრივია, რომ დიდი შემოქმედებისაკენ მიზნული გზა დიდ ნიჭსა და სერიოზულ შრომასაც მოითხოვს. ჩვენს სახალხო თეატრებსა და თვითმოქმედ კოლექტივებს შესწევთ უნარი ეზიარონ ჭეშმარიტ შემოქმედებას.

ბ. ბაურალი

ბავშვის ტაროლანა ჯალქაჯი

გაიოს იაკაშვილი



ათი ცეკვა თაბულავით შეტრულია, — ყველა ერთს ამშვენებს, ერთი ყველას ამკობს.

ბიჭუნები ვაკაცურად ნავარდობენ, გოგონები ნახად გოგმანებენ. ცეკვავენ თავდავიწყებით, გატაცებით; ღმილი არ სცილდებათ. ცილობენ ცეკვანში უფროსებს არ მიბაძონ, ვერც ძალად თავსმხოვეულ, დაუბიძგებულ მოძრაობებს ნახაუთ. ყოველი მათი ილეთი ბავ-

შური ფანტაზიითაა მოჩუქურთმებული. მართლაც ქებას იმსახურებს თბილისის 39-ე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელის სახელმწიფო კონსერვატორიის დიპლომანტის თამაზ გოგორჯიშვილის, ხელმძღვანელისა და აღმზრდელის მოღვაწეობა. მას უყვარს ბავშვები, მეგობრობს, მათი მყისიერად — თვალყურს ადევნებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას. გულწრფელად

განიცდის აღსაზრდელთა ყოველ წარმატებასა თუ წარუმატებლობას სკოლაში, შინ თუ გარეთ. ბავშვებზე შეიყვარეს თამაზ მასწავლებელი — მკაცრი და სამართლიანი, მზრუნველი და მოამბავე; მის დატუქვას თვინიერად იღებენ, შექებით ხარობენ.

ბევრჯერ უთქვამს თამაზს: ალბათ ბავშვების გარეშე ვერ გავძლებ, ცეკვა და ბავშვებია ჩემი ცხოვრების მიზანი.

და ეს საქმიანაც თვალნათლივ სჩანს — მისმა აღსაზრდელებმა უკვე პიოვეს აღიარება ბავშვთა სამყაროში და ჩვენს შევეცდებით მოკვდეთ მოგიტონოთ ცეკვის ამ პაწაწინა ჯადოქრების შესახებ.

39-ე სკოლის ქორეოგრაფიული ჯგუფი გამოირჩევა ანსამბლურობით და შესრულების ოსტატობით. ამასთან ანსამბლში ჩაბმული ორმეცდითორმეტი ბავ-



„ტეხურის პირას“
ზუნაია — შ. შარვაშიძე
ჩიქოვანი — ჯ. პეტრენავა
ცხაკაიას სახალხო თეატრი

საქართველოს სახალხო თეატრების დათქმულებისათვის



არჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში თბილისის სახალხო თეატრებისა და თვითმომყველი თეატრალური კოლექტივების საქალაქო დათვალისთვის შემდეგ 22 დღეს გრძელდებოდა საერთო სახალხო თეატრების რესპუბლიკური ფესტივალი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

დედაქალაქის მკურნალები მესამედ შეხვდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო თეატრების სპექტაკლებს. ამჯერად ფესტივალმა ცხადყო საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმდიდრისა და კულტურის ზრდა, გამოავლინა ჩვენი მხატვრული თვითმომყვლების როგორც კოლექტივების, ისე ცალკეულ შემსრულებელთა კარგი ოსტატობა.

ფესტივალი გახსნა ბორჯომის სახალხო თეატრმა. სცენისმოყვარულთა პირველი წრე ბორჯომში თითქმის 60 წლის წინათ შეიქმნა. ჯერ კიდევ მაშინ იქ იდგმებოდა ა. ცაგარლის, გ. ერისთავისა და ჭარბული ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა პიესები. 1959 წელს სცენისმოყვარულთა წრეს მიენიჭა სახალხო თეატრის წოდება. მას შემდეგ თეატრის კოლექტივი უფრო დიდი შთაგონებით მუშაობს.

ფესტივალზე ბორჯომის სახალხო თეატრმა წარმოადგინა თ. ფერაძის სამშობლებიანი დრამა „ჩაუკრობელი ვარსკვლავი“. სპექტაკლი ეხება ბორჯომელი გმირის ეროვნულ-პატრიოტული ცხოვრებას, მის თავგანწირვას სამშობლოს საყვითლდელიად. სასიხარულოა, რომ გულდამსმით უმუშავნია მსახიობებთან თეატრის მთავარ რეჟისორს, რესპუბლიკის მენ-

შეიდან ოცდათხუთმეტი სწავლის ფრიადოსანია.

მოსწავლელთა დღეები ასეთია — თუ წრის წევრი ხარ, დაუშვებელია დავალების შეუსრულებლობისა და დისციპლინის დარღვევის ერთი შემთხვევაც კი. მათ სასწავლოდ უნდა ითქვას, რომ ამ პირობას პირნათლად ასრულებენ, სანიმუშონი არიან ყველგან — სწავლასა თუ ყოფაქცევაში.

ბავშვები გატაცებით ასრულებენ, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ცეკვებს. საკმაოდ მრავალფეროვანია მათი რეპერტუარი: „ფერხული“, „ხოროში“, „აჭარული“, „სამაია“, „ცეკვა წყაროსთან“, „მხედრული“, „ჩიქოვანი“ და სხვ. ანსამბლი „ფერხულს“ ასრულებს პატრიოტული სულისკვეთებით; „ფერხულს“ სიმღერის გარეშე ასრულებენ, თან უნარჩუნებენ

თავის კოლორიტს. რიტმის რეგულირება ტაშით ხდება, ტაში თანდათან ძლიერდება, ტემპი მატულობს. სრულდება „ფერხული ორსართულა“, რომელიც იწყება ბრძოლის წინ დასწვრივის მომენტით. მოცეკვავეთა მხრებზე მდგომნი შორს გააყურებენ, თვალთ ვიძებენ მონინააღმდეგეს. აი, შეამჩნიეს და იწყება შტეტვა — უხილავი მტრის წინააღმდეგ. მოცეკვავე ბავშვები ვეფხვის ბოკურებივით დახტიან. თუმცა აკლიათ გამოცდილება, მაგრამ ინსტინქტი სწორი გეზით ატარებს.

რამდენი სინაზე და სინატიფა მათ მიერ შესრულებულ ცეკვა „სამაიაში“. ცნობილია, რომ ეს ცეკვა, ჩვენს წინაპართ „ძეპოსის“ აღსანიშნავად დაუწესებიათ, ზოგიერთი მას ქალთა „ფერხულადაც“ აღიარებს. ერთი კია — ჩვენამდე შემორჩენილ ცეკვებში სამი ქალი მონა-

წილობს, ანდა ჯგუფურად სამ-სამი ქალი ცეკვავს — „სამაია სამთავანა არ იქნება ორთავანა“. ცეკვის ნახაზი სტატურიანა, შესრულება ნაზი და ნარნარი. ქორეოგრაფმა გოგოტიშვილმა იგი განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგინა: სამი მოცეკვავე გოგონა ერთმანეთს ეპირებოდა ერთი და იგივე ილეთის რაც შეიძლება ლაკონურად შესრულებაში. სამივე მოცეკვავეს ძირითადი მოძრაობა ადგალაა“. მიზრიდეგლია მათი ყოველი ფესტი, ყოველი ილეთი.

დარბაზში აღფრთოვანებნა, როდესაც ბავშვები ასრულებენ საკმაოდ პოპულარულ ცეკვას „განდაგანას“. ქებას იმსახურებს ნორჩი სოლისტების — გიორგი გამყვლიძის, ჯანო სამარჯულიანის, ვაჟა ბურჯიანის, თემურ ფიჩინაის, პეტრე დატავას, ლეო კახიძისა და თემურ ჩიკაიძის ცეკვა, რომლებიც ცხნებზე გაქ-

ლოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ხმალაძეს, რომელმაც კომპოზიციურად კარგად შეკრული სპექტაკლი მიაწვდამა მსახურებელს. საინტერესოდ იყო დადგმული ბატალური სცენები. სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს მხატვარ ი. რუბინ-შტეინის გემოვნებით შერჩეული დეკორაციები და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ მ. ჩირინაშვილის მუსიკა. გულწრფელობით და უშუალოდ თავი დაგავამსოფრეს ერთნის ინაურის როლის შემსრულებელმა, სტუდენტმა პ. ნოზაძემ, ზ. აკოფივამ (კოსტია), მ. გელაშვილმა (შურა), ი. ბლიაძემ (წითლარმული მამედოვი), ა. გელაშვილმა (იურა) და ვ. ფხალაძემ (დედა).

ცაგერის სახალხო თეატრმა მსახურებელს უჩვენა პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“. სპექტაკლის დადგმულმა რეჟისორმა ს. კოპალიანმა (მხატვარი ლ. ჭავჭავაძე) სწორად გახსნა მოქმედ გმირთა სახეები, ხელი შეუწყო სცენისმოყვარეთა სადა და უშუალო თამაშს. მსახიობებიდან გამოირჩეოდნენ მანუჩარი — გ. მდივანი, სახული — ს. კოპალიანი, კაკალა — ნ. ყუბუშიძე, გვირისტინე — ს. სილაგაძე.

ინტერესი გამოიწვია სიღნაღის სარაიონო კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის კოლექტივის გამოსვლამ, რომელმაც მ. მრეკლიშვილის „ნარატანთ კერა“ წარმოადგინა.

პიესა კომპოზიციურად რთულია, გამოირჩევა სახეების მრავალფეროვნებით. რეჟისორ კ. მახარაშვილმა და მხატვარ გ. დანიელშვილს (კონსულტანტი რესპ. დამსახურებული მხატვარი ბ. ქვიციანიძე) სიყვარულით უშუალოდ და გემოვნებით გაუკეთებიათ სპექტაკლი. ცხოვრებისეული, ღრმად კოლორიტული სცენური სახე შექმნა თორნიკე შაპას შემსრულებელმა ა. პავლაშვილმა. ზურია ხარატელის როლი ნიჭიერად განასახიერა კ. მახარაშვილმა. რამდენიმე მთავარი მოქმედი



„კიკვიმე“. კიკვიმე — ა. ჭვარცი, შილინი — ჯ. ჭავჭავაძე თბილისის ს. ს. რ. სახალხო თეატრი

პირის გარდა, სპექტაკლში ახალგაზრდები მონაწილეობენ შემსრულებელთაგან განსაკუთრებით მოსაწონია ლ. ბურჯუარი (ნატო), თ. შორჩიალი (კვია ხუცურაული), მ. ჭინჭარაული (ნუცია), ნ. ილაშვილი (აიტუხა), შ. ლომიძე (გიორგი), ქ. ჯანაშვილი (მართა) და სხვ.

უესტაფონის უმაწვი ჩხვიდის სახელობის სახალხო თეატრმა დთავალიერებაზე ჩამოიტანა პ. კაკაბაძის სამოქმედებანი სატირული კომედია „ცხოვრების ჯარა“. რეჟისორმა მ. ფურცხვანიძემ პ. კაკაბაძის გმირებს ფართო სამოქმედო ასპარეზი მისცა. სპექტაკლის რეჟისორული ჩანაფიქრის სცენური განხორციელებისადმი სწრაფვით გამოირჩეოდნენ ახალგაზრდა მსახიობები თ. თავაძე (ციცილი), ა. სოფრომაძე (თორკინე), ე. ბეგუაშვილი (მიტუქუნე). კარგი იყო თ. ბერეჩიკიძის კოლორიტული მხატვრობა.

თბილისელი მსახურებლის ქება დაიმსახურა ლავოდეხის სახალხო თეატრმა. ეს ნიჭიერი კოლექტივი თავისი უშუალო

როლებულ მხედრებს ასრულებენ, ხოლო ნანა ჯანაშია, ნატო მუსქრიძე, როენა ბურდული, დარეჯან ქარაფილიშვილი, მარინე ჩოფიაშვილი, მარინე ჯამასპი-შვილი გვხვობავენ კედემსილებით.

ცეკვა „ყაზაშვილი“ მოითხოვს ტემპერამენტს, ილეთიდან ილეთზე სწრაფად და შეუმჩნეველად გადასვლას, მიმართობა სინატიფეს, სიმკვეთრეს. ამ ცეკვას მართლაც რომ ოსტატობით ასრულებენ ნანა ჯანაშია და თემურ ფიჩხია. ყურადღებას იმსახურებს ნონა მეგ-ლიძის „ჯეირანი“.

ანსამბლის ცეკვას მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა და დხმარება აღუ-თქვას. სწორად ილკო სუხიშვილის ინიციატივით იყო, რომ მოსკოვის დოკუმენტური ფილმების ცნობილმა

ოპერატორმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ალექსანდრე კოვანმა გადაიღო 39-ე სკოლის მოცეკვავეთა კოლექტივი, როგორც უფროსი თაობის საიმედო ცვლა. 1964 წლის 25 აპრილს ბავშთა ანსამბლის კონკრეტულ ამ კოლექტივმა პირველი ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ მხოლოდ გამარჯვება მათი ხვედრი.

მხატვრული თვითმოქმედების V რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ეიურის ერთ-სულოვანი გადაწყვეტილებით თბილისის 39-ე საშუალო სკოლის ქორეოგრაფიული კოლექტივის 52-მა მონაწილემ შესაძლებლად და მსახურებულად მოიპოვა ოლიმპიადის ლაურეატის საპატიო წოდება. მაგამ ამ სანიშნუი კოლექტივის მიმართ ზოგიერთი მითითებაც გვაქვს: ყოველმხრივ უნდა ვერიდოთ ცრუ

დინამიურობას, რაც გამოხატულებას პოულობს ცეკვების თავებრუდმხვევ სიჩქარეში. მინიმუმამდე უნდა დაეცვა-ნათ ცერჩილეთებისა და მუხლილეთების გამოყენება, ვინაიდან ბავშვები ფო-ზიური ფორმირების პროცესში იმყოფებიან.

ამასთან მათი რეპერტუარი შეიცავს ბავშვებისთვის არამიზანშეწონილ ცეკვებს. ამა რ ბავშვების შესასრულებელია ცეკვა „ჯეირანი“? ანსამბლის ხელმძღვანელმა თ. გოგოტიშვილმა უნდა იზრუნოს საბავშვო რეპერტუარზე, სა-სურველია ისეთი ცეკვების შექმნა, რომელნიც ბავშვთა ყოფას, მათ სწავლასა და გართობა-დასვენებას განასახიერებენ.

ამჟამად 39-ე სკოლის ანსამბლი გა-ცხვრებით ემზადება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის შესახებდრად.



